დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ დასავალი

WWW.ASAVALI.COM

2025 წლის 9 - 15 ივნისი

N24 1595

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

## ამერიკის პრეზიდენტ დონალდ ტრამპს ტრიუმფატორ მერაბ დვალიშვილის სახით, გამარჯვებული საქართველო მიესალმა!








2-3

# იამაყე, საქართველოვ!

## «ეს იყო უნივერსიტეტის განადგურება და ვანდალიზმი!»

8-9









### სააკაშვილ-ლომაიას რეჟიმის მიერ რეპრესირებული მეცნიერები

# ამხელენ!

## ვალერი შოშიაშვილი:




12

2010 წელს ისევ დამიბარეს და მითხრეს, რომ საეთერო დრო უნდა მეყიდა „რუსთავი-2“-ზე „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობისთვის“, ანუ გიორგი თარგამაძის პარტიისთვის!

13

# აშშ-ის ელჩი გააპენსიეს!

19



## მოდელირებული წინასწარმეტყველება, რომელიც არ უნდა აგვიხდეს!

4-5



# იშლებიან ეს ოხრები!

6



მერაბ დვალიშვილს მეტოქე ზურგზე ჰყავს მოგდებული. აშშ, ნიუ-ჯერსი. 2025 წლის 8 ივნისი

2025 წლის 8 ივნისს ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, ნიუ-ჯერსიში, შერეული ორთაბრძოლების ქართველი დიდოსტატის მერაბ დვალიშვილის მორიგი ტრიუმფი შედგა — მან მეორედ დაიცვა მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული აბსოლუტური საბრძოლო ჩემპიონატის (UFC) სუპერმსუბუქი წონის საჩემპიონო ქამარი, რომელიც გასული წლის 15 სექტემბერს ლას-ვეგასში ამერიკელი შონ ო'მალის დამარცხებით მოიპოვა.

# იამაყე,

**მერაბ დვალიშვილის** მეტოქე ამჯერადაც **შონ ო'მალი** იყო — აბსოლუტური საბრძოლო ჩემპიონატის ერთ-ერთი უძლიერესი და სახელოვანი მებრძოლი, **რომელსაც ქართველთან რევანში და 8 თვის წინათ დაკარგული საჩემპიონო ქამრის დაბრუნება სურდა!**

თუმცა, **ო'მალი დვალიშვილთან** სარევანშო ბრძოლაში, რომელიც, წესების მიხედვით, 5-რაუნდიანი უნდა ყოფილიყო, პირვანდელზე მწარედ დამარცხდა და ქართველს **მე-3 რაუნდშივე** დანებდა!

**მერაბმა,** რომელიც მთელი ბრძოლის განმავლობაში დომინირებდა, **შონს** ე.წ. მახრჩობელა ილეთი გაუკეთა და, შერეულ ორთაბრძოლებში დამკვიდრებულ ტერმინს თუ გამოვიყენებთ, დააფინიშა!

**დვალიშვილმა** ტრიუმფალური გამარჯვება, ჩვეულებისამებრ, ემოციურად აღნიშნა და თავის ტრადიციას არც ამჯერად უღალატა — **სანამ წელზე საჩემპიონო ქამარს შემოარტყამდნენ, თავზე ქართული ფაფახი დაიხურა, როგორც მისი წარმომავლობისა და ეროვნული იდენტობის გამოხატულება.**

განსაკუთრებით საინტერესო კი ის იყო, **გამარჯვებული ქართველი მებრძოლი ოქტაგონის მაღალ ღობეს რომ გადაევლო და დარბაზში მჯდარ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან დონალდ ტრამპთან მივიდა, ხელი ჩამოართვა, რამდენიმე სიტყვა უთხრა და ერთობლივი ფოტო გადაიღო.**

უნდა ითქვას, რომ აბსოლუტური საბრძოლო ჩემპიონატის ორთაბრძოლებზე აშშ-ის პრეზიდენტების დასწრება ძალზე იშვიათი მოვლენაა და **2025 წლის 8 ივნისს ნიუ-ჯერსის ოქტაგონზე შემდგარი დაპირისპირება ამ მხრივაც გამორჩეული იყო**. საერთოდ, **დონალდ ტრამპი** შერეული ორთაბრძოლების გულშემატკივარია და UFC-ის პრეზიდენტ **დანა უაითთანაც** მეგობრობს.

ჰოდა, **პრეზიდენტი ტრამპი,** როგორც შერეული ორთაბრძოლების მოყვარული, 8 ივნისს ნასიამოვნები დარჩებოდა იმით, რომ მერაბ **დვალიშვილისა** და **შონ ო'მალის** შეტაკება სანახაობრივი გამოვიდა, თუმცა, ამერიკის პრეზიდენტი ნამდვილად არ იქნებოდა კმაყოფილი იმით, რომ ამ თვალსასეირო ორთაბრძოლაში ამერიკელი სპორტსმენი უშანსოდ დამარცხდა.

**ახლა, როცა ეს წერილი იწერება, ჯერ კიდევ არ არის ცნობილი, რა უთხრა საბრძოლო ოქტაგონიდან დარბაზში გადამხტარმა მერაბ დვალიშვილმა დონალდ ტრამპს და რა სიტყვები გაცვალეს ერთმანეთში ამერიკელი მებრძოლის დამმარცხებელმა ქართველმა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა?**

სავარაუდოდ, **მერაბი** პრეზიდენტ ტრამპს ბრძოლაზე დასწრებისათვის მადლობას გადაუხდიდა და პატივისცემას დაუდას-



ამერიკელი მეტოქის დამარცხების შემდეგ მერაბ დვალიშვილი ესალმება აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპს. აშშ, ნიუ-ჯერსი. 2025 წლის 8 ივნისი

## კვირგვინოსნები

**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



ოპოზიციის წარმომადგენლები **დადიან ინსტრუქციების მისაღებად,** საკუთარი აზრიც არ აქვთ, **იარონ, მიიღონ დავალებები,** სადამდეც მიიყვანა ამ ყველაფერმა, **უკვე ვნახეთ,** სადამდეც მიიყვანს მომავალში, **ამასაც ვნახავთ,** უმძიმესი, ტრაგიკული მდგომარეობაა ოპოზიციაში.

„პრაიმტაიმი“

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



მერობას ვაპირებ და **ვაპირებ, რომ დავამარცხოთ ყველა ის რადიკალური დაჯგუფება,** ვინც ხართ. **დაგამარცხებთ და ქართველ ხალხთან ერთად** მოგიჩენთ შესაბამის ადგილს.

„იმედინიუსი“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



ზოგიერთი ჯგუფი თუ პოლიტიკოსი უკვე ძალიან შეეგუა, **რომ ქართველებს ჭკუა ასწავლოს,** რა არის ღირებული და რა არ არის ღირებული... დროა, ყველას შევახსენოთ, რომ **აქ არავინ არის სკოლის მოწაფე, გამოცდები არავის აქვს ჩასაბარებელი.** ქართველ ხალხს საკმარისად აქვს თავისი **დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისთვის** ყველანაირი გამოცდა ჩაბარებული.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ბენიამინ ნეთანიაჰუ**
*ისრაელის პრემიერ-მინისტრი*



**ისრაელსა და საქართველოს** საუკუნეებია, **განსაკუთრებული კავშირები აქვთ,** რაც ჩვენს საერთო ღირებულებებსა და ღრმა ისტორიულ კავშირებს ეფუძნება. **მადლობას გიხდით** *(ირაკლი კობახიძეს)* **ტოლერანტობისთვის,** რომელსაც თქვენ და თქვენი მთავრობა იჩენთ საქართველოში ებრაული თემის მიმართ.

„ინფო-9“

# საქართველოვ!

ტურებდა!

თუმცა, ეს ის შემთხვევაა, როცა სიტყვებს ნაკლები მნიშვნელობა აქვს, რადგან ყველაფერს თავად საქმე ამბობს!

კი, **4-მილიონიანი საქართველოს შვილმა მერაბ დვალიშვილმა** ამერიკის პრეზიდენტსაც და მთელ მსოფლიოსაც სათქმელი სწორედ იმით უთხრა, რომ ნიუ-ჯერსის დარბაზში ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმა **400-მილიონიანი აშშ-ის წარმომადგენელზე!**

**– საქართველო არის პატარა, მაგრამ დიადი ქვეყანა! ქართველები არიან მცირერიცხოვანი, მაგრამ მებრძოლი და გაუტეხელი ხალხი! ქართული სახელმწიფოებრიობის 3000-წლოვანი ისტორია არის მთელი ამბავი დავითის მიერ გოლიათის ძლევისა! – აი, ეს არის მთავარი სათქმელი, რომელიც ქართველმა ჩემპიონმა მერაბ დვალიშვილმა თავისი ბრწყინვალე გამარჯვებით უთხრა მთელ მსოფლიოს! თამამად შეიძლება ითქვას, რომ 2025 წლის 8 ივნისს ნიუ-ჯერსიში ამერიკის პრეზიდენტ დონალდ ტრამპს ტრიუმფატორი ქართველი მებრძოლის – მერაბ დვალიშვილის სახით, გამარჯვებული საქართველო მიესალმა!**

საერთოდ, ქართველი მებრძოლის — **მერაბ დვალიშვილის** მიერ ნიუ-ჯერსის დარბაზში კიდევ ერთხელ მოპოვებული საჩემპიონო ქამარი და ქართველი ფეხბურთელის — **ხვიჩა კვარაცხელიას** მიერ მიუნხენის სტადიონზე მოპოვებული ევროპის ჩემპიონთა ლიგის თასი ამტკიცებს და ადასტურებს, რომ ცივილიზებულ სამყაროში საქართველოს ადგილსა და როლს მისი ტერიტორიის სიპატარავე და მოსახლეობის სიცოტავე კი არა, **სულის სიდიდე და ნიჭის სიუხვე განსაზღვრავს!**



*ხვიჩა კვარაცხელია ეამბორება მოპოვებულ ჩემპიონთა ლიგის თასს. გერმანია, მიუნხენი. 2025 წლის 31 მაისი*



*მერაბ დვალიშვილი საჩემპიონო ქამრითა და ქართული ფაფახით. აშშ, ნიუ-ჯერსი. 2025 წლის 8 ივნისი*

ამიტომაც თქვა ამერიკაში, ამერიკის პრეზიდენტის თვალწინ, ამერიკელი შონ ო'მალის დამმარცხებელმა **მერაბ დვალიშვილმა** — ***„ჩემი ქვეყანა დიდ მოტივაციას მაძლევს, მიყვარხარ, საქართველო!“***

ამიტომაც განაცხადა **ხვიჩა კვარაცხელიამ** ჩემპიონთა ლიგის ფინალში გამარჯვების შემდეგ — ***„ჩემი ქვეყანა ახლა ბედნიერია, ვამაყობ, რომ ქართველი ვარ!“***

**ხვიჩა კვარაცხელია** და **მერაბ დვალიშვილი** არიან ცოცხალი მაგალითები იმისა, რომ **ქართველობა მართლაც საამაყოა!**

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები



**ლევან მაჭავარიანი**
*პარლამენტარი*

ევროკავშირისკენ მივისწრაფვით, მაგრამ **ევრობიუროკრატები** თავიანთი საქციელებით მოსახლეობას აღიზიანებენ.

„რეზონანსი“



**დავით მათიკაშვილი**
*პარლამენტარი*

ჩვენი ქვეყანა გახლავთ **ერთ-ერთი უსაფრთხო ევროპაში** და უსწრებს ევროკავშირის წევრ ზოგ ქვეყანასაც კი.

„რეზონანსი“



**ჯეფრი საქსი**
*კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი, გაეროს მდგრადი განვითარების გადაწყვეტილებების ქსელის პრეზიდენტი*

აუცილებელია, რომ **სამხრეთ კავკასიას თავიდან აარიდოთ დასავლეთის თამაშებში პაიკად ყოფნა.** საქართველო არის არამარტო სატრანსპორტო, არამედ, **ცივილიზაციათა შორის ხიდი** და ის არის **ქართველების საგანძური,** რომელიც უზრუნველყოფს სამომავლო კეთილდღეობას. ეს არის მიზეზი, რომ **შეინარჩუნოთ მშვიდობა.** იმედი მაქვს, რომ **აშშ და ევროკავშირი** პატივს სცემენ ამ გეოგრაფიას, **იქნებიან მეგობრულები** და არ ეცდებიან თავიანთი ძალაუფლების გაფართოებას ისე, რომ საფრთხე შეუქმნან თქვენს ქვეყანას.

„ინფო-9“



**არჩილ გორდულაძე**
*პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე*

მნიშვნელობა არა აქვს, **ნულოვანი შანსების ე.წ. პოლიტიკური პარტია მიიღებს თუ არა არჩევნებში მონაწილეობას,** შედეგი ექნებათ იგივე, რაც ჰქონდათ უკვე ცხრაჯერ — **სახელოვნად დამარცხდებიან.**

„პირველი არხი“



**ლევან დავითაშვილი**
*ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი*

**მთავარი ამოცანა,** რომელიც ხელისუფლებას აქვს, ეს არის — **სიღარიბის დაძლევა, ეკონომიკური კეთილდღეობის შექმნა და ქვეყნის გამთლიანება.**

„აიპრესი“

# ᲛᲝᲓᲔᲚᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ

***ეს დღეებია, სოციალურ ქსელებსა და, ზოგადად, ინტერნეტსივრცეში ვირუსულად ვრცელდება სულისშემძვრელი და მოდელირებული ვიდეოკადრები სათაურით — „ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ 2050 ᲬᲔᲚᲡ!“***



**ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ, თუ საქართველოში დემოგრაფიული ვითარება ისე შეიცვალა, როგორც ეს მოდელირებულ ვიდეორგოლშია ნაწინასწარმეტყველები, სააკაშვილის „პამპერსის ხიდი“, რომელიც „ქართულ ოცნებას“ უნდა აეღო, მაგრამ არ აიღო, გახდება უტყვი მოწმე იმ კატასტროფისა, რომელიც კარიბჭესთან მოგვადგა!**

არ ვიცი, ეს ყველაფერი ვინ შექმნა და ვინ ატვირთა „ტიკ-ტოკზე“.

არც ის ვიცი, ეს ქართველობის გამოსაფხიზლებლად გაკეთდა თუ იმ უცხოტომელების გულის გასახარად, რომლებიც გოჯა-გოჯა და ჰექტარ-ჰექტარ ითვისებენ საქართველოს სოფლებსა და ქალაქებს, ოდესღაც აყვავებულ ველ-მინდვრებსა და ბაღ-ვენახებს და მოაქვთ ჩვენთვის უცხო ცხოვრების წესი და კულტურა, რათა ჩვენი სამშობლო მართლაცდა გადაჯიშდეს და გაქრეს; **თუმცა, რა მიზანსაც უნდა ემსახურებოდეს ეს რამდენიმეწამიანი ვიდეორგოლი, ფაქტია, რომ ასტრონომიული სიზუსტით მიგვანიშნებს იმ საფრთხეზე, რომელიც ნელ-ნელა, სერიული მკვლელის ნაბიჯებით გვიახლოვდება!**

მოდელირებულ ვიდეოკადრებში, პირველ რიგში, ჩანს ორთაჭალის სანაპირო და სააკაშვილის მიერ დიდი ზარ-ზეიმით გახსნილი და აუცილებლად მოსაშორებელი **ე.წ. მშვიდობის ხიდი,** რომლის აშენებაც საქართველოს ბიუჯეტს 80 მილიონი დოლარი დაუჯდა. **ვიდრე „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდოდა, გვპირდებოდა, რომ შუშის ხიდი, რომელიც აბსოლუტურად ამოვარდნილი იყო ძველი თბილისის არქიტექტურული ანსამბლიდან და ამ თვალსაზრისით წარმოადგენდა ნამდვილ სიმახინჯეს**, აუცილებლად დაექვემდებარებოდა დემონტაჟს... **სამწუხაროდ, ასე არ მოხდა და, როგორც ჩანს, არც მოხდება, რაც საქართველოს მოდელირებული და საბედისწერო მომავლის ავტორებმაც კარგად შენიშნეს და ქვეყნის სრული პარტახისა და განადგურების ფონზე „ᲞᲐᲛᲞᲔᲠᲡᲘᲡ ᲮᲘᲓᲘ“, როგორც არაბების, ინდუსების, პაკისტანელების, ავღანელების, აფრიკელებისა და ირანელების თავშეყრის ადგილი,** გავრცელებულ მასალაში უცვლელად დატოვეს!

მოკლედ, ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ, **თუ საქართველოში დემოგრაფიული ვითარება ისე შეიცვალა, როგორც ეს მოდელირებულ ვიდეორგოლშია ნაწინასწარმეტყველები,** სააკაშვილის **„ᲞᲐᲛᲞᲔᲠᲡᲘᲡ ᲮᲘᲓᲘ“,** რომელიც „ქართულ ოცნებას“ **ᲣᲜᲓᲐ ᲐᲔᲚᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠ ᲐᲘᲚᲝ,** გახდება უტყვი მოწმე იმ კატასტროფისა, რომელიც კარიბჭესთან მოგვადგა!

სხვათაშორის, „ქართულმა ოცნებამ“ არათუ **„ᲞᲐᲛᲞᲔᲠᲡᲘᲡ ᲮᲘᲓᲘ“,** არამედ **„გიჟი მიშას ველოსიპედიც“** კი ვერ აიღო, რომელიც რესპუბლიკის მოედანზეა წამომართული, როგორც სააკაშვილის **იმ გიჟური მმართველობის სიმბოლო,** რომელმაც ქვეყანა დაღუპა და რუსეთს საშუალება მისცა, ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის „დამოუკიდებლობა“ ეღიარებინა. აღარაფერს ვამბობთ გმირთა მოედანზე წამომართულ იმ უზარმაზარ, **ფალოსის მაგვარ მონუმენტზე,** რომელსაც ულვაშები რომ გაუკეთო, **ᲠᲝᲛᲐᲜ ᲒᲝᲪᲘᲠᲘᲫᲔ** იქნება შევარდნაძის პარლამენტში!

მოდელირებულ ვიდეოში დასაწყისშივე ისმის ზუსტად ისეთივე ხმა, რა ხმაზეც მუეძინები ყიოდნენ კახეთის სოფლებში **1659 წელს, ბახტრიონის ლეგენდარული აჯანყების წინ,** ვიდრე კახელებისა და თუშ-ფშავ-ხევსურების გაერთიანებული ლაშქარი, **ᲖᲐᲐᲚ ᲐᲠᲐᲒᲕᲘᲡ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ, ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲩᲝᲚᲝᲧᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲐᲚᲕᲐ ᲓᲐ ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠ ᲥᲡᲜᲘᲡ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲔᲑᲘᲡ** მეთაურობით, მეწყერივით არ დააცხრა თავს ბახტრიონსა და ალავერდში გამაგრებულ ყიზილბაშთა მთავარ ჯარს და **გაწყვეტილასთან** სრულად არ **ამოწყვიტა** გადამთიელნი.

**ვიდეოკადრებში ქართველი გოგო-ბიჭების სიცილ-კისკისის ნაცვლად ისმის მომაკვდავი ძროხის ან დასაკლავად გამზადებული ხარის ბღავილი, რაც სიმბოლურად, ალბათ, იმას ნიშნავს, რომ საქართველო სულს ღაფავს და მისი დღეები დათვლილია...** ყველგან ისლამის დროშები ფრიალებს, მათ შორის, თავისუფლების მოედანზეც... თბილისის საკრებულოს კენწეროზეც, სადაც ერთ დროს **ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲝᲥᲠᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ხუთჯვრიანი დროშებით ხელში დაშლიგინობდნენ, ისლამური დროშაა აღმართული. **მთლიანად ისლამური სამყაროს გარემოცვაშია წმინდა გიორგის მონუმენტი, რომელიც თბილისს ზურაბ წერეთელმა აჩუქა.**



**ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲝ, ᲗᲣ ᲒᲕᲘᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲝᲗᲮᲤᲔᲮᲐ ᲕᲘᲠᲗᲮᲔᲑᲛᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲒᲕᲭᲐᲛᲝᲜ, ᲝᲠᲤᲔᲮᲐ ᲕᲘᲠᲗᲮᲔᲑᲡ ᲛᲘᲕᲮᲔᲓᲝᲗ!**

# წინასწარმეტყველება, რომელიც არ უნდა აგვიხდეს!

ყველაზე სულისშემძვრელი, რაც ზემოხსენებულ მოდელირებულ ვიდეოკადრებში ნათლად ჩანს, **ვირთხების** სიმრავლეა! უზარმაზარი **ვირთხები თუ ვირთაგვები,** შესეული არიან თბილისის ქუჩებს, გარშემო ყველაფერს ღრღნიან და გამვლელ-გამომვლელს ფეხებში ებლანდებიან. **რაც შეეხება თბილისის მცხოვრებთ, ისინი, ცხადია, ქართველები არ არიან და, ძირითადად, საქართველოში ჩამოთესლებული ინდუსები, პაკისტანელები, არაბები თუ ირანელები გახლავან, რომლებიც მათთვის დამახასიათებელ ტრადიციულ ტანისამოსში არიან გამოწყობილი.** მთელი თბილისი მათია... იმ კორპუსებსა და ე.წ. პენტჰაუსებში, რომელთა რიცხვიც თბილისსა და დანარჩენ საქართველოში ნაწვიმარზე ამოსული სოკოებივით მრავლდება, უკვე იბარტყეს გუშინ და გუშინწინ უცხოეთიდან ჩამოსულთა შთამომავლებმა. **ისინი დაეპატრონნენ მუცელღმერთა ქართველების რესტორნებსა და ღამის კლუბებს, კაზინოებსა და სასტუმროებს, ბაზრებსა და მოედნებს...** ვიდეომასალაში მათი ლაპარაკი არ ისმის, მაგრამ ყველაფრიდან ჩანს, რომ თბილისის ქუჩებში ქართულის ნაცვლად არაბული, ჰინდი, სპარსული და თურქული ენა ბატონობს!

**რუსთაველის პროსპექტზე, საიდანაც ქართველებმა 1991 წლის 22 დეკემბერს საქართველოს დაქცევა და ნაწილ-ნაწილ გაყიდვა დაიწყეს, ყველაფერი თალხით არის მოსილი — არც ოპოზიციის პროტესტი ისმის სადმე და არც თვალებმოხატული ლაზარე ისვრის „მოლოტოვის კოქტეილს“!** ცხადია, არც იმ გოგოს წივილ-კივილი ისმის, რომელიც აგერ უკვე მესამასე დღეა, ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვირის — **„არ იქნება სამართალი, არ იქნება მშვიდობა!“**

**მამუკა ხაზარაძე, თემურ ჭყონია, ნიკუტუ გვარამია, ჭუჭუ ვაშაძე** და ყველა ის ნაძირალა,



ყველგან ისლამის დროშები ფრიალებს, მათ შორის, თავისუფლების მოედანზეც... მთლიანად ისლამური სამყაროს გარემოცვაშია წმინდა გიორგის მონუმენტი...



**ალარაფერს ვამბობთ გმირთა მოედანზე წამომართულ იმ უზარმაზარ, ფალოსის მაგვარ მონუმენტზე, რომელსაც ულვაშები რომ გაუკეთო, რომან გოცირიძე იქნება შევარდნაძის პარლამენტში!**

რომელიც მზად არის, საკუთარი მილიარდებისა და აყროლებული უკანალის გადასარჩენად საქართველო ცეცხლში გახვიოს, საქართველოდან დიდი ხნის გახიზნული არიან და სადღაც შორეულ ამერიკაში აგრძელებენ ნებიერად ცხოვრებას, ხოლო **უბრალო ქართველები, რომელთა ენაც არავის ესმის, სიმწრის ცრემლებს ყლაპავენ და ხმის ამოღების უფლება არა აქვთ,** რადგან საკუთარ სამშობლოში მონებად იქცნენ. **ქართველებმა ჩამოთესლებულ და ამ ქვეყნის ბატონ-პატრონად ქცეულ ინდუსებს, პაკისტანელებს, არაბებს, სპარსელებსა თუ თურქებს ფეხები უნდა დაბანონ, მასაჟი გაუკეთონ, საჭმელი მოუმზადონ და საცვლები დაურეცხონ, რადგან ასეთია იმ წყეული საქმის ბოლო, რასაც საკუთარი ქვეყნის მტრობა ჰქვია!**

ვიდეოკადრებში ჩანს მტკვარი — ორთაჭალასთან დამდგარი, დაგუბებული, აშმორებული და გაშტერებული, რომელიც მსახვრალ ხელს ნაგვითა და სიბილწით აუვსია... „მრავალ დროების მოწამე“ მტკვარი „უტყვი“ გამხდარა და მხოლოდ ერთადერთი ფუნქცია შერჩენია — თბილისში მომრავლებული ვირთხები დაარწყულოს!

**მშრალ ხიდთან, თავისუფლების მოედანზე, ორთაჭალაში, რუსთაველზე, ყველგან, სადაც ადრე საქართველო იყო, ინდუსები და უცხოელები დგანან და სწორედ ინდოეთის, პაკისტანისა და ბანგლადეშისთვის დამახასიათებელი რიქშების რიგია.**

აი, ასეთია საქართველოს ის მოდელირებული მომავალი, რომელიც, ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ, თუ ასე გაგრძელდა და **საქართველოს ალაყაფის ჭიშკარი ყველას გავუღეთ,** შესაძლოა, გაგვიცხადდეს!

საერთოდ, ყველაზე მეტად ამ ვიდეომასალაში ვირთხების სიმრავლე მაშფოთებს. **ცნობილია, რომ ყველა დიდი პოლიტიკური კატასტროფის ჟამს, ვირთხები ქუჩაში გუნდებად გამოდიოდნენ და ისედაც დაზაფრულ ხალხს კიდევ უფრო აშინებდნენ. ასე მოხდა 476 წელს, როცა დასავლეთ რომის იმპერია დაეცა და იგივე განმეორდა 1453 წელს, როცა თურქებმა ბიზანტია მოსპეს!**

სხვათაშორის, ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ მოსკოვისა და ნიუ-იორკის მეტროებში ამ ბოლო დროს გამოჩნდნენ დიდი ზომის მუტანტი ვირთხები, რომლებიც ადამიანებს ერჩიან...

**ვირთხები უტევენ საქართველოს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს მოდელირებული ვიდეომასალა სწორედ ქართველების გამოსაფხიზლებლად შეიქმნა!**

ქართველებო, თუ გვინდა, რომ ოთხფეხა ვირთხებმა არ შეგვჭამონ, ორფეხა ვირთხებს მივხედოთ!

***დიტო ჩუბინიძე***

# მო გელა ნდებით!

## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ხედელაშვილთან ერთად



# იშლებიან ეს ოხრები!

გუშინ ისე დამცა თავზარი **ანიკოს წასვლამ ხაზარაძის „კუალიციიდან“,** სიტყვა ვერ დავწერე...

არადა, როგორ იცელქა, როგორ იანცა, როგორ ილოთა, გზებიც გადაკეტა, ორღობეებშიც გაიჭედა, პოლიციელებსაც აგინა, ებლატავა, ეტრიპაჩა, **ცოტაღა დააკლდა, თითქმის დეპუტატიც გახდა, მაგრამ რათ გინდა?** ზემოდან **მისტერ ყუფარსონმა** დარეკა — არაო, ვერაო, ისევ ქუჩას მიაწექით, ვითამ არჩევნები გაყალბდაო. იცის **ანიკომ,** რომ არაფერი გაყალბებულა, მაგრამ **ყუფარსონს** ასე სურს და რა გაეწყობა?

ჰოდა, მობეზრდა **ანიკოს** ზემოდან დარეკილების თანახმად „ტანცაობა“... თან კიდე ეს **ხაზარაძეც** გაწუწკდა — **ბოლო დროს დღეში ერთი ლავაშის ფულსღა იძლეოდა, მეტს არა.** ჰოდა, ანიკოს ერთი ლავაში ეყოფა დღეში?

ცოტა ხანში **ბრიშა ბეგელიაც** აპირებს ხაზარაძესთან განშორებას. მაგას კიდე ისა სწყენია, ბოლო დროს **მამუკა და ბადრი** ჭკუას ხელოვნურ



ინტელექტს ეკითხებიანო. **როცა ეგეთი ტოპ-ტვინი პარტიაში ვყავარ, ხელოვნური ინტელექტი ვინ ჩემი ფეხებიაო?**

**სალომე სამადაშვილ-მეხრიბეკიანსაც** ეგრე უთქვამს — **არჩევნებში ხელოვნურმა ინტელექტმა გაამარჯვებინოს მამუკას, მე აქ საჭირო აღარ ვარო...** ეგეც რომ არ იყოს, **„ოცნებაში“ სუ დაბანილები არიან და აქ კიდე სუ დაუბანლებიო, აღარ შემიძლია, ვეღარა ვსუნთქავო, ცხვირში ისედაც მიჭერს, ახლა კიდე ესაო?**

ქუთაისის ავტოქარხნიდან გატანილი ჯართით დაქალებული **ანიკო ნაცვლიშვილი,** ფაქტობრივად, წასულია **მამუკას „კუალიციიდან“,** აღარც ავად ჩანს, აღარც — კარგად... არადა, როგორი უკმეხი კომენტარები იცოდა, ქვას ქვაზე აღარ ტოვებდა.

**ალეკო ელისაშვილიც** გაყურსულია, მაგასაც მაგარი ოინი უყო ხაზარაძემ — **ჯერ ბოდიში ახდევინა, მერე საკუთარი მუხლები აკოცნინა, თავისი ნაკვალევი ალოკინა, სიაში მე-20 ჩაწერა, პარლამენტში ფასონადაც ვერ გაიყვანა და ეხლა ეუბნება, წამო ადგილობრივში ვიმონაწილევოთო.**

ბიჭოოოოოო!

**პარლამენტის დეპუტატობა არ აღირსა და ეხლა საკრებულოში ეპატიჟება? პარლამენტამდე იქ არ იყო? მოკლედ, რაააა, ძაან არეული აქვს ამ ხაზარაძეს რამსები.**

მოკლედ, **იშლებიან,** ეს ოხრები, **იშლებიან!**



### გიგი უგულავა:

***ამ ვითარებაში არა თუ არ შეიძლება თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა, არამედ პირდაპირ ქვეყნის ღალატის ტოლფასი იქნება — ვისაც ჰგონია, რომ სხვა, არჩევნებში არმონაწილე პარტიის ხმებს დაეპატრონება, იდიოტია!***

# ხაბეს არ უხდებოდა!

ამას ვიღაცამ უთხრა — **სათვალით უფრო სიმპათიური ხარ, შეიძლება ვინმე ცოლადაც გამოგყვესო და აჰა, დეემგვანა კიდევაც აგენტ ნულნულ შვიდს!**

ესე იგიო, **გიგილომ,** სანამ ვინმეს შავირთამ, ბარემაც გეტყვით, რომეო ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობა ქვეყნის ღალატის ტოლფასი არისო. მე რო 50 მილიონი წავიღე ბიუჯეტიდან, ეგ არ არი ქვეყნის ღალატის ტოლფასიო, ეგ ფული მჭირდებოდა, ზოგი — რაში, ზოგი — რაშიო... მაგალითად, იმჟამინდელ ცოლ დუნდულების კორექცია გავუკეთეო, ოჯახი ხრამია, ბევრი ხარჯი მქონდაო.

**არა, თუ მართლა ჰგონია ვიღაცას, რო ამ არჩევნებში ნაცების ხმებს წაიღებს, ის იდიოტიაო!**

კი, ვეთანხმები, ეს ყველანაირად გაკოტრებულები არჩევნებში მიიღებენ თუ არა მონაწილეობას, მაინც იდიოტები არიან და **ბარემ მიიღონ მონაწილეობა, ეგებ 1-2 პროცენტზე ავიდნენ და რამე დაფინანსება დაითრიონ?!**

რაც მართალია, მართალია, ვერ უარვყოფთ, უხდება **გიგილოს** შავი სათვალე... აი, **ხაბეს** არ უხდებოდა, ნამეტანი ღიპიან კრეტინს ჰგავდა!

# ეს, მგონი, ლაშა ბუღაძეს ან რაგი ამაღლობელს უბიძგებს!

### მამუკა ხაზარაძე:

**არ მინდა, ბრძოლის გარეშე კალაძეს თბილისი გადავაბარო, მერობის კანდიდატი უნდა იყოს სახალხო, პარტიებთან შეთანხმებული დამოუკიდებელი კანდიდატი, რომელსაც ჩვენ გრიალით გავიყვანთ!**



გაალღვიძეთ, ამასაც **„სალომე ბაბო“** შეეყარა, **თავი თბილისის ლეგიტიმური მერი ჰგონია და არ უნდა, რომ კალაძეს გადააბაროს!**

**არა, ახლა ნამდვილად მჯერა, რომ ამერიკელები ჰაერში რაღაცას უშვებენ, თორემ აბა ამდენი გიჟი საიდან?** ადრე, როცა ბებიაჩემი ეგეთ რაღაცებს ამერიკელებს აბრალებდა, არ მჯეროდა, მეცინებოდა, მოჩვენებები აწუხებს-მეთქი. თურმე სად ვბანაობდი? **ესა, კაცო, ჯერ კიდე შარშან ცოტა სერიოზული მეგონა, რაც ამერიკაში მოუხშირა მისვლა-მოსვლას და სიცივე-ყიამათში ინაუგურაციებზე დგომას, რაღაცნაირად მოელრიცა აზროვნება.**

არ მინდა, ბრძოლის გარეშე **კალაძეს** თბილისი გადავაბაროო. ბრძოლის გარეშეო. ესე იგი, ბრძოლით უნდა გადააბაროს.

თუმცა, არა!

**ისეთი დამოუკიდებელი კანდიდატი უნდა გამოიყვანოს ტატამზე, რომელსაც გრიალით გაიყვანს!**

**ნუთუ ალეკო ელისაშვილი?**

ეგებ **ბრიშა ბეგელია?**

ეგებ **ბუა საბაძე?**

არ ვიცი, ღმერთმანი, **ანიკო დოლიძეს** სდომებია და ამას უარი უთქვამს, შენ ნუნუა ფია გიყვარსო. ამიტომაც წავიდა **ანიკო.**

**დიმიტრი ბელოვანი?** სად არი? ეგ ხომ მოკვდა?

აბა, ვინ უნდა გაიყვანოს გრიალით?

ნაღდად **უბორნიის პოეტებსა** და მწერლებზე ექნება აქცენტი გაკეთებული, რომლებსაც, მგონი, **ბუაძე საბას** პრემიები ჩამოურიგა!

***დიდი სიამოვნებით მივიღოდი „კომისიაზე“ და თავს მოვაჭამდი წულუკიანს!***

***ლევან ხაბეიშვილი***



# კურკუმალ, თავის მოჭმის ნაცვლად 25-სანტიმეტრიანი რომ შემოგთავაზოთ?

ალიო, მთავრობა, როგორც კახეთში იტყვიან ხოლმე, **ეს ბანძი ბოლო დროს ძაან ატაცნილია და ხომ არ გაგვეშვა ერთორი კვირით დამაწყნარებელ კოლონიაში?!**

რაც **კეზერამ** უმფროსობიდან გადააყენა, შავი სათვალე წაართვა, ბოტასები დააბრუნებინა, ნაჩუქარი ტრუსიკი თავზე დაახია და, მგონი, კბილებიც დააძრო, აიშვა, აიწყვიტა, დასაბმელი გახდა, ყოველდღე გამოჰყავთ ტელევიზორში და „ქართული ოცნების“ წევრებს **თავების მოჭმით** ემუქრება.

**ეს რომ ერთი-ორი კვირით კაპეზეში გამოკეტო, ეგრევე დაიწყებს — მე თავის მოჭმა პოლიტიკურად ვიგულისხმეო.**

აშკარაა, კაი ხანია, აღარ მოხვედრია და **გვერდები ეფხანება!**

ჰოდა, **დავფხანოთ,** ჩვენი რა მიდის!

### იაგო ხვიჩია:

***მე მგონია, რომ 97% აიღო ბიძინამ ამ არჩევნებზე, 3% ავიღეთ ჩვენ, 97-ით 3 მოგვიგო ბიძინამ და ამიტომ ვარ შეგუებული „ქართული ოცნების“ მმართველობას!***



# იმათი გაფრენის აფრენა

ისე, კი მიაახლოვა ციფრები იაგომ, მაგრამ მაინც შეცდა — **ამათ ბიძინამ მოუგო 99-ით 01 და ეგ ერთიც საეჭვოა.**

თუმცა, არ ვდავობ, ჯანდაბას, 2% მიფეშქაშებია, ეგეთი ცდომილება ყველგან მოსულა. ახლა **ადგილობრივ არჩევნებში** მაგ ცდომილებასაც გამოვასწორებთ.

**ისა და... ოქტომბერში რომ წააგებენ სუფთაზე, მერე კიდე უნდა ირბინონ რუსთაველზე ჯოგებად და იჯღნავლონ თუ მუნიციპალურ დონეებზე გადავლენ?** მე ვურჩევ, ყოველ საღამოს ჩაირბინონ ხოლმე გამგეობებთან და იყვირონ: **„ალ იქნება სამალთალი? ალ იქნება მშვიდობა“!**



# გარაჟები მაინც გაგენაწილებინა!

**რუბენა** წავიდა! რომელი **რუბენა?**
ჰმ... რომელი და ისა, **დიღმის პენტაგონში რო იჯდა და თავი პრინცესა ეგონა — დანიბანი** თუ **ბანდაბანი.** კი ეგონა, მაგრამ იგივე თავი ვერაფრით დაგვამახსოვრა. **მაგისმა წინამორბედმა გარაჟები მაინც გაანაწილა, საქმეები არჩია, ამან ეგეც ვერ მოახერხა.**
ერთი ეგ არი, თავისი ქვეყნიდან თავისი პრეზიდენტის მიერ გამოგზავნილი მისალოცი წერილი დამალა და, მგონი, ამას შეეწირა კიდევაც.
თვითონ იძახის — წასვლის თაობაზე გადაწყვეტილება პირადად მივიღე და პენციაზე გავედიო.
**რათა, ქალო, შარშან არ მოხვედი? რა იყო, რა გეჩქარებოდა?** როგორც ჩანს, ოკეანის გაღმიდან შემოგითვალეს, დაახვიეო და მეტი რაღა დაგრჩენოდა?
შენი წყალი მალე ევროკავშირისა და გერმანიის ელჩებსაც გადასხმოდეთ, შენ კი, გარაჟები მაინც გაგენაწილებინა და იგრე წასულიყავი,
**მთლად ეგრე უსახელოდ გადაკარგვა გაგონილა?**

# რამდენჯერ უნდა გითხრათ, ამ ქალს ნუ ასმევთ-მეთქი?!



**კარგი, ჰო, დავუშვათ, ვერ იჭერთ და მაინც სვამს,** ნასვამი რაღათ გამოგყავთ ტელევიზორში?

**კარგი, ჰო, დავუშვათ, როცა თვითნებურად სვამს, ეგრევე უნდება ტელევიზორში გამოსვლა და თავისი „ფლატფორმის“ პოზიციებზე ლაპარაკი,** ხომ შეიძლება, გამორთულ კამერასთან ალაპარაკოთ?

**ხომ შეიძლება, პირდაპირ ეთერში არ გაუშვათ, კასეტაზე ერთი ეგზემპლარი ჩაუწეროთ და ის აჩვენოთ?**

როცა ლენინი ამავე დღეში იყო, სტალინი ერთ ცალ „პრავდას“ თუ „ისკრას“ უბეჭდავდა, სადაც სუ მისთვის გასახარელი ამბები ეწერა და ისიც კმაყოფილი იყო.

ეხლა მოვყვე, გუშინ რეები წამააწვინა?

**მეო, გადავწყვიტეო, ჩემი „ფლატფორმის“ მიდგომები შეგახსენოთ კიდე ერთხელო. არა, ეგ ყველაფერი ზეპირად იცით, მაგრამ გამეორება ცოდნის დედააო. მოკლედო, თუ ოქტომბერში არჩევნები ვერ ჩავატარეთ, მაშინ ოქტომბერში უნდა ჩავატაროთ ერთდროულადო. ოღონდ ეგ არჩევნები ბიძინა ივანიშვილმა კი არ უნდა ჩაატაროს თავის სუსთან ერთად, მე უნდა ჩავატარო გოგიევიჩთან და პაატა ბურჭულაძესთან ერთადო.**

ხალხო, რასაკვირველია, როცა ამას არაყ აყლურწინებთ ხოლმე, ირგვლივ ყველაფერი ყანყალებს, მაგრამ ხომ არ შეიძლება, რომ ეს იყოს თქვენი პოლიტიკური „ფლატფორმა“?

არა, მე სუ ფეხებზე მკიდია ამის ბჟუტური, მაგრამ დავიწვი თქვენი საცოდაობით და უფრო ამის საცოდაობით, **ბოლო-ბოლო, ჩემი არჩეულია... ბოლო-ბოლო, ამის ასარჩევად ქვემო მაჩხაანისა და ძველი ანაგის ორლობეები მაქვს მოვლილი.**



## სალომე ზურაბიშვილი:

## პარტიების პოლიტიკური პასუხისმგებლობაა, დაყენდნენ და მიხვდნენ იმას, რომ ერთიანობა აუცილებელია და ისიც, რომ სიტუაცია კარგად გაიგონ!

# ესეცა, კაცო?



სტუდენტების პროტესტი სოლიდარობის ნიშნად

გუშინ თუ გუშინწინ გავრცელდა ვიდეო — აეს ბალღი ბოდავდა რაღაცას, ბოლო რამდენიმე სიტყვა გავარჩიე — **ბრძოლა ბოლომდეო!**

ამ ბალღს, რომლის გვარ-სახელიც **ხალიბეგ მაგამედოვი** ყოფილა, უკან ასევე უდგანან ბალღები, რომლებსაც სახეებზე აწერიათ, რომ აქ არ არიან, მათი აზრი და გონება სადღაც დაფარფატებს.

ეს **ხალიბეგ მაგამედოვი** ან დაღესტნელია, ან კიდე **არდან-ბურდანელი,** თითქმის ყველა აქციაში მონაწილეობს და აცხადებს — არ ვაპირებ, ამ რეჟიმს შევეგუოო.

ბიჯოოოოოოოო!

**ყველა სტუმარი რო ჩვენი „უმფროსია“, გავიგე, მაგრამ ეს თოვლზე მიფსმულიც, კაცო?**



იულონ გაგოშიძე

# ბატონო იულონ, ამ ერთხელაც გათხარეთ!

აგერ ბოლო პოეზიდანის ბოლო შედევრიც — **პარტიებს მიმართავს, დაყენდითო.**

ეს სიტყვა ქიზიყში გამიგონია ხუმრობით და ყოველთვის მაქვს შეგრძნება, რომ არქაულია.

**მივმართავ არქეოლოგ იულონ გაგოშიძეს, რომელიც გავარვარებული ნაცია და ამავე დროს ამ ქალის ფანიც გახლავთ: ბატონო იულონ,** თუ კიდევ შეგწევთ ძალა, ამ ერთხელაც გათხარეთ იქ, სადაც არ უნდა გათხაროთ და დაადგინეთ, რომელ ჩვენს წელთაღრიცხვამდელ ტომს განეკუთვნება ეს ქალი? **თქვენ მე ერთხელ უკვე გამაოცეთ, როცა ალაზნის ველზე ჩემი ნაკვეთი გათხარეთ, იქ მე-5** (ოღონდ ჩვენი წელთაღრიცხვამდელი) **საუკუნის ციხე-დარბაზი აღმოაჩინეთ და იმ ადგილს „გელას გორა“ უწოდეთ. არ ვიცი, სად ნახეთ იმ ვაკე ადგილზე გორა და თანაც გელასი, მაგრამ ფაქტია, ასე მოხდა.** ახლა კი, გთხოვთ, ამ ქალის სიახლოვეს გათხაროთ და გვითხრათ — ვინ არის იგი სინამდვილეში — **პაჭანიკი? ყივჩაღი? დურძუკი?** გაგვაგებინეთ, რომელი საუკუნის ენაზე გველაპარაკება? **ჩვენ, უბრალოდ, ვალდებული ვართ, ვიცოდეთ, რასთან გვაქვს საქმე — ეგებ ამისი ენა უფრო ღირებულია, ვიდრე ილია ჭავჭავაძისა?**



ეს ქალი, ვინმე **მელანო** ყოფილა **ქალ-კაც-ბავშვა თათია-გოგია-ჭუჭულიკ აფრიამაშვილის დედა.**

როგორც იცით, **ქალ-კაც-ბავშვ აფრიამაშვილს** დეპუტატ ლაშხის შეურაცხყოფის გამო 12 დღე პატიმრობა მიუსაჯეს.

ავი ენები იძახიან, **თათია-გოგია-ჭუჭულიკა** ძაან მძიმე პირობებში ჰყავთ, ყოველდღე აწამებენ, ჩიტების ჭიკჭიკს არ ასმენინებენო. **არაუშავს, მგონი, 12 დღე გავიდა კიდეც, გამოვა და მოისმენს, მაგრამ მთავარი აქ სხვა რამეა:** ეს ქალი, რომელსაც მხრებზე ზურგჩანთა მოუგდია, აცხადებს, რომ **აქციები ახალგაზრდებმა დაიწყეს და ეს ხელისუფლება სწორედ ახალგაზრდებმა უნდა დაამხონ!**

გაიგონეთ?

**ეს ბომჟი იძახის — ხელისუფლება უნდა დავამხოთო.**

არა, ჯერ ერთი, ამისი და ამისნაირების დასამხობი ხელისუფლება სად არი? მეორეც — **ამან და ამისნაირებმა ხელისუფლება რომ დაამხონ, განა ის ხელისუფლება ყველაფრის ღირსი არ იქნება? მეტიც, განა ჩვენ მეტის ღირსნი არ ვიქნებით?!**

იცით, ცხოვრებამ რაში დამარწმუნა?

რაც 1991-1992 წლებში მოხდა, რაც მაშინ ე.წ. ინტელიგენციამ ჩაიდინა, ეს იყო ამაზრზენი და უპატიებელი შეცდომა, მაგრამ ერთი კი ფაქტია — **იმჟამინდელ პუტჩისტებს საზოგადოებაში მაინც ჰქონდათ გავლენა და ავტორიტეტი და ხალხის ნაწილმაც რაღაცები დაიჯერა...**

ეს ბომჟები ვინ არიან? საიდან მოვიდნენ? ვის დაჰკარგვიან? რას გვანან?

**მიდი, ქალო, არაყი თუთქე, კიტრის მწნილი მიაყოლე, პაპიროზს მოუკიდე, გააფუილე, ფისი ქენი, დაიძინე!**

**ყარს უკვე რუსთაველი ამათ გამო!**

# ეს ბომჟები ვინ არიან?

# ლია მელიქიშვილი: როდესაც გამოცხადდა, რომ უნივერსიტეტში შემცირებები უნდა დაწყებულიყო, თანამშრომლებს უთხრეს – სამსახურიდან გაგიშვეს თუ არა, ამას მაშინ გაიგებთ, როცა ხელფასის ასაღებად სალაროსთან მიხვალთო!



***2025 წლის 3 ივნისს პარლამენტის საგამოძიებო კომისიის სხდომა სააკაშვილის რეჟიმის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და, ზოგადად, ქართული განათლებისა და მეცნიერების სფეროში დატრიალებულ ნეობოლშევიკურ რეპრესიებს მიეძღვნა, რომლის შესახებაც თავად ამ რეპრესიის მსხვერპლებმა — თვალსაჩინო ქართველმა მეცნიერებმა ისაუბრეს.***

*საგამოძიებო კომისიის სხდომა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის* ***ლია მელიქიშვილის*** *გამოკითხვით დაიწყო. მან ისაუბრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ღვაწლმოსილი მუშაკის, არქეოლოგიის კათედრის მეცნიერ-თანამშრომლის, ისტორიკოს* ***თამარ კეკელიძის*** *შესახებ, რომელიც ქართულ ალმა-მატერში სააკაშვილის რეჟიმის მიერ* ***კახა ლომაიას ხელით*** *განხორციელებულ რეპრესიებს ემსხვერპლა — ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.*

**ლია მელიქიშვილი:** — როდესაც გამოცხადდა, რომ უნივერსიტეტში შემცირებები უნდა დაწყებულიყო, თანამშრომლებს უთხრეს — სამსახურიდან გაგიშვეს თუ არა, ამას მაშინ გაიგებთ, როცა ხელფასის ასაღებად სალაროსთან მიხვალთო! ასეც მოხდა: როდესაც ხელფასის დღე მოვიდა და თანამშრომლები სალაროსთან მივიდნენ, მოლარემ **თამარ კეკელიძეს** უთხრა — სამწუხაროდ, შენ სიაში არ ხარო!

თამარს ხმა არ ამოუღია, ვერც ვერავის დაელაპარაკა და სახლში ძალიან შეწუხებული წავიდა. იმავე საღამოს ჩვენს მეგობარს ძალიან დიდხანს ესაუბრა ტელეფონით, უყვებოდა, თუ რამდენად შეურაცხყოფილი იყო იმით, რაც მოხდა და ამბობდა — ჩემს თავს არ ვჩივი, უნივერსიტეტზე და, საერთოდ, საქართველოზე მწყდება გულიო! როგორც კი მეგობართან საუბარი დაამთავრა, ცუდად გახდა. თამარი **კუზანოვების *(ცნობილი ექიმების ოჯახი. რედ.)*** მეზობელი იყო, მათ მაშინვე საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ ველარაფერი უშველეს და გულის შეტევით გარდაიცვალა.

**თამარ კეკელიძეს** მთელი ცხოვრება ვიცნობდი, ძალიან ჯანმრთელი ადამიანი იყო და არათუ გული არ აწუხებდა, ავადაც კი არასოდეს გამხდარა. მას სიცოცხლე შეურაცხმყოფელმა დამოკიდებულებამ, ირიბმა ძალადობამ, ცინიზმმა და დამცირებამ მოუსწრაფა.

საერთოდ, როცა ისტორიის ინსტიტუტიდან მაღალი დონის მეცნიერები გაათავისუფლეს, ყველა ერთმანეთის მიყოლებით გარდაიცვალა და პანაშვიდზე მისვლასაც კი ვერ ვასწრებდით.

*კომისიის თავმჯდომარის კითხვაზე —* ***ხომ არ გახსოვთ, რომელი წელი და თვე იყო, როცა ქალბატონი თამარ კეკელიძე სალაროსთან ხელფასის ასაღებად მივიდა და უთხრეს, რომ სიაში აღარ იყო?*** *—* ***ლია მელიქიშვილმა*** *უპასუხა:*

— ეს იყო 2005 წლის ივლისი, 20 წელი გავიდა.

**თეა წულუკიანი: — ქალბატონ თამარს ოჯახი ჰყავდა?**

**ლია მელიქიშვილი:** — დედა ჰყავდა, რომელიც გარდაეცვალა და მერე მარტო იყო, სულ სხვებზე ზრუნავდა, უყვარდა ხალხი და თავის მოვალეობად მიაჩნდა, რომ საქართველოს ისტორია ყველას სცოდნოდა. არ ჰქონდა მნიშვნელობა, მეზობელი იქნებოდა თუ ვინ იქნებოდა, ყველას, განსაკუთრებით კი ბავშვებს, ისტორიას ასწავლიდა.

**თეა წულუკიანი: — თქვენი პასუხი ადასტურებს, რომ ის იყო ქართველი ქალი, რომელმაც, საკუთარი პირადი ცხოვრების ხარჯზე, თავი უძღვნა სამშობლოს ისტორიის კვლევას... ესე იგი, იმ ღამესვე გახდა ცუდად?**

**ლია მელიქიშვილი:** — იმ ღამეს, როცა ჩვენს მეგობარს დიდხანს ესაუბრა ტელეფონით (მგონი, ღამის 4 საათამდე საუბრობდნენ), თამარი ძალიან გამწარებული იყო, ბოლოს კი უთხრა — რაღაც არ ვარ კარგადო... ამით მორჩნენ საუბარს და მეორე დღეს შეხვედრაზე შეთანხმდნენ, მაგრამ მეორე დილით თამარი აღარ იყო.

**თეა წულუკიანი: — აქ, ალბათ, ძნელია, ვინმემ, თუნდაც ჩასაფრებულმა, თქვას, რომ ქალბატონი თამარის სამსახურიდან გაშვებასა და ფატალურ შედეგს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირი არ არის!**

**ლია მელიქიშვილი:** — დიახ, ჩვენ ყველას ასეთი შთაბეჭდილება გვაქვს, ყველას, ყველას.

**თეა წულუკიანი: — უნივერსიტეტის ან სამინისტროს მხრიდან რა რეაქცია იყო?**

**ლია მელიქიშვილი:** — თვითონ ის მოლარე მოდიოდა და ძალიან ტიროდა... მგონი, უნივერსიტეტიდან რაღაც გაკვრით თქვეს, მაგრამ ეს არ ყოფილა ბოდიშის მოხდა ან რამე მსგავსი. ვგულისხმობ უნივერსიტეტის მმართველებს, თორემ სტუდენტები და ლექტორები შოკში იყვნენ... თამარ კეკელიძის გარდაცვალების შესახებ, მე მგონი, მარტო გაზეთმა „ასავალ-დასავალმა“ დაწერა, რადგან მაშინ ყველგან ვერ დაბეჭდავდი იმას, რაც გინდოდა.

**თეა წულუკიანი: — ამ დროს მინისტრი იყო ალექსანდრე (კახა) ლომაია, ხომ სწორად მახსოვს?**

**ლია მელიქიშვილი:** — დიახ!

**თეა წულუკიანი: — მისი რეფორმის მსხვერპლია ქალბატონი თამარ კეკელიძე...**

**ლია მელიქიშვილი:** — დიახ, ასე გამოდის, დიახ!

**თეა წულუკიანი: — რექტორი უკვე შეცვლილია თუ ბრძოლა მიმდინარეობს ამ დროს?**

**ლია მელიქიშვილი:** — მაშინ რექტორი იყო რუსუდან ლორთქიფანიძე.

**თეა წულუკიანი: — ამ დროს უკვე ბატონი როინ მეტრეველი აღარ არის რექტორი...**

**ლია მელიქიშვილი:** — არა, ბატონი **როინ მეტრეველის** დროს ასეთი რამ არავითარ შემთხვევაში არ მოხდებოდა, ამაზე თავს დავდებ!

***ლია მელიქიშვილის*** *თქმით, ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში განხორციელებული რეპრესიები ძალიან ჰგავდა 1937 წლის ავბედით მოვლენებს, როცა რეჟიმისათვის არასასურველი ადამიანების ფიზიკური თუ მორალური განადგურება არამხოლოდ „ზემოდან“ წამოსული ბრძანებებით, არამედ ე.წ. ქვედა რგოლებში დაბუდებულ დამსმენთა ძალისხმევითაც ხდებოდა.*

*როგორც აკადემიკოსმა განაცხადა, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სამეცნიერო ინსტიტუტებში თავი იჩინეს* ***ახალი დროის ლუმპენ-პროლეტარებმა,*** *რომლებიც ცდილობდნენ, მათთვის მიუღებელი თანამშრომლები სამსახურებიდან მოეშორებინათ.*

**ლია მელიქიშვილი:** — ჩემზეც და **თამილა ცაგარეიშვილზეც *(ცნობილი ისტორიკოსი და ეთნოლოგი, პროფესორი. რედ.)*** ბევრი ზეწოლა იყო, რომ წავსულიყავით და მართლა წავედით. მე არ შემეძლო ასეთ პირობებში მუშაობა და განცხადება დავწერე... ისტორიის ინსტიტუტში ითქვა — ამათ რომ შემცირებაში მოვაყოლებთ და გავაძევებთ, ხელფასი მოგვემატებაო! დავიანგარიშეთ და ჩვენი გათავისუფლების ხარჯზე სხვებს ხელფასი 5-7 ლარით გაეზრდებოდათ. მე ვიყავი კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების გამგე და ხელფასი მქონდა 120 ლარი, ხოლო ბატონი




## „თამარ კეკელიძეს სიცოცხლე შეურაცხმყოფელმა დამოკიდებულებამ, ცინიზმმა და დამცირებამ მოუსწრაფა... თამარ კეკელიძის გარდაცვალების შესახებ, მე მგონი, მარტო გაზეთმა „ასავალ-დასავალმა“ დაწერა...“

## კვირგვინოსნები



**თეა წულუკიანი**
*2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმისა და რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე*

ხონის მე-13 დაწესებულება არის **სააკაშვილის მმართველობის სიმბოლო.** დავადასტურებთ, რომ **სააკაშვილი** არ იყო ქართული სახელმწიფოს მშენებელი თუ აღმშენებელი, **ის იყო ჩვეულებრივი მწვალებელი,** რომელიც ამ კარცერებში პატიმრებს სჯიდა და შემდეგ **არაადამიანური მოპყრობისა და წამების მსხვერპლად** აქცევდა ხოლმე.

„რეზონანსი“



**ლევან ნიქოლეიშვილი**
*„ერთიანი ნაციონალური საქართველოს“ წევრი*

**„დემოკრატიის შუქურის“** გათავისუფლებას და მერე **ხელისუფლებაში დაბრუნებას რომ ითხოვენ ჩვენი დაუძინებელი „მეგობრები“** ან ფარა-ში ადამიანის უფლებების დარღვევას რომ ხედავენ, **ხონის ციხის კადრების ნახვა არ აინტერესებთ?**

„იმედინიუსი“



**მაია ნიქოლეიშვილი**
*სამედიცინო ექსპერტი*

მწარედ მახსოვს **სააკაშვილის სპეცრაზმელების შემოვარდნა დილის 5 საათზე,** როდესაც ყველას ეძინა და როდესაც **ავტომატი იყო მოშვერილი ჩემსა და ჩემი 11 წლის ბავშვის მიმართ.**

„TV იმედი“



**გურამ მაჭარაშვილი**
*პარტია „ხალხის ძალის“ აღმასრულებელი მდივანი*

ნაციონალური მოძრაობა და მისი ფილიალები **უპრინციპოები არიან,** თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას **თუ მიიღებენ, წააგებენ, თუ არ მიიღებენ, საერთოდ გაქრებიან.**

„პირველი არხი“

# გიორგი გოგოლაშვილი: მე დღესაც ბოდიშს მოვუხდი ბატონ როინ მეტრეველს ამ სიტყვების გამეორებისათვის!



**დავით მუსხელიშვილი** ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი გახლდათ და ხელფასი ჰქონდა 140 ლარი.

**თეა წულუკიანი: — ისტორიის ინსტიტუტს და უნივერსიტეტის ისტორიის კათედრას უფრო მეტად ებრძოდნენ, ვიდრე სხვებს?**

**ლია მელიქიშვილი:** — როცა უნივერსიტეტში კათედრები გააუქმეს, ისტორიის კათედრას ჰქონდა ბატონი **როინ მეტრეველის** მიერ გაკეთებული ფანტასტიკური კაბინეტი, სადაც იყო ხუთვერსიანი რუკა, იყო ასევე **ზურაბ წერეთლის** მიერ შექმნილი უზარმაზარი პანო — მთელი საქართველო, ეთნოგრაფია, კოშკები, სახლები, ყველაფერი... ის რუკა დაიკარგა, ხოლო **ზურაბ წერეთლის** არაჩვეულებრივი პანო დაჭრეს, დახიეს და ფანჯრიდან გადაყარეს.

*საგამოძიებო კომისიის წევრმა **თენგიზ შარმანაშვილმა ლია მელიქიშვილს** ჰკითხა — პრეზიდენტ სააკაშვილის დედა **გიული ალასანია** ისტორიის ინსტიტუტში მუშაობდა და ნუთუ სურვილი არ გასჩენია, რომ ასეთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო კერა განადგურებისაგან გადაერჩინა?*

**ლია მელიქიშვილი:** — **გიული ალასანია** საკმაოდ კარგი მეცნიერი იყო, კარგად მუშაობდა, კარგი ნაშრომები ჰქონდა, განყოფილების გამგეც გახლდათ, მაგრამ არ მახსოვს, ისტორიის ინსტიტუტის მძიმე მდგომარეობიდან გამოსაყვანად რამე მოემოქმედებინა!

*ცხადია, **გიული ალასანია** არც არაფერს იღონებდა იმისათვის, რომ ქართული განათლება და მეცნიერება მისი შვილის მსახვრალი ხელისაგან გადაერჩინა, რადგან **პრეზიდენტის დედას** სულ სხვა მიზანი ამოძრავებდა — უმაღლესი განათლების სფეროში მონოპოლისტი უნდა გამხდარიყო და სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების ქონება, მათ შორის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კორპუსები, სიმბოლურ ფასად ან, სულაც, უფასოდ ჩაეგდო ხელში!*

*და **გიული ალასანიამ** ამ მიზანს წარმატებით მიაღწია!*

•

***აკადემიკოს ლია მელიქიშვილის შემდეგ პარლამენტის საგამოძიებო კომისიის წინაშე სააკაშვილის რეჟიმის მიერ რეპრესირებული და წვრილმან ხულიგნად შერაცხილი პროფესორი, ენათმეცნიერი გიორგი გოგოლაშვილი წარდგა:***

— ქალბატონი **თამარ კეკელიძის** ამბავი, რომელიც **ქალბატონმა ლიამ** გვიამბო, ერთი ეპიზოდია დიდი უბედურებისა, რაც იმ ხელისუფლებამ უნივერსიტეტს დაატეხა თავს. ძალიან ვერაგულად და ბარბაროსულად აღასრულეს ის, რასაც **ლომაია** მინისტრად მოსვლისთანავე დაგვპირდა, როცა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა — **ჯავახიშვილის უნივერსიტეტს ნაჯახით ამოვძირკვავო!**

დავით ზურაბიშვილმა, რომელიც „თავისუფლების ინსტიტუტის“ წევრი იყო და „ვარდების რევოლუციის“ პერიოდში ნაციონალურ მოძრაობასთან იდგა, დაწერა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დანგრევა, მათ შორის, 22 ფაკულტეტიდან მხოლოდ 6 ფაკულტეტის დატოვება, ჯერ კიდევ რევოლუციამდე, 2002 წელს იყო დაგეგმილი და გადაწყვეტილი.

**გიგი თევზაძე და გივი თარგამაძე** უნივერსიტეტთან დაკავშირებით ბრიფინგს ბრიფინგზე ატარებდნენ, ხოლო გაზეთ „24 საათში“ იბეჭდებოდა წერილები სათაურებით: **„შავი საქმეები თეთრ ტაძარში“, „უნივერსიტეტი კორუფციის ჭაობში იძირება“** და ა.შ.

2002 წლის აგვისტოში, „რუსთავი-2“-დან დამიკავშირდა „კურიერის“ წამყვანი **ეკა ხოფერია** და მთხოვა, მონაწილეობა მიმეღო დებატებში, სადაც **კარმენ მარგველაშვილს** და მე უნივერსიტეტის პოზიცია უნდა დაგვეცვა. ჩვენ პირისპირ დასხდნენ **გიგი თევზაძე და დავით უსუფაშვილი,** რომელიც იმჟამად „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წარმოადგენდა და მთელი საღამო გვიმტკიცებდნენ, რომ ჯავახიშვილის უნივერსიტეტი არის კორუმპირებული... ჩვენ ვეუბნებოდით — თუ ვინმე კორუმპირებულია, დავიჭიროთ, დავსაჯოთ, კანონის წინაშე პასუხი ვაგებინოთ, მაგრამ ეს არ აინტერესებდათ, რადგან მათი მიზანი უნივერსიტეტის დისკრედიტაცია იყო.

2003 წელს, როცა მომიტინგეთა ერთი ნაკადი კრწანისისკენ წავიდა, რათა **შევარდნაძის** გადადგომა მოეთხოვათ, მეორე ნაკადი მოვიდა უნივერსიტეტში... ესენი იყვნენ **თეა თუთბერიძე, ჩიორა თაქთაქიშვილი, გიორგი კანდელაკი, გიორგი ონიანი** და სხვები, რომლებიც უნივერსიტეტს მოადგნენ შეძახილებით — **„როინა, წადი! უნივერსიტეტი ჩვენია!“** მე დღესაც ბოდიშს მოვუხდი ბატონ **როინ მეტრეველს** ამ სიტყვების გამეორებისათვის.

*__გიორგი გოგოლაშვილის__ თქმით, აკადემიკოსმა **როინ მეტრეველმა** მაშინვე გადაწყვიტა გადადგომა, რათა უნივერსიტეტისათვის რეჟიმის რეპრესიული ტალღა აერიდებინა, მაგრამ სამეცნიერო საბჭომ მას რექტორის პოსტიდან წასვლის ნება არ დართო. მისივე განცხადებით, **სააკაშვილის ხელისუფლებამ** უნივერსიტეტის წინააღმდეგ ბრძოლა განსაკუთრებით მას შემდეგ გააძლიერა, რაც პროფესორებმა პარლამენტიდან უმაღლესი განათლების შესახებ კანონის პროექტი გამოითხოვეს, სამეცნიერო საბჭოზე განიხილეს და განგაშის ზარები დაარისხეს.*



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი როინ მეტრეველი

**გიორგი გოგოლაშვილი:** — 2004 წლის 27 სექტემბერს უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ კანონპროექტის 3-საათიანი განხილვის შემდეგ მკვეთრად უარყოფითი დასკვნა გამოიტანა — **უმაღლესი განათლების შესახებ კანონი საქართველოში უმაღლეს განათლებას დაღუპავს!** პრეზიდენტმა სააკაშვილმა, რომელიც იმჟამად თავის დედულეთში — ცხრუკვეთში იმყოფებოდა, 28 სექტემბრის დილის საინფორმაციო გამოშვებებში პირდაპირი ჩართვა გააკეთა და უნივერსიტეტის ლანძღვა დაიწყო — **„წითელი პროფესორები“, „კორუმპირებულები“** და ა.შ. მერე ამ ლექსიკას „ჩარეცხილებიც“ შეემატა.

განათლების მინისტრი **ლომაია** ყოველ გამოსვლაში, როცა კი უნივერსიტეტის შესახებ საუბრობდა, ხმარობდა ტერმინებს — **„უსინდისო“, „უსირცხვილო“, „კორუმპირებულები“, „გათახსირებულები“...** განათლების სამინისტროში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს პოეტი **რატი ამაღლობელი** ხელმძღვანელობდა, რომელმაც ბრიფინგზე გვერდით დაიყენა **ლაშა ბულაძე, ლაშა ბაქრაძე, ზაალ სამადაშვილი** და განაცხადა — უნივერსიტეტი რეფორმის წინააღმდეგია, სამეცნიერო საბჭომ კანონპროექტი ისე დაიწუნა, რომ განხილვაზე არცერთი კონკრეტული შენიშვნა არ თქმულაო! სინამდვილეში, განხილვის შედეგები გაზეთში დაიბეჭდა და შემდეგ, როცა განათლების სამინისტროში შეხვედრა გვქონდა, **რატი ამაღლობელს** ეს გაზეთი წინ დავუდე... **ლომაიამ** ჩვენ წინააღმდეგ ყველა უნივერსიტეტელი გამოიყენა — **რატი ამაღლობელი, გიგი თევზაძე, სიმონ ჯანაშია** (დიდი ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას შვილიშვილი. რედ.) და სხვები...



**„ეს იყო დღე, როცა ხუბუამ პირველად შემოიყვანა უნივერსიტეტში პოლიცია. არსებობს კადრები, როგორ გამოჰყავს პოლიციას უნივერსიტეტიდან ხელებგადაგრეხილი პროფესორები!“**

სტუდენტებშიც დაიწყეს იმ ხალხის ძებნა, ვისაც თავიანთ საქმეს გააკეთებინებდნენ და რამდენიმე სტუდენტური ჯგუფი შექმნეს — **ბოკერიას ჯგუფი, კირკიტაძის ჯგუფი** და ა.შ. ერთ-ერთი ჯგუფის ხელმძღვანელი იყო გვარად **ავალიანი,** რომელიც ამ ამბების შემდეგ გუბერნატორის მოადგილედ დაინიშნა ქვემო ქართლში თუ სადღაც.

*როგორც **გიორგი გოგოლაშვილმა** აღნიშნა, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რამაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესურა უკიდურესად აღაშფოთა, ის იყო, რომ ნაცმოძრაობის მიერ შემუშავებული კანონპროექტის მიხედვით, **სახელმწიფო***

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## კვირგვინოსნები

**პაველ ჩიხლაძე**
*2011 წლამდე ხონის სასჯელაღსრულებითი დაწესებულების სოციალური სამსახურის მუშაკი*



გარეთ ცხოვრობდნენ პატიმრები, **კარავში იხდიდნენ სასჯელს.** ღამის საათებში შუქი არ გვქონდა, **მანქანის საბურავებით ვანთებდით ცეცხლს და ისე ვანათებდით დაწესებულებას,** რომ მსჯავრდადებულები არ გაგვქცეოდნენ.

„იმედინიუსი“

**თამთა მეგრელიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**ხონის ციხე არის ერთ-ერთი მძიმე ანარეკლი** იმ რეალობისა, თუ სად და რა პირობებში უწევდათ ყოფნა პატიმრებს. ისინი აღმოჩნდნენ **სახელმწიფოს ტყვეები მიხეილ სააკაშვილის სისხლიანი სისტემის ხელში.**

„იმედინიუსი“

**არჩილ გამზარდია**
*პოლიტოლოგი*



არცერთ ოპოზიციონერ პოლიტიკურ ლიდერს არა აქვს **მაღალი რეიტინგი.** მათ არა აქვთ არც **ფინანსური რესურსები** და არც **საამაყო წარსული.**

„ახალი თაობა“

**თამარ ჩარკვიანი**
*ყოფილი პარლამენტარი*



**თბილისის წართმევა შეგვიძლიაო... ვის — ხაზარაძეს?!** მაგას მარტო **თბილისელებისთვის ბინების წართმევა შეუძლია!**

„ახალი თაობა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

# ავთანდილ არაბული: ეს იყო უნივერსიტეტის რეფორმა? არა, ეს იყო უნივერსიტეტის განადგურება და ვანდალიზმი!



***უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო პროცესის ქართულ ენაზე წარმართვა სავალდებულო აღარ იქნებოდა.** ამასთანავე, აქტიურად ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ **გიგი თევზაძე,** რომელსაც იმხანად განათლების სამინისტროში მაღალი თანამდებობა ეკავა, დახურულ შეხვედრებსა თუ პრივატულ საუბრებში იქადნებოდა — **საქართველოს სახელმწიფო ენად ინგლისური უნდა გამოვაცხადოთო!***

**გიორგი გოგოლაშვილი:** — როცა განთლების სამინისტროში შეხვედრა გვქონდა, **ლომაიას** ვკითხე — საქართველოს სახელმწიფო ენად ინგლისურის გამოცხადება **გიგი თევზაძის** პირადი პოზიციაა თუ სამინისტროსი-მეთქი, რაზეც პასუხი არ მიმიღია! **გიგი თევზაძეც** იქ იყო და არ უარუყვია, რომ ეს მართლა მისი ნათქვამი იყო!

***გიორგი გოგოლაშვილის** განცხადებით, სააკაშვილის რეჟიმის უპირველესი სამიზნე უნივერსიტეტის რექტორი **როინ მეტრეველი** იყო, რომელსაც დიდი ავტორიტეტი ჰქონდა და ადვილად ვერ ერეოდნენ, თუმცა, საბოლოო ჯამში, მიზანს მაინც მიაღწიეს და ღვაწლმოსილი აკადემიკოსი იტალიაში საქართველოს მაშინდელი ელჩით — **რუსუდან ლორთქიფანიძით** ჩაანაცვლეს.*

**გიორგი გოგოლაშვილი:** — **რუსუდან ლორთქიფანიძე** უნივერსიტეტისათვის უცხო პიროვნება იყო, თუმცა, მის მიმართ დღესაც პატივისცემით ვარ განწყობილი, რადგან მათი იმედები ვერ გაამართლა და მას **ვერ გააკეთებინეს** ის, რაც **ლომაიას** უნდოდა!

უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ, საბუნებისმეტყველო, ეკონომიკურ და სამედიცინო ფაკულტეტებზე 3500 აკადემიური ადგილი იყო, მაგრამ **ლომაიას** მიერ გამოცემული ბრძანების თანახმად, კონკურსი მხოლოდ 700 ადგილზე გამოცხადდა, დანარჩენი 2800 ადგილი კი უნდა გაუქმებულიყო... ქალბატონმა **რუსუდან ლორთქიფანიძემ** შეძლო, 2006 წლის აპრილამდე **ლომაიას** ბრძანება არ შეესრულებინა და 2800 აკადემიური ადგილი არ გაეუქმებინა, მაგრამ როცა მივლინებით გერმანიაში გაემგზავრა, ლომაიამ ბრძანება გამოსცა და საზღვარგარეთ მყოფი ქალბატონი **რუსუდანი** რექტორობიდან მოხსნა.

***რუსუდან ლორთქიფანიძის** შემდეგ რექტორის თანამდებობაზე **გიორგი ხუბუა** დასვეს, რომელმაც **სააკაშვილის რეჟიმის** ხუშტურები მორჩილად აღასრულა და ყველაფერი გააკეთა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ნაცმოძრაობისათვის მიუღებელი პროფესორ-მასწავლებლები აღარ გაჭაჭანებულიყვნენ.*

**გიორგი გოგოლაშვილი:** — 2006 წლის 19 ივნისს რექტორატის გვერდით არსებულ დარბაზში შევიკრიბეთ და რექტორთან შეხვედრა მოვითხოვეთ, მაგრამ **გია ხუბუა** არ გამოვიდა. გვითხრეს, რომ მეორე დღეს რამდენიმე ადამიანს შეგვხვდებოდა და დაგველაპარაკებოდა. პროტესტის გამომხატველმა პროფესორ-მასწავლებლებმა გადაწყვიტეს — დარბაზში დავრჩებით და დაველოდებით, რექტორთან შეხვედრა რა შედეგით დასრულდებაო! ეს იყო დღე, როცა **ხუბუამ** პირველად შემოიყვანა უნივერსიტეტში პოლიცია. **არსებობს კადრები, როგორ გამოჰყავს პოლიციას უნივერსიტეტიდან ხელებგადაგრეხილი პროფესორები.**

20 ივნისს, 4 საათზე, **თენგიზ სანაძე, ჯემალ მებონია, ავთანდილ არაბული** და მე შევხვდით გია ხუბუას, რომელმაც გვითხრა — კონკურსის ჩატარება გადაწყვეტილია და ამ საკითხის გარდა რაზეც გინდათ, ვილაპარაკოთო! უხმოდ ავდექით, გამოვედით და პროტესტი გავაგრძელეთ. 3 ივლისს ჩავატარეთ საბჭოს საგანგებო სხდომა და გადავწყვიტეთ, რექტორის გადადგომა მოგვეთხოვა. როცა **ხუბუასთან** კაბინეტში შევედით და თანამდებობის დატოვებისკენ მოვუწოდეთ, მისთვის ეს ძალიან მოულოდნელი აღმოჩნდა... ამას კვლავ პოლიციის გამოძახება მოჰყვა და **ხუბუას** კაბინეტიდან ძალის გამოყენებით გამოგვიყვანეს.

შევედით უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში და განვაცხადეთ, რომ, სანამ **ხუბუა** უნივერსიტეტს არ დატოვებს, პროტესტს გავაგრძელებთ! საპატრულო პოლიციამ სააქტო დარბაზიდან დერეფანში გასასვლელი კარი აგვიჭედა და დაგვრჩა მხოლოდ ერთი კარი, რომელიც ქუჩაში გადიოდა. მთელი მაშინდელი ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი ჩვენთან ერთად იყო და ის ღამე სააქტო დარბაზში გავათენეთ. დასალევ წყალს ქუჩიდან თოკებით გვაწვდიდნენ.




***თეა წულუკიანის** კითხვაზე — **საპირფარეშოში გასვლის საშუალება თუ გქონდათ და ვინმე შეუძლოდ ხომ არ გახდა?** — გიორგი გოგოლაშვილმა* უპასუხა:

— ერთი კიბე იყო, რომელიც **კარმენ მარგველაშვილის** კაბინეტში გადიოდა და იქ წყლის დალევის საშუალება გვქონდა, მაგრამ, ეტყობა, ვიღაცამ გაგვცა და მეორე დღეს ის კიბეც ჩაგვიკეტეს, რის გამოც იძულებული გავხდით, აქცია შეგვეწყვიტა, რადგან, ჰიგიენური მდგომარეობიდან გამომდინარე, იქ გაჩერება შეუძლებელი იყო. ამის შემდეგ პროკურატურაში დაგვიბარეს და **თენგიზ სანაძის, ჯემალ მებონიას, ავთანდილ არაბულის, გია დოლიძის, ვახტანგ ტუსკიას, მაია ნათაძისა** და ჩემ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრეს, თითქოს, რექტორის კაბინეტში ძალის გამოყენებით შევაღწიეთ. საქმეს იძიებდა პროკურორი **დავით ხიზანაიძე,** რომელმაც ჩვენს ქმედებაში სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები ვერ აღმოაჩინა და საქმე ადმინისტრაციული მუხლით გადააკვალიფიცირა, რის საფუძველზეც **წვრილმან ხულიგნებად გამოგვაცხადეს და მოსამართლე თეა თადაშვილმა 100-100 ლარით დაგვაჯარიმა.** ცნობილმა ფიზიკოსმა **ვახტანგ ტუსკიამ** სასამართლო პროცესზე ითხოვა — **უნივერსიტეტიდან წვრილმანი ხულიგნის სახელით ნუ გამიშვებთ, ჩემს ბრალდებას სიტყვა „წვრილმანი“ მაინც ჩამოაცილეთო!**

●

**გიორგი გოგოლაშვილის შემდეგ საგამოძიებო კომისიამ კიდევ ერთ „წვრილმან ხულიგანს“ — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მთავარ რედაქტორ ავთანდილ არაბულს მოუსმინა:**

— როდესაც ჩვენ წინააღმდეგ საქმე აღიძრა, ერთმა ჩვენმა იურისტმა კოლეგამ (სხვათაშორის, არა ჩვენმა მოწინააღმდეგემ, არამედ თანამებრძოლმა) გვითხრა ფორმულა, რომელიც იმ დროიდან ყველაზე მტკივნეულად მახსოვს — **თქვენ სახელმწიფოს დაუპირისპირდით და აუცილებლად დაისჯებით!** მაშინაც ვთქვი და ახლაც მინდა, ხაზი გავუსვა — **ჩვენ სახელმწიფოს არ დავუპირისპირებივართ, არამედ ვიცავდით უნივერსიტეტს და ამით ვიცავდით სახელმწიფოს მისი მტრებისგან!**

არამხოლოდ მოწინააღმდეგეების, არამედ მომხრეებისაგანაც გვესმოდა — **თქვენ დამარცხდით და ამას შეეგუეთ!** ჩვენ მოგვერივნენ, მაგრამ არ დავმარცხებულვართ! დამარცხებული ვიქნებოდით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ე.წ. რეფორმა, რომელიც მათ განახორციელეს, წარმატებული იქნებოდა... მაშინ მე დიდი სიხარულით ვაღიარებდი, რომ დავმარცხდი, მაგრამ, საუბედუროდ, არ დავმარცხებულვართ და დღევანდელი დღეც, ეს შეხვედრაც იმის დასტურია, რომ ჩვენმა მაშინდელმა სწორმა პროტესტმა გაიმარჯვა!

ჩვენ მხარეს — უნივერსიტეტს წარმოადგენდა უდიდესი დამსახურების მქონე პროფესურა, რომელსაც უმაღლესი სამეცნიერო ცენზი ჰქონდა და ყველა იყო უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრი — **თენგიზ სანაძე, ჯემალ მებონია, ვახტანგ ტუსკია** და სხვები... ხოლო გვიპირისპირდებოდა სრულიად ბნელი ძალა, რომელსაც, ერთიორი გამონაკლისის გარდა, არც განათლების გაეგებოდა, არც — მეცნიერების და მხოლოდ მითითებებს ასრულებდა.

მათი შეტევის ძირითადი სამიზნე იყო სამი ინსტიტუცია, სამი ბურჯი ქართული სახელმწიფოებრიობისა — **ჩვენი სამოციქულო ეკლესია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მეცნიერებათა აკადემია.**

ერთი მხრივ, უნივერსიტეტის რექტორის, ბატონ **როინ მეტრეველის** წინააღმდეგ გაილაშქრეს და, მეორე მხრივ, ასეთივე შეტევა განხორციელდა **ალბერტ თავხელიძეზე** — უდიდეს ფიზიკოსზე, რომელიც მაშინ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი იყო. მას დააბრალეს — აკადემქალაქის მიწები გაყიდაო... **ალბერტ თავხელიძემ** ამ შემოტევას ვერ გაუძლო, ჩაჯდა თვითმფრინავში და გაერიდა. მან თქვა კიდეც — როდესაც ნიაღვარი მოდის, უნდა გაერიდოო!

***ავთანდილ არაბულმა** ხაზგასმით ისაუბრა აკადემიკოს **როინ მეტრეველის** უდიდეს დამსახურებაზე და აღნიშნა, რომ მან, როგორც რექტორმა, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიის ყველაზე მძიმე პერი-*

## «მოგვერივნენ, მაგრამ არ დავმარცხებულვართ!»

### კვირგვინოსნები

**ვიქტორ ყიფიანი**
*„ჩვენების“ თავმჯდომარე*



**სახელმწიფოებრივი აზროვნება და ეროვნული ხედვა ქართულ ოპოზიციაში თითქმის გაუჩინარდა.** დღეს ჩვენ ვხედავთ **წვრილფეხა პოლიტიკოსებს** და ვგრძნობთ სახელმწიფო მოღვაწეების მწვავე დეფიციტს. **ნუთუ ამ პარტიებს იმდენი წევრიც არა ჰყავთ, რომ პროტესტს მიაშველონ?** აქციიდან აქციამდე მუდმივად მიჩნდება განცდა, რომ **საპროტესტო მუხტი ვერ გადადის რეალურ მოქმედებაში.** ხშირად ვხედავთ, რომ **პროტესტანტების რაოდენობა 100 კაცსაც არ აღემატება.**

„კვირის პალიტრა“

**გიორგი სოსიაშვილი**
*პარლამენტარი*



**რადიკალურ ოპოზიციაზე:** ესენი პოლიტიკოსები არ არიან, **ესენი ჩვეულებრივი კრიმინალები არიან** — პოლიტიკურ ველზე **უნდა არსებობდეს ჯანსაღი ოპოზიცია,** რომელთან ოპონირებაც სასიამოვნო იქნება.

„იმედინიუსი“

**სვიმონ ჯანგულაშვილი**
*საზოგადოება „ქართულის“ თანადამფუძნებელი, დირექტორი*



სადისტებისა და მკვლელების, **სამშობლოს მოღალატეების პარტია უნდა აიკრძალოს,** ნაცებს უნდა აეკრძალოთ მუშაობა **პოლიტიკაში, მედიაში, ყველგან,** საიდანაც საზოგადოებრივ პროცესებზე ზემოქმედების მოხდენა შეუძლიათ.

„იმედინიუსი“

*ოდში, გასული საუკუნის 90-ან წლებში, როცა არც შუქი იყო, არც — გაზი, არც — ტრანსპორტი და პროფესორებს მთელი თვის გასამრჯელოდ აღებული კუპონები მხოლოდ ორიოდე პურის საყიდლად ყოფნიდათ, შეძლო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესი გადაერჩინა.*

**ავთანდილ არაბული:** — სამეცნიერო საბჭოს და საუნივერსიტეტო საზოგადოების დიდი შეცდომა იყო, რომ ჩვენი ლიდერი — **როინ მეტრეველი** ვერ დავიცავით!

რასაც უმაღლესი განათლების რეფორმა ერქვა, არცერთ უნივერსიტეტს არ შეხებია ისე, როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შეეხო. მხოლოდ ჩვენს უნივერსიტეტში მოხდა ფაკულტეტების განუკითხავი გაერთიანება — 22 ფაკულტეტიდან მივიღეთ 6 ფაკულტეტი და, ფაქტობრივად, უმართავი პროცესი. კათედრების გაუქმებაც მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოხდა.

დეკანი იყო არაჩვეულებრივი აღმოსავლეთმცოდნე **გოჩა ჯაფარიძე,** რომელთანაც, როგორც მათ წარმომადგენელთან, მივედი და ვუთხარი — თუ უნივერსიტეტის ისტორიის წაშლას არ აპირებთ, უნივერსიტეტის დამფუძნებელთა სახელობის კათედრები მაინც შევინარჩუნოთ! ისე გაუხარდა, ეგრევე წამოხტა — ეს არაჩვეულებრივი იდეაა და ახლავე რექტორს მოვახსენებო, მაგრამ ძალიან დაღვრემილი დაბრუნდა — ამის არავითარი ნება არ არსებობსო! **შოთა რუსთაველის კაბინეტი, ილიას კაბინეტი, ვაჟას კაბინეტი, გალაკტიონის კაბინეტი, ივანე ჯავახიშვილის კაბინეტი — ეს იყო ისტორიული მემკვიდრეობა და მათი გაუქმება იყო ძალიან დიდი დანაშაული ისტორიის წინაშე!**

მეორე კორპუსში იყო განთავსებული ფიზიკისა და ქიმიის ლაბორატორიები, რომელთა განახლებისათვის იმ გაჭირვების წლებშიც კი მილიონნახევრიანი ტექნიკა იქნა შეძენილი, მაგრამ მთელი ეს აპარატურა ფანჯრებიდან გადაყარეს და ორი წლის განმავლობაში მეორე კორპუსის შიდა ეზოში ეყარა. **ეს იყო უნივერსიტეტის რეფორმა? არა, ეს იყო უნივერსიტეტის განადგურება და ვანდალიზმი!**

**ალექსანდრე ტაბატაძე: — ეს იყო მათი ხელწერა, მწერალთა კავშირშიც ასე გააკეთეს!**

**ავთანდილ არაბული:** — საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეობა პირველად **ვახუშტი კოტეტიშვილს** შესთავაზეს, მაგრამ, ცხადია, ახლოს არ გაეკარა, შემდეგში კი, სამწუხაროდ, კომისიის თავმჯდომარეობა თავის თავზე აიღო ჩემთვის ასევე ძალიან პატივსაცემმა ადამიანმა, აწ განსვენებულმა **ზურაბ კიკნაძემ.** უკანონო კონკურსებს ატარებდნენ მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ უნივერსიტეტიდან მათთვის არასასურველი პროფესურა განედევნათ!

***ავთანდილ არაბულის*** *თქმით, უნივერსიტეტის გადასარჩენად დარაზმული პროფესორების წინააღმდეგ ნაცრეჟიმის მიერ აღძრული სისხლის სამართლის საქმე 3-წლიან პატიმრობას ითვალისწინებდა და დიდი დამსახურების მქონე მეცნიერები, ფაქტობრივად, შეგუებული იყვნენ, რომ ციხეში ჯდომა მოუწევდათ.*

**ავთანდილ არაბული:** — როცა სამმართველოში მივდიოდით, არ გვქონდა მოლოდინი, რომ უკან გამოგვიშვებდნენ და თან წავიღე დიდი საქაღალდე, რომელშიც განმარტებითი ლექსიკონის მასალები მედო, რათა ციხეში გამეგრძელებინა მუშაობა და საქმე არ გაცდენილიყო.

*აკადემიკოსის განცხადებით, ციხეში ჩასმას მხოლოდ იმიტომ გადაურჩნენ, რომ საზოგადოების პროტესტი არ ცხრებოდა და ხელისუფლება იძულებული გახდა, უკან დაეხია, რაც თავდაპირველად აღძრული სისხლის სამართლის საქმის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად გადაკვალიფიცირებაში გამოიხატა. თუმცა,* ***ავთანდილ არაბულმა*** *აღნიშნა, რომ, სანამ სააკაშვილის რეჟიმი არსებობდა, ის და მისი კოლეგები გამუდმებით იდევნებოდნენ.*

**ავთანდილ არაბული:** — იმ დილით, როცა დაჭერას ველოდებოდით, პატრიარქმა მიგვიღო, დაგვლოცა, პარაკლისი გაამართვინა და ნაკურთხი ჯვრები დაგვკიდა. შემდეგ ჩვენ გამო შექმნა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, რომელმაც 2008 წელს დაიწყო ფუნქციონირება, მაგრამ 2010 წელს იქაც მოგვაკითხეს და ის უნივერსიტეტიც დაგვატოვებინეს!

*პარლამენტის საგამოძიებო კომისიის 3 ივნისის სხდომა, რომელზეც 3 ცნობილი მეცნიერის გამოკითხვა 3 საათზე მეტხანს გაგრძელდა,* ***თეა წულუკიანმა*** *ამ სიტყვებით დაასრულა:*

**— დარწმუნებული ვარ, თქვენი ჩვენთან მობრძანება, მიუხედავად იმისა, რომ ამ 3 საათში მხოლოდ მცირე დოზით მივიღეთ ინფორმაცია იმ დიდ უბედურებაზე, რაც უნივერსიტეტისა და, ზოგადად, მეცნიერების, ყველაფერი ქართულის წინააღმდეგ დატრიალდა, ამ ყველაფრის ზოგიერთ ავტორსა თუ მონაწილეს შორის გარკვეულ ჟივჟივს და ხმაურს გამოიწვევს...** აქ ნახსენები იყო ეს **გიგა ბოკერია, სიმონ ჯანაშია, ლევან რამიშვილი...** ნახსენები იყო **ვინმე ავალიანი,** რომელიც შემდეგ გუბერნატორად იქცა... ნახსენები იყო **თეა თუთბერიძე, გიორგი კანდელაკი** და მთელი ეს „კმარას“ და არამხოლოდ „კმარას“ ხალხი... ნახსენები იყო **გიორგი ონიანი,** რომელიც შემდეგ პოლიციელად იქცა და ზონდერად ჩამოყალიბდა. მე რომ კენჭს ვიყრიდი მაჟორიტარად ნაძალადევის რაიონში, **ონიანი** იქ დაგვდევდა, რომ ან ნარკოტიკი ჩაედო, ან — იარაღი, მაგრამ ისე დაასრულა თავისი საქმე, ვერ ჩამოყალიბდა, ჩემთვის იარაღი ჩაედო თუ ნარკოტიკი? ეს დილემა მის ცხოვრებას მუდმივად თან გაჰყვება! ნახსენები იყო **ჩიორა თაქთაქიშვილი,** რომელიც შემდეგ უკვე დეპუტატად იქცა... ყველა ამ ადამიანმა თავისი ცუდი წვლილი შეიტანა უნივერსიტეტთან ბრძოლაში. თუ რამე იყო შესაცვლელი და გასაუმჯობესებელი, თქვენ თავად ბრძანეთ, რომ ამაზე უნივერსიტეტი უარს არ ამბობდა და ამას სჭირდებოდა პატივისცემაზე დაფუძნებული დიალოგი, რაც სააკაშვილისათვის გაცილებით უფრო რთული იყო, ვიდრე შევარდნა და გამოყრა. ჩვენ ამ სახელებთან და მათ როლთან დაკავშირებით დაგვჭირდება კვლევა, რადგან ჩვენი მიზანია, იმ ადამიანებს, ვინც აწამებდა, აზიანებდა, ანადგურებდა ქვეყანას, არ ჰქონდეთ უკან მობრუნების თავისუფლება!

ასევე, **თუ მათ სურვილი აქვთ, რომ მობრძანდნენ და აქ დაბრძანდნენ იმ მოკლე დროში, რაც ჩვენს კომისიას დარჩა, ჩვენი კარი ღიაა. ნუ დაელოდებიან ჩვენს მოწვევას ან დაბარებას...** ჩვენ რომ ვიბარებთ, იმალებიან. ადვილია, რომ ქალ ან კაც მეცნიერს დაეტაკო და გამოაძევო რექტორის კაბინეტიდან, მაგრამ აქ მოსვლა, როგორც ჩანს, გაცილებით უფრო რთულია და მამაცობას საჭიროებს. მობრძანდნენ და მომდევნო ნებისმიერ სხდომაზე მოვუსმენთ, თუ ზოგიერთი მათგანი ქვეყნიდან არ არის გაქცეული!



კახა ლომაია და გიორგი ხუბუა





„ცნობილმა ფიზიკოსმა ვახტანგ ტუსკიამ სასამართლო პროცესზე ითხოვა — უნივერსიტეტიდან წვრილმანი ხულიგნის სახელით ნუ გამიშვებთ, ჩემს ბრალდებას სიტყვა „წვრილმანი“ მაინც ჩამოაცილეთო!“

# „დიდი შეცდომა იყო, რომ ჩვენი ლიდერი — როინ მეტრეველი ვერ დავიცავით!“

## ბოლოთქმა

ასე და ამგვარად, გამორიცხული არ არის, 2025 წლის 5 ივლისამდე, სანამ პარლამენტის საგამოძიებო კომისიას უფლებამოსილების ვადა ამოეწურება და მუშაობას დაასრულებს, გამოკითხვაზე ბევრი ისეთი პირი დაიბარონ, ვისაც სააკაშვილის რეჟიმის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინააღმდეგ ჩატარებულ სადამსჯელო ოპერაციაში მთავარი თუ მეორეხარისხოვანი როლი აქვს შესრულებული! **ნაკლებად მოსალოდნელია, მათ სამართლებრივი პასუხისგება დაეკისროთ, მაგრამ ქართველი ხალხის თვალში და საქართველოს ისტორიის წინაშე თანამედროვე ბერბიჭაშვილების თიკუნი გარანტირებული აქვთ, რადგან ქართული დედაუნივერსიტეტის მკვლელობა, რომლის არსებობაც დიდი ილია ჭავჭავაძის დიადი მიზანი და ოცნება იყო, წიწამურთან გასროლის ტოლფასია!**

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**დავით ზურაბიშვილი**
*ანალიტიკოსი*



ოპოზიციას თუ ჰგონია — **გავიდეთ ყოველდღე რუსთაველზე, ამასობაში ამათ გარედან სანქციებით დაანგრევენ, მერე ნანგრევებში შევალთ და დავსხდებითო,** ძალიან ცდებიან. არ აწყობს დასავლეთს აქ ნგრევა. **არ არის რევოლუციური სცენარი ხელსაყრელი არც ევროკავშირისთვის და არც ამერიკისთვის.** დღეს ოპოზიციას არა აქვს იმის რესურსი, რომ **ბოიკოტით არჩევნები ჩაშალოს.**

„კვირის პალიტრა“

**სანდრო ცხადაძე**
*ჩვეულებრივი ძალადობისთვის დაკავებული ირინე ცხადაძის ძმა*



**ოპოზიციას** — ჩვენი ძმების, დების, დედების და მამების **ციხიდან გამოსვლამდე** ვისაც ადგილობრივ არჩევნებზე გასვლა გინდათ, **თქვენივე „პადიეზდებთან“ გაგიგდებთ ბალაკლავებით და კასტეტებით.**

„იმედინიუსი“

**მირიან ყარაულაშვილი**
*საინფორმაციო სააგენტო „იქსნიუსის“ დამფუძნებელი*



**ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები** წარმატებით ჩატარდება. **„ქართული ოცნება“ კიდევ ერთხელ მოიპოვებს დიდ გამარჯვებას, ოპოზიცია კი — გამარგინალდება.**

„საერთო გაზეთი“

**იგორ კვესელავა**
*პოლიტოლოგი*



ოპოზიცია ასე თუ გააგრძელებს, **ხელისუფლება არჩევნებს ადვილად მოიგებს.**

„რეზონანსი“



# ვალერი შოშიაშვილი: ოთახში, სადაც 12 საათი ვიყავი, მთელი კედელი დაფარული იყო ჩემი ოჯახის წევრების, ჩემი მცირეწლოვანი შვილების, მეუღლის და დის სურათებით!

***2025 წლის 6 ივნისს საქართველოს პარლამენტში, სადაც „2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმისა და რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობის შემსწავლელი საგამოძიებო კომისიის“ სხდომები მიმდინარეობს, ბიზნესმენ ვალერი შოშიაშვილსა და პედაგოგ ბიული ავალიშვილს მოუსმინეს, რომელიც სხდომაზე თავის აწ განსვენებულ ძმას, ნაცრეჟიმის მიერ გლდანის ციხეში ნაწამებ და მოკლულ გიორგი ავალიშვილს წარმოადგენდა.***

*სხდომაზე ქონებრივი უფლებების ხელყოფისა და 2004-2012 წლებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები განიხილეს.*

*როგორც **ვალერი შოშიაშვილმა** სხდომაზე კომისიის წევრებს განუცხადა, 2006 წელს **დავით კირკიტაძის ძმამ ირაკლი კირკიტაძემ,** რომელიც ფინანსური პოლიციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო, უწყებაში დაიბარა და განუცხადა, რომ ხელისუფლებასთან უნდა **„ეთანამშრომლა“...** თუ რას გულისხმობდა ეს **„თანამშრომლობა“,** კომისიას **შოშიაშვილმა** დეტალურად აუხსნა და შემდეგი ფაქტები გაიხსენა:*

— საოჯახო ბიზნესში ჩართვის მომენტიდან დაიწყო ის, რომ აშკარა გახდა, თუ რა შეუძლებელი იყო ჩვენს ქვეყანაში ნამდვილი ბიზნესის წარმოება. 2006 წელს, როდესაც შემოვიდა იმპორტი და კონტეინერები, საბაჟოზე მოხდა გაურკვეველი სიტუაცია — მაშინდელმა ხელისუფლებამ მოითხოვა ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც უნდა ჰქონოდა თითოეულ კონტეინერს. არავითარი საბუთი არ არსებობდა იმაზე, თუ რა დასკვნა უნდა ყოფილიყო. მაშინ საბაჟოზე გააჩერეს საერთო ჯამში100-150 კონტეინერი, რაც იმპორტიორებმა იმავე საბაჟოს ტერიტორიაზე გავაპროტესტეთ. ამ დროს პირდაპირ კომუნიკაციაზე გამოვიდა **ირაკლი კირკიტაძე,** რომელიც იყო **ფინანსური პოლიციის თბილისის განყოფილების უფროსი** და მითხრა — **აქედან კონტეინერი ვერასდროს გავა, ის კი არა, საბაჟოზე, წითელ ხიდზეც კი ვერ შემოვა კონტეინერი, თუ თითოეულ კონტეინერზე თვეში 1500 დოლარს არ გადაიხდითო!** თანხა მიდიოდა ბატონ **ვანო მერაბიშვილთან,** ვანო იყო საქმის კურსში!

**თეა წულუკიანი: — უკაცრავად, ეს ირაკლი კირკიტაძე ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის დავით კირკიტაძის ხომ არაფერია?**

**ვალერი შოშიაშვილი:** — **ირაკლი კირკიტაძე დავით კირკიტაძის ძმა** არის! ამის შემდეგ დამიბარეს ფინანსურ პოლიციაში, სადაც მითხრეს — **ფინანსურად უნდა დაეხმარო ნაცმოძრაობას და 100 ათასი ლარი შემოსწირო...** წინააღმდეგ შემთხვევაში, ოჯახის წევრებს, რომლებიც ჩართული ხართ ბიზნესში, დაგიჭერთო!.

**თეა წულუკიანი: — რატომ, თქვენ ნაცმოძრაობის გულანთებული მხარდამჭერი იყავით?**

**ვალერი შოშიაშვილი:** — არა, მე ნაცმოძრაობის გულანთებული მხარდამჭერი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ მათი ტყვე ვიყავი! **ჩემი ნების საწინააღმდეგოდ, სესხი ავიღე და შემოწირულობის სახით გადავრიცხე ნაციონალური მოძრაობის ანგარიშზე.** სესხი ავიღე **„პროკრედიტ ბანკში“...** 2007 ან 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდი იყო... პარალელურად, გრძელდებოდა თითოეულ კონტეინერზე 1500 დოლარის გადახდა. ყოველთვე მოდიოდა თბილისის ფინანსური პოლიციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი **ირაკლი კირკიტაძე** და ჯამში მიჰქონდა ხან 18 000 დოლარი, ხან 15 000 დოლარი. გააჩნია, რამდენი კონტეინერი შემოვიდოდა. მიუხედავად იმისა, რომ გადავიხადე თანხა — 100 ათასი ლარი, შემოწირულობის სახით, კონტეინერზე 1500 დოლარის გადახდას ძველებურად ვაგრძელებდი... **ეს იყო ხარკი, რომელსაც ნაცმოძრაობას ვუხდიდი.**

2010 წელს ისევ დამიბარეს და მითხრეს, რომ შემოწირულობას აღარ მთხოვდნენ ნაციონალური მოძრაობის ანგარიშზე, მაგრამ **საეთერო დრო უნდა მეყიდა „რუსთავი-2“-ზე „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობისთვის“,** ანუ **გიორგი თარგამაძის** პარტიისთვის. ეს დავალებაც მოდიოდა **ირაკლი კირკიტაძისგან,** ანუ ფინანსური პოლიციიდან. ამ საეთერო დროის ღირებულება იყო **50 ათასი ლარი.** ეს თანხა უნდა გადამერიცხა „რუსთავი-2“-ის ანგარიშზე.

მართლა გაოცებული დავრჩი... მამაჩემს პირველი ეგ ვკითხე — **ვიცოდი, რომ სახელისუფლებო პარტია იყო ნაციონალური მოძრაობა და ჩემი ნების საწინააღმდეგოდ ვარ ნაციონალური მოძრაობის ტყვე, მაგრამ ეს ახალი პარტია საიდან გამოჩნდა-მეთქი? ირაკლი კირკიტაძესაც** ეგ ვკითხე — **„ქრისტიან-დემოკრატები“ რა შუაში არიან, ოპოზიცია არ არის-მეთქი?** მაშინ **ირაკლი კირკიტაძემ** მიპასუხა — **„ჩვენ ერთნი ვართ და ჩვენში სხვაობა არ არისო!“**

ბიზნესს უკვე ძალიან გაუჭირდა მაგ პერიოდში. კონტეინერებიც ვეღარ შემოდიოდა... კონტეინერებმა კლება დაიწყო... რადგან ბიზნესიდან თანხა მუდმივად გაედინებოდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ საბრუნავი კაპიტალიდან უნდა აგვეღო თანხა. 2010 წელს **ირაკლი კირკიტაძემ** უკვე მოითხოვა ჩემი შპს-ის გადაფორმება ოფიციალურად. მითხრა, რომ ის უნდა გახდეს შპს **„ენკა ჰაუსის“** დირექტორი. ამისათვის ოფიციალურ შეხვედრაზე დამიბარა ფინანსურ პოლიციაში....

**თეა წულუკიანი: — რა იყო ამის მიზეზი?**

**ვალერი შოშიაშვილი:** — როგორც **ირაკლი კირკიტაძემ** განმიცხადა, მიზეზი იყო ის, რომ კონტეინერები ვეღარ შემოდიოდა, რის გამოც **ვანო მერაბიშვილი** უკმაყოფილებას ვერ მალავდა. **კირკიტაძემ** მითხრა — ეს უნდა გადავიფორმო მე და დავიწყო ჩახედვა, თუ რა არის ბიზნესში პრობლემა და რატომ ვეღარ შემოდის კონტეინერებიო! მე ვფიქრობ, რომ ეგენი, ზოგადად, არიან უნიჭო ადამიანები და მხოლოდ ზეწოლა შეუძლიათ. 2010 წელს ბიზნესის **ირაკლი კირკიტაძეზე** გადაფორმების შემდეგ, ბიზნესმა დაიწყო გაცამტვერება.

**თეა წულუკიანი: — თქვენ დარჩით ბიზნესის მესაკუთრე?**

**ვალერი შოშიაშვილი:** — კი, მე დავრჩი ბიზნესის მესაკუთრე, მაგრამ ირაკლი კირკიტაძე დავნიშნე დირექტორად!

**თეა წულუკიანი:** — **კირკიტაძეს** ხელფასს უხდიდით?

**ვალერი შოშიაშვილი:** — **ირაკლი კირკიტაძეს** 1500 ლარი ჰქონდა ხელფასი. 2010 წელს შემოდის ჩემთან სატელეფონო ზარი და მეცნობა ადამიანი — **პროკურატურის გამომძიებელი ბექა ბასილაია.** დღეს ეს კაცი გახლავთ **მიხეილ სააკაშვილისა** და ყველა დამნაშავე ნაცის ადვოკატი და ვითომ უფლებადამცველი. **ბექა ბასილაიამ** მითხრა, რომ ჩემი შპს-დან მთელი დოკუმენტაციის ამოღება სურდათ. იქიდან რომ გამოვედი, დავურეკე **ირაკლი კირკიტაძეს,** რომელიც ჩემი ბიზნესიდან უკვე წასული იყო... **კირკიტაძეს** ვუთხარი — ასეთი და ასეთი რაღაცა ხდება-მეთქი! მან ასეთი პასუხი გამცა — **რომ წარმოიდგინოთ, ეს არის ადამიანის გაუპატიურების მცდელობა. თუ ნებით მოხდება ეს პროცესი, ნაკლებად მტკივნეული იქნება, ხოლო, თუ წინააღმდეგობას ექნება ადგილი, ეს იქნებოდა მძიმე სანახავიო!**

მივედი **ბექა ბასილაიასთან** ხუთშაბათს და იქ, პროკურატურის შენობაში, გავატარე ცხოვრებაში ყველაზე რთული 12 საათი. იქ არანაირი სურვილი არ ჰქონიათ დაკითხვის ან გამოკითხვის. ერთმანეთთან საუბარში პროკურატურის გამომძიებელი **ბექა ბასილაია** და **ზაზა მალუძე,** რომელიც იმ დროს იყო პროკურორი, მხოლოდ იმაზე ბჭობდნენ, დასჯის რომელი მეთოდი აჯობებდა. მეთოდებში იგულისხმებოდა ის, რომ დაეწყოთ ჩემი ოჯახის წევრების დაჭერა და მე უფრო მარტივად ვიშოვიდი თანხას თუ არა; მეორე მეთოდი იყო ის, რომ წავსულიყავი გლდანში... მაგ დროს **ბექა ბასილაია** კომპიუტერში მაჩვენებდა ადამიანების წამების იმ კადრებს, რაც გლდანის ციხეში ხდებოდა. ეს





ზურაბ ადეიშვილი, ბექა ბასილაია

## „ბექა ბასილაია კომპიუტერში მაჩვენებდა ადამიანების წამების იმ კადრებს, რაც გლდანის ციხეში ხდებოდა!“

# „2010 წელს ისევ დამიბარეს და მითხრეს, რომ საეთერო დრო უნდა მეყიდა „რუსთავი-2“-ზე „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობისთვის“, ანუ გიორგი თარგამაძის პარტიისთვის!“




ჩემთვის ძალიან რთული საყურებელი იყო. რაკი ვიცოდი, რომ გენერალური პროკურორი იყო **ზურაბ ადეიშვილი,** ჩემდაუნებურად, გულუბრყვილოდ, ასეთი რაღაც ვუთხარი **ბექა ბასილაიასა და ზაზა მალუძეს — ასე რატომ მწირავთ? ჩემი და ზურაბ ადეიშვილის შვილი ერთ სკოლაში დადიან, კლასელები არიან-მეთქი!** მაშინ **ბექა ბასილაია** გაჩერდა და 20 წუთით დამტოვა. 20 წუთის შემდეგ ოთახში შემოვიდა **ზურაბ ადეიშვილი** და მითხრა, რომ ამ სიტყვების გამო უფრო დავისჯებოდი! **ანუ რატომ ვთქვი, რომ მისი და ჩემი შვილი თანაკლასელები იყვნენ!** აქ საუბარია მეორეკლასელ ბავშვებზე და არა ზრდასრულებზე.

ოთახში, სადაც 12 საათი ვიყავი, მთელი კედელი დაფარული იყო ჩემი ოჯახის წევრების, ჩემი მცირეწლოვანი შვილების, მეუღლის და დის სურათებით... **ბექა ბასილაია მეუბნებოდა, რომ ქონება, რომელიც ჩვენს ოჯახს ჰქონდა შეძენილი, უნდა გადაფორმებულიყო კონკრეტულ პიროვნებაზე!**

აბსოლუტურად ყველაფერს გვართმევდნენ, მაგრამ ამ ქონებასთან ერთად, იქ იყო ჩემი დის ქონებაც. გარდა ამისა, ბიზნესიდან გამომდინარე, მთელი ქონება იპოთეკით იყო დატვირთული, რის შესახებაც **ბექა ბასილაიას** ვუთხარი. **ბასილაიამ** თქვა, რომ იცოდა, ჩემი ქონება იპოთეკით რომ იყო დატვირთული. ლაპარაკის დროს მან მიიღო სატელეფონო ზარი. როცა საუბარს მორჩა, მითხრა — **ახლა წადი და გადახდის ფორმას რამდენიმე დღეში გეტყვიო!** იქიდან გაურკვეველ მდგომარეობაში გამოვედი. ჩემმა მშობლებმა არ იცოდნენ, იმ 12 საათის განმავლობაში სად ვიყავი. **ოჯახში დამხვდა დედა, რომელიც მძიმე მდგომარეობაში იყო. სამწუხაროდ, ის დღეს ცოცხალი აღარ არის...**

დედამ მითხრა — ხიდის ქვეშ ვიცხოვრებ, ოღონდ შენ არაფერზე ინერვიულო და კარგად მყავდეო! ამავე მდგომარეობაში იყო მამაც. შემდეგ უკვე დედამ და მამამ მითხრეს — **მოდი, ყველაფერზე დავთანხმდეთ, თორემ გაგვანადგურებენ, შენი სიცოცხლე ყველაფერს გვირჩევნიაო!**

2012 წლის 17 მაისს, დილის 10 საათზე, მომდის სმს შეტყობინება, რომლის თანახმადაც კახეთში, ყვარლის მუნიციპალიტეტში, სოფელ გრემში იმართება აუქციონი, სადაც გამოდის ქონება. ქონების საწყისი ფასი არის 100 ათასი ლარი, ხოლო ბიჯის ფასი — 30 ათასი ლარი. სმს მიგზავნიდა **ბექა ბასილაია — წადი და ამ აუქციონში მონაწილეობა მიიღეო!** მე ვუთხარი — სად წავიდე? არც 100 ათასი ლარი მაქვს-მეთქი! — **„საქართველოს ბანკთან“ უკვე ყველაფერი შეთანხმებულია, მე თავად ველაპარაკე და ამ ყველაფრისთვის სესხი უკვე დამტკიცებულიაო!**

*ამის შემდეგ, ისე, რომ გრემში საერთოდ არ ჩასულა და ის დანგრეული შენობა არც უნახავს,* ***ვალერი შოშიაშვილმა*** *700 ათას ლარად აუქციონზე შეიძინა გრემის დანგრეული კულტურის სახლი, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებამ მანამდე, ორი თვით ადრე, 8 ათას ლარადაც კი ვერ გაყიდა. ეს ანომალიური და გაუგონარი ამბავი* ***ვალერი შოშიაშვილმა*** *ასე ახსნა:*

— ამ ქონებაზე მე ვთქვი — 100 ათასი ლარი ძალიან იაფია და მოდით, ავწიოთ, ავწიოთ, ავწიოთ და 700 ათას ლარზე ავიდეთ-მეთქი! ოქმში ასახულია, რომ ეს შენობა გაყიდულია 700 ათას ლარად!

**თეა წულუკიანი: — თქვენვე თქვით, 700 ათას ლარად გაიყიდოსო?**

ვალერი შოშიაშვილი: — მე არ მითქვამს, იქ არ ვყოფილვარ...

**თეა წულუკიანი: — აჰა, თითქოს თქვით?**

ვალერი შოშიაშვილი: — დიახ, თითქოს ვთქვი!

**თეა წულუკიანი: — ანუ ოქმში წერია, თითქოს თქვენ თქვით, ეს სახლი არ ღირს 100 ათასი ლარი, მოდი, 700 ათასამდე გავზრდი ფასს და ვიყიდი შენობასო?**

ვალერი შოშიაშვილი: — დიახ, სწორედ ასეა! 8130 ლარად ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიამ ეს შენობა აუქციონზე გაიტანა და აუქციონი ჩავარდა, რადგან შენობა არ გაიყიდა... ხოლო მე მომყიდეს 700 ათასად!

**ირაკლი ქადაგიშვილი: — მაინც რა შენობაა ეს და რა ფართობია?**

ვალერი შოშიაშვილი: — არაფერი, დანგრეული კულტურის სახლია... 1900 კვადრატული მეტრია...ამის შემდეგ **ბექა ბასილაიამ** დამიბარა და მითხრა — **ეს არ არის გადახდის ერთადერთი ფორმა, შენ კიდევ უნდა მოიტანო 300 ათასი ლარი ნაღდი ფულის სახით. თუ ამ თანხას არ მოიტან, სიცოცხლეს გაგინადგურებთო!** 300 ათას ლარს კი არა, 3 ლარს არ მოგიტან, რადგან ზუსტად ვიცი, რომ 1 ოქტომბრიდან შენ და ის ადამიანები, რომლებიც ამას აკეთებდით, ყველა პასუხს აგებთ-მეთქი! **ბექა ბასილაიამ** გაიცინა და მითხრა — **მოდით, 2 ოქტომბერს შევხვდეთ, ოღონდ ამ თანხას ერთი ნული კიდევ მიეწერებაო!** 2012 წლის 1 ოქტომბერს, საარჩევნო შედეგების გამოცხადების წუთს, **ბექა ბასილაიას** გავუგზავნე სმს — **„ხვალ რომელ საათზე მოვიდე შენთან-მეთქი?“** პასუხი არ მომსვლია!

***ვალერი შოშიაშვილს*** *კომისიისთვის არც იმის თქმა დავიწყებია, რომ* ***ბექა ბასილაია*** *გენერალური პროკურატურის შენობაში იბარებდა და 1 მილიონი დოლარის გადახდის სანაცვლოდ ყველა სამართლიანი პრეტენზიისა და საჩივრის უკან გახმობას სთავაზობდა. როგორც გაირკვა, ესეც პროვოკაცია იყო, მაგრამ* ***ვალერი შოშიაშვილი ქართველი ხალხის მიერ მოპოვებული 2012 წლის 1 ოქტომბრის ტრიუმფალური გამარჯვების შემდეგ ამ პროვოკაციას არ წამოეგო და ბასილაიას კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.*** *თუმცა, რა ნაცარი და რის ქვანახშირი — იმ ისტორიული დღიდან თითქმის ცამეტი წელი გავიდა და არც* ***ბექა ბასილაია,*** *არც* ***ირაკლი კირკიტაძე*** *და არც* ***ზაზა მალუძე*** *13 წამითაც კი არ მსხდარან განსასჯელთა თუ დასაკითხთა სკამზე! ხოლო სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს* ***ვალერი შოშიაშვილის*** *საქმეზე დასკვნა დღემდე არ გამოუქვეყნებია...*

*სწორედ ნაცებმა უნდა თქვან — ბედი მომეც და თუნდაც ნეხვში გადამაგდეო!*

***ვფიქრობთ, ნაცებთან ერთად პროკურატურაც და სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროც ბოლომდე ნეხვში არიან!***

***ვალერი შოშიაშვილის*** *შემდეგ კომისიის წინაშე წარდგა საგარეჯოელი* ***გიორგი ავალიშვილის და*** *— ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი* ***ჯიული ავალიშვილი,*** *რომელმაც დეტალურად ისაუბრა იმ ჯოჯოხეთზე, რაც მის ძმას ნაცხროვამ გლდანის საკონცენტრაციო ბანაკში მოუწყო!*

*აი, რა უამბო კომისიას მან:*

— ჩემი ძმა **გიორგი ავალიშვილი** პროვოკაციულად დაიჭირეს, ფაქტობრივად, წამებით მოკლეს, ცოცხალი ადამიანი მორგშიც ჰყავდათ ჩაყვანილი... ყველასთვის ნაცნობია 2011 წლის 26 მაისის ამბები. ჩემი ძმის საქმეც ამას ეხება. 26 მაისი ვიცით, როგორ სისხლში ჩაახშვეს და მეორე დღიდან დაიწყო დაპატიმრებები. ჩემს ძმას ჰქონდა მიკროავტობუსი, რომლითაც მაისის დღეებში დემონსტრაციაზე საგარეჯოდან მომიტინგეები გადმოჰყავდა გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ. 26 მაისის დარბევაზე არ ყოფილა. **დაპატიმრებები რომ დაიწყო, ჩემს ძმასაც მიადგნენ. 7 ივნისს უკვე დააკავეს პროვოკაციულად, რადგან არ იყო დამნაშავე.** 6 ივნისს საგარეჯოში მივიდა ქალი, დედოფლისწყაროს სოფელ საბათლოში მცხოვრები ვინმე **მარინა ჩუვოშიანი.** მას თან ახლდა მამაკაცი. მარშრუტკების გაჩერებასთან ეს ქალი ითხოვდა ჩემს ძმასთან შეხვედრას. საღამოს მოვიდა ჩემი ძმა და გახარებული მეუბნება, რომ სამსახური იშოვა — ტურისტული ფირმაა და ერევნიდან ტურისტები უნდა გადმოვიყვანოო! მისი მანქანა მწყობრში არ იყო და შევეკითხე — ამ მანქანით ტურისტები როგორ უნდა გადმოიყვანო-მეთქი? გიორგიმ მითხრა — ის ქალი თანხის ნაწილს წინასწარ მომცემს! მეორე დღეს შეხვდნენ ისევ და აღარ დაბრუნებულა სახლში. ისინი შეხვდნენ თბილისში, რესტორან „თაღლაურას“ ტერიტორიაზე. ეს ქალი აღჭურვილი იყო ვიდეოთვალით, რათა მომხდარიყო ჩემი ძმის დაკავება. წინ დაუდეს ფურცელი სასაქონლო ზედნადების. ჩემმა ძმამ არ იცოდა, თუ როგორ უნდა შეევსო დოკუმენტი და უკარნახა ამ ქალმა. 1 000 ლარი უნდა მიეცათ და თანხა რომ გადასცა, ჩემს ძმას ფული არ დაუთვლია. ქალმა უთხრა, დაეთვალა, რა დროსაც დაადეს ბორკილები. ჩემი ძმა ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, მაინც ვერ



შენობა, რომელიც ვალერი შოშიაშვილს 700 000 ლარად აყიდვინეს

**„ბექა ბასილაიამ დამიბარა და მითხრა — შენ კიდევ უნდა მოიტანო 300 ათასი ლარი ნაღდი ფულის სახით. თუ ამ თანხას არ მოიტან, სიცოცხლეს გაგინადგურებთო!“**

გაგრძელება მე-14 გვერდზე



# გიული ავალიშვილი: რატომ მომიკლა რეჟიმმა უდანაშაულო ძმა?

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მიხვდა, რა დანაშაული ჩაიდინა.

**თეა წულუკიანი: — ქალბატონო გიული, ამის შემდეგ რა მოხდა?**

გიული ავალიშვილი: — **გიორგი** თელავში, ფინანსურ პოლიციაში გადაიყვანეს. შემდეგ კი — გლდანის ციხეში. იმას ციხეს ვერ ვუწოდებ, ის იყო ჯოჯოხეთი. დაიწყო მისი წამება. სულ რამდენიმე თვეში ადამიანი, ფაქტობრივად, აღარც იყო. რომ ვხედავდი ე.წ. პაემნებზე, **გიორგის სახეზე არაფერი ეტყობოდა. გვერდებში ურტყამდნენ...** რამდენიმე თვეში თირკმლები თითქმის აღარ ჰქონდა. ყველა შეხვედრაზე მიმეორებდა — **მომკლავენ, არსად წახვიდე, განცხადება არ დაწეროთ, თორემ მომკლავენო!** მე მაინც ვწერდი განცხადებებს. ჩემი ძმა გადაყვანას ითხოვდა. ისე მემუდარებოდა, მისი თვალები ახლაც თვალწინ მიდგას, სასიკვდილოდ იყო განწირული... **გიორგი სამაგალითოდ უნდა დაესაჯათ. ისეთ მდგომარეობამდე იყო მისული, რომ მისი გადარჩენა არ შეიძლებოდა.** 2011 წლის 24 ნოემბერს ისეთი ავადმყოფი იყო, რომ პირდაპირ ღუდუშაურის კლინიკაში გადაიყვანეს.

*__გიული ავალიშვილმა__ მორგში ყოფნის პერიოდზე თავისი ძმის მონათხრობი გაიხსენა:*

— ორი დღე ჰყავდათ ღუდუშაურში, ჩაუტარეს მკურნალობა, გამოკვლევები. არაფრის მჯეროდა, ვითხოვდი საბუთებს. კი მაძლევდნენ ქაღალდებს, მაგრამ მაშინ დავრწმუნდი, რომ იქ არაფერი სიმართლე არ ეწერა. მერე ისევ დააბრუნეს სამკურნალო დაწესებულებაში, მაგრამ ამ პერიოდში მოხდა ძალიან დიდი რამ ჩემი ძმის თავს. როცა გამოვიყვანეთ, თქვა — ბევრი მაქვს მოსაყოლიო! **2011 წლის 30 დეკემბერს მივუტანე ტანსაცმელი. კი შეაგზავნეს, მაგრამ გავიხედე და ისევ უკან გამომიგზავნეს — არ არის პატიმარი ადგილზეო!** ვინც ტანსაცმელს იბარებდა, ვეკითხები — **რას ნიშნავს პატიმარი ადგილზე არ არის-მეთქი?** გამოვედი, ვტირი და რა გავაკეთო, არ ვიცი... ვის მივმართო, არავინ პასუხის გამცემი არ არის. რა მდგომარეობაში უნდა ვყოფილიყავი?! წამოვედი და დაველოდე მოვლენებს. არ ვიცოდი, რა იქნებოდა და რას ველოდებოდი, ისიც არ ვიცოდი... **ყველაზე დიდი უბედურება ის იყო, რომ იმ დროს ჩემი ძმა, თურმე, მორგში ჰყოლიათ ჩაყვანილი.** როცა მომიყვა, მერე დავაკავშირე ეს ამბები ერთმანეთთან...

**გიორგიმ მითხრა – მორგში ჩამიყვანეს და რამდენ ხანს ვიყავი იქ, არ ვიცი. მერე ვიღაც შემოვიდა და სინათლე აანთო. შუქზე შევიშმუშნე და ვუთხარი – როდემდე უნდა ვიყო აქ? ამის შემდეგ ამოუყვანიათ მთლად შიშველი... პატიმრები გაკვირვებულები ყოფილან – შენ ისევ ცოცხალი ხარო?**

პატიმრებს მიუციათ ეს ტანსაცმელი. ამის შემდეგ შეუცვალეს საკანი. რომ მივედი, სხვა საკანში დამხვდა.

*უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი __გიორგი ავალიშვილი,__ რომელსაც ამდენი ცემისა და წამებისგან თირკმლები გათიშული ჰქონდა, დიალიზზე იმყოფებოდა და ღუდუშაურის კლინიკაში მკურნალობდა. როგორც __გიული ავალიშვილმა__ აღნიშნა, კლინიკის დერეფანი ბადრაგით იყო სავსე და იმის უფლებაც არ ჰქონდა, დიალიზზე მყოფი ძმისთვის საჭმელი მიეტანა.*

*აი, რა მოუთხრო კომისიას მან:*

— ღუდუშაურის კლინიკაში ჰყავდათ ორი-სამი კვირა, ძალიან მძიმედ იყო. ხომ შემეძლო, როგორც პატრონს, იქ მაინც მიმეტანა საჭმელი, რაც შეიძლებოდა დიალიზზე მყოფი ავადმყოფისთვის? მაგრამ, სადაც იწვა, იმ პალატამდე დერეფანში რომ გამევლო, მეშინოდა, რადგან ბადრაგით იყო იქაურობა სავსე. ვინმე თუ იცნობდა, არ უნდა გამევლო იქ. გავლაც კი არ შემეძლო, რომ კარი თუ იქნებოდა ღია, შორიდან მაინც დამენახა ჩემი ძმა. რომელ საჭმელზეა საუბარი? იმ ხელისუფლების მეთაურს საკუთარი დედა აწვდის საჭმელს, მე რატომ არ შემეძლო? არ მომცეს უფლება, მიმეტანა საჭმელი ჩემი ძმისთვის. საკვების შეტანის უფლებას არანაირად არ გვაძლევდნენ. მერეც, კვირაში სამი დღე დაჰყავდათ **ღუდუშაურში,** შემდეგ **გაგუას კლინიკაში,** მაგრამ იქაც არ შეგვეძლო. ახლოს მიკარების უფლება არ გვქონდა. ეზოში ვიდექით და უნდა დაგვენახა, მანქანიდან რომ ჩამოიყვანდნენ. სიარული არ შეეძლო და ერთი სართულით ქვემოთ ლიფტით ჩაჰყავდათ. **ვხედავდი, ჩემი ძმა ხელიდან მეცლებოდა, მაგრამ შველა არ შემეძლო. რატომ არ შემეძლო? ხომ იყო ქვეყანა, ხომ უნდა ყოფილიყო სამართალი?**

**ზურაბ მაჭარაშვილი: — მაშინ სახალხო დამცველი ვინ იყო?**

გიული ავალიშვილი: — **გიორგი ტუღუში** იყო სახალხო დამცველი, რომელსაც მივმართე, მაგრამ საერთოდ წარმოებაშიც კი არ მიიღო ჩემი საჩივარი. **ჩემი ძმის დაავადება შედიოდა იმ ჩამონათვალში, რომელიც ითვალისწინებს გათავისუფლებას გამოჯანმრთელებამდე, ანუ სასჯელის გადავადებას. ეს იყო თირკმლების მწვავე უკმარისობა, მე-5 სტადია, რაც უკვე სიკვდილს ნიშნავს და ავადმყოფს დათვლილი აქვს დღეები.** დავიწყე ბრძოლა... რომ იტყვიან, რკინის ქალამანი ჩავიცვი. სად არ მივედი, ვის არ მივმართე, ჩამონათვალი მაქვს გაკეთებული... **ასე მგონია, თითქოს ყველა დაყრუებული იყო, არავის არაფერი ესმოდა და არ უნდოდათ, გაეგონათ. ვიხვეწებოდი — ძმა გადამირჩინეთ-მეთქი! პასუხს არავინ მცემდა. ჩემი მიღებაც კი არ უნდოდათ.** სახალხო დამცველს **გიორგი ტუღუშს** მივმართე და პასუხი გამომიგზავნეს, რომ საერთოდ წარმოებაში არ მიიღეს ჩემი წერილი — არ ექვემდებარება სახალხო დამცველსო! სასჯელაღსრულების და ჯანდაცვის სამინისტროსთან მუდმივი კომისია რომ იყო, მივმართე. პასუხი რომ არ გამცეს და არ მიიღეს ჩემი თხოვნა, ამის შემდეგ მივმართე ზუსტად სახალხო დამცველს — **მიშველე, დამეხმარე, მიშუამდგომლე, ჩემი ძმის ეს დაავადება იმ ჩამონათვალში არის, იქნებ რამენაირად გადავარჩინო-მეთქი!** — ეს არ შედის ჩემს უფლებებშიო! — მიპასუხა სახალხო დამცველმა

**ზურაბ მაჭარაშვილი: — ანუ სახალხო დამცველმა მოგწერათ — პატიმრის უფლებების დაცვა ჩემი საქმე არ არისო?**

გიული ავალიშვილი: — კი, ასე იყო!

**თეა წულუკიანი: — გიორგი ტუღუშის ეს პასუხი შენახული გაქვთ?**

გიული ავალიშვილი: — კი, მაქვს!

**ზურაბ მაჭარაშვილი: — აი, ეს არის ნანატრი ხელისუფლების სახალხო დამცველის პასუხი. ცხადია, ამაზე არცერთი ელჩი მაშინ კომენტარს არ გააკეთებდა!**

გიული ავალიშვილი: — ამის შემდეგ გიორგის შეუცვალეს საკანი.

**2012 წლის 15 მაისს დამირეკეს – გადაუვადეთ სასჯელი და წაიყვანეთო! ეს წამოყვანა არ იყო, ეს იყო წამოღება... როცა ჩემი სიძე მივიდა და მანქანა ეზოში შეიყვანა, უბრძანეს – პირდაპირ კიბესთან მოიყვანეთ მანქანაო! რომ გამოუყვანიათ, ბადრაგებმა ხელით მოიტანეს, თურმე, გიორგი,**

ისე ცუდად იყო. ჩემს სიძეს გამწარებულს უთქვამს — **ეს ჩვენი პატიმარი არ არისო! — თუ არ მოგწონთ, ისევ უკან შევაბრუნებთო! — უპასუხეს ბადრაგებმა. გიორგი ციხიდან, ფაქტობრივად, „წამოიღეს“...**

**თეა წულუკიანი: — გონზე იყო?**

გიული ავალიშვილი: — კი, გონზე იყო!

**თეა წულუკიანი: — როდის გარდაიცვალა?**

გიული ავალიშვილი: — 19 მაისს გარდაიცვალა, ოთხი დღე იცოცხლა!

**თეა წულუკიანი: — იმ ახალგაზრდების გასაგონად, რომლებმაც შესაძლოა, ეს არ იციან და რას ითხოვენ, ისიც ვერ გაუგიათ, განვმარტავ, რომ სწორედ ეს არის სიკვდილის ექსპორტი!** როდესაც პატიმარი, ამ შემთხვევაში ქალბატონი გიულის ძმა, ბატონი **გიორგი ავალიშვილი** უკვე გარდაცვალებასთან ახლოს იყო, რადგან სცემდნენ და სასიკვდილოდ იმეტებდნენ, მათ არ აწყობდათ, რომ ეს სტატისტიკაში ასახულიყო და არ უნდოდათ, რომ ამერიკისა და დასავლეთის მიერ **დემოკრატიის შუქურად შერაცხულ სააკაშვილს** ციხეში ჰქონოდა მაღალი სიკვდილიანობა. ამიტომ არსებობდა ასეთი მეთოდი — **გარდაცვალებამდე რამდენიმე საათით ან რამდენიმე დღით ადრე ურეკავდნენ ოჯახს — პატიმარი გათავისუფლებულია და წაიყვანეთო! ის ადამიანი რამდენიმე საათში ან რამდენიმე დღეში იღუპებოდა თავის საცხოვრებელ ადგილას და ეს სიკვდილი არ მიეწერებოდა ციხეს.**

*როგორც კომისიის სხდომაზე გიული ავალიშვილმა აღნიშნა, „სისხლიანი რეჟიმი ხელისუფლებაში ვერ დაბრუნდება“!*

*საუბრის დასასრულ __მან საგანგებოდ მიმართა „ვივამედის“ კლინიკაში წამოგორებულ სააკაშვილს:__*

— ძალიან გამწარებული ვარ ჩემს ყოფილ პრეზიდენტზე, რომელიც ვითომ მე ავირჩიე. ხელისუფლებაში მოსვლა უნდა სისხლიან რეჟიმს, მაგრამ ისინი ვერასდროს დაბრუნდებიან ხელისუფლებაში! ან როგორ ითხოვენ, მორალური უფლება აქვთ? რამდენი უდანაშაულო ადამიანის ცოდვა ადევს მის ზურგს, ამ ცოდვებს ვერასოდეს მოინანიებს, **მაგრამ პირადად მე, როგორც ჭეშმარიტი ადამიანი, მაინც ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ! მინდა, გამცეს პასუხი, რატომ მომიკლა მისმა რეჟიმმა უდანაშაულო ძმა?** მხოლოდ ჩემი ძმა არ იყო ესე, ჩემი ძმის მსგავსი **ძალიან ბევრია, ძალიან ბევრი დედა არის ატირებული, ბევრი ოჯახი ისეა ამოწყვეტილი, როგორც ჩემი ოჯახი. მას გვარის გამგრძელებელი არ დარჩა, მომისპო ძმა, რატომ? მინდა, მიპასუხოს!**



ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, **ქალბატონ გიულის,** ცხადია, „ჭირსა შიგან გამაგრებას“ ვუსურვებთ, თუმცა, მოკრძალებით იმასაც შევახსენებთ, რომ ნაცჯალათების მორჯულებისა და მონანიების იმედი ნუ ექნება! ***ქალბატონო გიული, გიული ალასანიას*** *მიერ გაზრდილი და* ***საქართველოს პრეზიდენტად წოდებული ცოცხალი ლეში — სააკაშვილი,*** *რომელიც სინამდვილეში საქართველოს რეზიდენტია, თქვენ,* ***გიული ავალიშვილს,*** *რომელსაც საქართველო და ერთადერთი ძმა მოუკლეს, ვერასოდეს ვერაფერს გიპასუხებთ!*

მოამზადა **დიტო ჩუბინიძემ**

# გენერალისიმუსი

№23 (319) ★ 2025 წლის 9 ივნისი ★ გამოდის 2003 წლიდან

**გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა და მათ თანამონაწილეთა ბოროტმოქმედების დამდგენი და გამომკვლევი საგანგებო სახელმწიფო კომისიის ცნობა** საფუძვლად დაედო ნიურნბერგის პროცესს და ნაცისტი დამნაშავეების გასამართლებას! **2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმის, ამ რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და პოლიტიკურ პარტიებში გაერთიანებული მოქმედი და ყოფილი თანამდებობის პირების 2003 წლიდან დღემდე საქმიანობის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნა** საფუძვლად უნდა დაედოს ქართულ „ნიურნბერგის პროცესსა“ და ნაცდამნაშავეთა სისტემურ გასამართლებას!

# ის ბოროტება დაისაჯა!

# ეს ბოროტებაც უნდა დაისაჯოს!

## გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა და მათ თანამონაწილეთა ბოროტმოქმედების დამდგენი და გამომკვლევი საგანგებო სახელმწიფო კომისიის ცნობიდან

**ჯერ კიდევ მანამდე, სანამ წითელი არმია გაათავისუფლებდა პოლონეთის ტერიტორიას ზემო სილეზიაში, საგანგებო სახელმწიფო კომისიას მოსდიოდა მრავალრიცხოვანი ცნობა იმის შესახებ, რომ ქალაქ ოსვენციმის ირგვლივ არსებობდა დატყვევებული საბჭოთა ადამიანების მოსასპობად გერმანიის მთავრობის მიერ შექმნილი უდიდესი ბანაკი. საბჭოთა ჯარების მიერ პოლონეთის სილეზიის განთავისუფლების შემდეგ წითელი არმიის ნაწილებმა აღმოაჩინეს ეს ბანაკი.**

**საგანგებო სახელმწიფო კომისიის დავალებით უკრაინის 1-ლი ფრონტის პროკურატურამ საგანგებო სახელმწიფო კომისიის წარმომადგენლებთან ერთად 1945 წლის თებერვალ-მარტის განმავლობაში გულმოდგინედ გამოიკვლია გერმანელების მიერ ოსვენციმის ბანაკში ჩადენილი ბოროტმოქმედებანი. გამოკვლევაში მონაწილეობას იღებდნენ სპეციალური საექსპერტო კომისიები.**

**ოსვენციმის ბანაკში წითელი არმიის მიერ გადარჩენილ პატიმართა დაკითხვისა და სამედიცინო შემოწმების საფუძველზე და ამ ბანაკში აღმოჩენილი გერმანული დოკუმენტების, გერმანელების მიერ უკანდახევისას აფეთქებული კრემატორიუმებისა და გაზის კამერების ნაშთების, გერმანელების მიერ ევროპის სხვადასხვა ქვეყნის გაჟლეტილ ადამიანთა ბანაკის ტერიტორიაზე ნაპოვნი გვამების, ნივთებისა და დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე დადგენილია შემდეგი:**

### I

ოსვენციმის ბანაკი, რომელიც ბანაკთა მთელ სისტემას წარმოადგენდა, აგებულ იქნა 1939 წელს სს-ელთა რაიხსფიურერ ჰიმლერის ბრძანებით სპეციალურად იმისათვის, რომ მოესპოთ ევროპის ოკუპირებული ქვეყნების დამონებული მოქალაქეები. აქ მუდამ ჰყავდათ 180-დან 250 ათასამდე პატიმარი. ყველა ბანაკს გარშემოვლებული ჰქონდა ღრმა თხრილები და ეკლიანი მავთულის ხშირი ქსელი, რომელშიც მაღალი ძაბვის დენს უშვებდნენ.

1941 წელს დახოცილ ადამიანთა გვამების დასაწვავად ერთ-ერთ ბანაკში ააგეს 3-ღუმელიანი პირველი კრემატორიუმი. კრემატორიუმთან იყო ეგრეთ წოდებული „განსაკუთრებული დანიშნულების აბანო“, ესე იგი გაზის კამერა ადამიანთა მოსახრჩობად. პირველი კრემატორიუმი არსებობდა 1943 წლის შუახანამდე. 1942 წლის ზაფხულში ჰიმლერმა ოსვენციმის ბანაკის საინსპექციო შემოწმება მოახდინა და განკარგულება გასცა, გაეფართოებინათ იგი გიგანტურ მასშტაბამდე და ტექნიკურად გაეუმჯობესებინათ. ახალი მძლავრი კრემატორიუმების მშენებლობა დაევალა ერფურტის გერმანულ ფირმას „ტოპფსა და შვილებს“, რომელმაც დაუყოვნებლივ დაიწყო ბირკენაუში 4 მძლავრი კრემატორიუმისა და გაზის კამერების აგება.

„განსაკუთრებული დანიშნულების აბანოები“ მოთავსებული იყო სარდაფებში ან კრემატორიუმთა განსაკუთრებულ მინაშენებში. გარდა ამისა, ბანაკში იყო კიდევ ორი ცალკე „აბანო“. აქედან გვამებს წვავდნენ განსაკუთრებულ კოცონებზე. კამერების კარები ჰერმეტულად იხურებოდა და იქ მყოფ ადამიანებს „ციკლონით“ წამლავდნენ. ადამიანები კვდებოდნენ 3-5 წუთის შემდეგ; 20-30 წუთის შემდეგ გვამები ამოჰქონდათ და კრემატორიუმთა ღუმელებში გზავნიდნენ. დაწვის წინ დანტისტები ოქროს კბილებსა და კბილგვირგვინებს აძრობდნენ გვამებს.

„აბანოების“ — გაზის კამერების ნაყოფიერება გაცილებით აღემატებოდა კრემატორიუმთა ღუმელების გამტარუნარიანობას და ამიტომ გვამების დასაწვავად გერმანელები უდიდეს კოცონებსაც იყენებდნენ. ამ კოცონებისათვის ამოთხრილი იყო 25-30 მეტრი სიგრძის, 4-6 მეტრი სიგანისა და 2 მეტრი სიღრმის სპეციალური თხრილები. თხრილების ფსკერზე გაყვანილი იყო განსაკუთრებული არხები, როგორც ქვესაბერები. გვამები მიჰქონდათ კოცონებთან, ალაგებდნენ თხრილებში ფენა-ფენად შეშასთან, ასხამდნენ ნავთს და წვავდნენ. 1943 წლიდან გერმანელებმა დაუწვავი ძვლების სამრეწველო გამოყენების მიზნით იწყეს ძვლების დაფხვნა და „შტრემის“ ფირმისათვის მიყიდვა სუპერფოსფატად გადასამუშავებლად. ბანაკში ნაპოვნია დოკუმენტები „შტრემის“ ფირმის მისამართით 112 ტონა და 600 კილოგრამი ადამიანთა გვამების დაფხვნილი ძვლის გაგზავნის შესახებ. სამრეწველო მიზნებისათვის გერმანელები იყენებდნენ აგრეთვე იმ ქალთა თმას, რომლებიც განკუთვნილი იყვნენ მოსასპობად.

ოსვენციმის ბანაკში გერმანელები ყოველდღე ხოცავდნენ და წვავდნენ 10-დან 12 ათასამდე ადამიანს, აქედან 8-10 ათასს მისული ეშელონებიდან და 2-3 ათასს ბანაკის პატიმრებიდან.

### II

ოსვენციმის ბანაკში გერმანელი ფაშისტი პროფესორები და ექიმები ფართოდ აწარმოებდნენ „სამედიცინო“ ცდებს ცოცხალ ადამიანებზე და ამასთან შესაზარ გამომგონებლობას იჩენდნენ.

წითელი არმიის მიერ გადარჩენილმა ყოფილმა პატიმარმა ექიმებმა: პარიზელმა შტეინბერგმა, ვილნიუსელმა გორდონმა, იუგოსლავიელმა პროფესორმა გროსმანმა, ბერლინელმა მედიცინის დოქტორმა ვალენტინ ერვინმა, უნგრელმა ანა კეპიხმა, ჰოლანდიელმა ედუარდ დე-ვინდმა, პარიზელმა ალბერტ ფლეხნერმა განაცხადეს, რომ მათ საკუთარი თვალით ნახეს გერმანელ ფაშისტ პროფესორთა და ექიმთა უამრავი „სამედიცინო“ ექსპერიმენტი ბანაკის პატიმრებზე.

ქირურგიული ოპერაციები ხდებოდა იმ გერმანელ ექიმთა ნება-სურვილით, რომლებიც ვარჯიშობდნენ ოპერატიული ტექნიკის ათვისებაში. ახალგაზრდა გერმანელი ექიმი კენიგი შეარჩევდა პატიმრებს, რომლებსაც კიდურთა ანთებითი პროცესი ჰქონდათ და ვარჯიშობდა ამ კიდურთა ამპუტაციაში. გერმანელი ექიმები ტილო და ფიშერი თავს უყრიდნენ პატიმართა დიდ მასებს და სრულიად უმიზეზოდ უკეთებდნენ თიაქარს. საავადმყოფოს მთავარი ექიმი ენდერსი, როგორც კი ვინმე ოდნავ დაიჩივლებდა მუცლის ტკივილს, მუცელს გაუკვეთდა და ვარჯიშობდა კუჭის წყლულის ოპერაციაში.

აუშვიცის ბანაკის საავადმყოფო განყოფილებებში ექსპერიმენტები წარმოებდა ქალებზე. ბანაკის მე-10 ბლოკში ერთდროულად იყო 400-მდე პატიმარი ქალი, რომლებზეც სტერილიზაციის ცდებს ახდენდნენ რენტგენით გაშუქებისა და შემდეგ საკვერცხეთა ამოკვეთის გზით, აწარმოებდნენ საშვილოსნოს ყელის კიბოს შეყრის, ნაძალადევი მშობიარობისა და სხვა ცდებს. № 21 ბლოკში აწარმოებდნენ მამაკაცთა კასტრაციის მასობრივ ცდებს იმ მიზნით, რომ შეესწავლათ რენტგენის სხივებით სტერილიზაციის შესაძლებლობა. კასტრაციას ახდენდნენ გაშუქებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ.

გერმანელი მთავარი ექიმის ენდერსის ბრძანებით, 1941-დან 1944 წლამდე ბანაკის საავადმყოფოებში წარმოებდა პატიმართა დახოცვა გულში ფენოლის შეშხაპუნებით. პირველ შეშხაპუნებას აკეთებდა ექიმი დერინგი, შემდეგ კი სანიტრები. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა ყოფილი მეწაღე გერმანელი, კლერი, რომელმაც ამ მეთოდით ათასობით მსხვერპლი დახოცა. პოლონელმა პატიმარმა ვინმე პანშჩიკმა 12 ათასი კაცი დახოცა ფენოლის შეშხაპუნებით (შემდეგ იგი თვითონ პოლონელმა პატიმრებმა მოკლეს). გერმანელმა შტასმა ასეთი შეშხაპუნებით 10 ათასი კაცი მოსპო.

პატიმრებზე წარმოებული არაადამიანური ცდების ფაქტებს ადასტურებენ აგრეთვე ბანაკის კანცელარიაში ნაპოვნი მთელი რიგი დოკუმენტები. გერმანელი ექიმები ხელმძღვანელ როლს ასრულებდნენ ეგრეთ წოდებულ „სელექციებში“, ესე იგი პატიმართა შერჩევაში გაზით მოსახრჩობად და საკრემაციოდ. ისინი „სელექციას“ ყველგან ახდენდნენ: კრემატორიუმებთან, საავადმყოფოებში, ბარაკებში. ქანცგამოლეულ, ავადმყოფ, სამუშაოდ გამოუსადეგარ ადამიანებს გერმანელი ექიმები გაზის კამერებში გზავნიდნენ. ოსვენციმის ბანაკთა გაერთიანების გერმანელი მთავარი ექიმის ვირტსის ბრძანებით, პარტახტიანი ტიფის ეპიდემიის დროს ადამიანებს მთელი ბარაკობით ხოცავდნენ გაზით მოწამვლის საშუალებით.

როგორც გერმანელმა ექიმმა, მედიცინის დოქტორმა ვალენტინ ერვინმა აჩვენა, იყო შემთხვევა, როცა გერმანიის ქიმიური მრეწველობის წარმომადგენლებმა გლაუბერმა, ექიმმა-გინეკოლოგმა კენიგსჰიუტედან და ქიმიკოსმა გებელმა სპეციალურად იყიდეს ბანაკის ადმინისტრაციისაგან 150 ქალი, რათა იმათზე შეესწავლათ სხვადასხვა ქიმიური პრეპარატის მოქმედება.

ძალიან ბევრი სხვა ექსპერიმენტი მთავრდებოდა საცდელ პატიმართა სწრაფი და მტანჯველი სიკვდილით. ექსპერიმენტებისათვის საბოლოოდ გამოყენების შემდეგ პატიმრებს ხოცავდნენ და წვავდნენ. ამ გზით გერმანელები ცდილობდნენ მოესპოთ თავიანთი არაადამიანური ცდების მოწმეები.

### III

როგორც კვლევა-ძიებით გამოირკვა, ოსვენციმში ყოველდღე მიდიოდა 3-დან 5-მდე სარკინიგზო ეშელონი დასახოცავად განკუთვნილი ადამიანებისა; თითო ეშელონში 1500-3000 კაცი იყო. განწირულნი ჩაჰყავდათ ევროპის ყველა ქვეყნიდან. თითოეული ჩასული ეშელონიდან გერმანელები შეარჩევდნენ 200-დან 500-მდე ყველაზე უფრო შრომისუნარიან ადამიანს ბანაკებში სამუშაოდ, დანარჩენთ გზავნიდნენ პირდა-

**გაგრძელება „გენერალისიმუსის“ ბოლო გვერდზე**




**ხანდაზმულობის ვადის გარეშე ★**

*დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“, 2025 წლის №17-22*

გიორგი ბეზირგანი

# დანა ბელადის

***30-ანი წლების სისხლიან ორომტრიალში ვინ მსხვერპლი იყო, ვინ — ჯალათი, ძნელი გასარკვევია. თუმცა, ისტორიკოსთა და მკვლევართა უმრავლესობა ამას არც ცდილობს. მათთვის ყველაფერი ისედაც ცხადია. მსხვერპლი — „ძველი ლენინური გვარდიის“ სახელოვანი წარმომადგენლები — კამენევები, ზინოვიევები, პიატაკოვები და მსგავსნი მათნი, ხოლო ჯალათები, ბუნებრივია, ორი ავკაცი, კრემლის ორი ქართველი — სტალინი და ბერია. მთის სოფელ მერხეულში დაბადებულისთვის ყველაფერზე ხელების შეწმენდა საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიაში ტრადიციად იქცა. რეალური ცოდვების გარდა*** *(რომელი ბოლშევიკი ბელადი იყო უცოდველი!)* ***მას მითიურსაც ბევრს მიაწერენ. მაგალითად, ანტონ ანტონოვ-ოვსეენკოსთან*** *(„ჯალათის კარიერა“)* ***ვკითხულობთ, რომ ლავრენტი ბერია პასუხისმგებელია არა მარტო 1934 წლის დეკემბერში ლენინგრადში მომხდარ კიროვის მკვლელობაზე, არამედ 1922 წლის ზაფხულში ტფილისში კამოს ლიკვიდაციაზეც. თანაც, ის აშკარა ფაქტი, რომ 1938 წლამდე ბერია საქართველოში იმყოფებოდა ცკ-ის პირველი მდივნის რანგში, ხოლო 20-იანი წლების დასაწყისში ბაქოში რიგითი ჩეკისტი იყო, ავტორს ოდნავაც არ აღელვებს.***



## ზვარაკები და ჯალათები

ფაქტები? დოკუმენტები? ასეთები, რა თქმა უნდა, არ არსებობს. მაგრამ რაში სჭირდება **ანტონოვ-ოვსეენკოს** ფაქტები და დოკუმენტები?

ჩვენ კი, ამხანაგი **ლენინის** სიტყვებით რომ ვთქვათ, სხვა გზით წავალთ და ფაქტების მოშველიებით ვეცდებით გარკვევას, ვინ ჯალათი იყო და ვინ — მსხვერპლი. და, რაც მთავარია — ვისი ხელდასხმით დაიწყო **დიად სტალინურ სახელმწიფოში ოცდაჩვიდმეტი წლის სისხლიანი ბაქანალია.**

●

წინა ნარკვევში გიამბეთ, რომ **ბელადს,** რომელმაც ქვეყანაში კარდინალური საკონსტიტუციო და დემოკრატიული რეფორმები განიზრახა და უმაღლესი პარტიული ნომენკლატურის გააფთრებულ წინააღმდეგობას წააწყდა, დროებით უკან დახევა მოუხდა. პირველი ბრძოლა ქულებით ნომენკლატურამ მოიგო და ქვეყანაში ალტერნატიული არჩევნები არ ჩატარდა.

მაგრამ **ბელადის** უკან დახევა პოზიციების დათმობას სულაც არ ნიშნავდა. აჯანყებული პარტიული ნომენკლატურის წინააღმდეგ შეტევის გაგრძელება **სტალინმა** პირდაპირი კი არა, ფლანგიდან იერიშით გადაწყვიტა. უპირველესად, საჭირო იყო შინსახკომის ავგიას თავლის გაწმენდა, რომლის დახმარებითაც კრემლის ადგილობრივი პროკურატორები ქვეყანაში განუკითხაობას ამკვიდრებდნენ. საჭირო იყო ხელმძღვანელი, რომელიც მთელ ამ შავ სამუშაოს შეასრულებდა. და მაშინ **სტალინი** საქართველოდან მოსკოვში **ლავრენტი ბერიას** იძახებს. სისხლით დამთვრალ **ეჟოვს** და ადგილებზე მის ხელქვეითებს ბოლო ეღებათ.

შინაგან საქმეთა ახალი სახკომის ხელში მოვლენები ასე ვითარდება. სასწრაფოდ იღებენ გადაწყვეტილებებს **„პარტიიდან კომუნისტთა გარიცხვის დროს პარტორგანიზაციების მიერ დაშვებული შეცდომების შესახებ“** და **„დაპატიმრების, გამოძიების და საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ“.** გორდიას კვანძი — **„პარტოკრატია-შინსახკომი“** — გაჭრილია. და **1938 წლიდან** დაწყებული, უდანაშაულოდ დაზარალებულთა გათავისუფლების და რეაბილიტაციის უწყვეტი ნაკადი იწყება. საკმარისია, ითქვას, რომ ომისწინა წლებში ციხეების და ბანაკების კარები თითქმის მილიონი რეპრესირებულისთვის გაიღო.

ამასთან, ციხის თუ ბანაკის ხის საწოლები ცარიელი სულ ცოტა ხანს რჩება. ძალიან მალე მათი ხეხვა ე. წ. **„ლენინის გვარდიელებს მოუწევთ“**, მათ, ვინც, ფაქტობრივად, **„ოცდაჩვიდმეტი წელი“** შეუკვეთა და განახორციელა.

**იოსებ სტალინი,** რომელსაც შესაძლებლობა არ მიეცა, საკადრო პოლიტიკა ცივილიზებული, დემოკრატიული გზით გაეტარებინა, ადგილებზე ხელმძღვანელები არჩევნების შედეგად შეეცვალა, პარტიულ შტაბებს ცეცხლს უხსნის.

●

მკითხველს, ალბათ, ახსოვს, რომ **კუიბიშევის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი პოსტიშევი,** რომელმაც **1938 წლის** იანვარში სკპ (ბ) ცკ-ის პლენუმზე მის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებების პასუხად განაცხადა, **„ვიჭერდი, ვიჭერ და კვლავაც დავიჭერ ხალხის ყველა მტერსო,“** პარტიული ფორუმის დასრულების და შენობის ზღურბლზე გადაბიჯებისთანავე მტერი აღმოჩნდა და დააპატიმრეს.

იყო თუ არა **ხრუშჩოვის** მიერ გამოგლოვილი და სიკვდილის შემდეგ რეაბილიტირებული **„ერთგული ლენინელი“** პოსტიშევი მართლაც მტერი? თუ **„სტალინური დესპოტიზმის“** მორიგი უდანაშაულო მსხვერპლი?

ვინმე **ვალერი ისაევის** მიერ პოსტიშევზე დაწერილ დოკუმენტურ რომანში, რომელიც **„ლენინური გვარდიის ჯაროსკაცისადმი“** მიძღვნილ პანეგირიკს წარმოადგენს, ყურადღებას ასეთი ეპიზოდი იპყრობს. **პოსტიშევს** შინ ეწვევა **სტანისლავ კოსიორი.** იმ პერიოდში ამ **„ლენინის გვარდიელს“ სახკომსაბჭოს თავმჯდომრის ერთ-ერთი მოადგილის** პოსტი ეკავა, მანამდე კი უკრაინას ხელმძღვანელობდა, სადაც **ნიკიტა ხრუშჩოვმა** შეცვალა. სხვათაშორის, პოსტიშევიც უკრაინიდან გადაიყვანეს კუიბიშევში. „ის-ის იყო, უნდა მოსულიყვნენ **ვლას ჩუბარი, გრიგორი პეტროვსკი და ლიუბჩენკო**“, — წერს ისაევი. მათ მოსვლამდე კი **კოსიორსა** და **პოსტიშევს** შორის კერძო საუბარი შედგა.

მოდით, მოვუსმინოთ, რაზე ესაუბრება ერთმანეთს ორი **„ლენინელი“.**

**პოსტიშევი: როგორ ფიქრობ, იმ მხრიდან ვინ იქნება?**

**კოსიორი: ეჭვიც არ მეპარება — კაგანოვიჩი, ჟდანოვი, მოლოტოვი, ვოროშილოვი და სხვა დამქაშები. ჩვენგან?**

**პოსტიშევი: მე და შენ. ვფიქრობ, ჩუბარი, ლიუბჩენკო და სხვა უკრაინელები სიცოცხლესაც არ დაინანებენ. ძნელი სათქმელია, ხრუშჩოვი როგორ მოიქცევა. ალბათ, მხარს დაგვიჭერს. ჩემი აზრით, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით, სტალინის გადადგომა არ გვჭირდება. მაგრამ მისი ძალაუფლების შეზღუდვა აუცილებელია.**

**კოსიორი: იქნებ იმის წინააღმდეგაც გამოვსულიყავით? რამდენ ხანს შეიძლება?**

ამ პირდაპირ შეკითხვას **პოსტიშევი** არ პასუხობს. მაგრამ ეჭვი არ შეგეპაროთ, **„იმის წინააღმდეგაც“** გამოვიდოდა, ცკ-ის პლენუმზე უმრავლესობა რომ გადაებირებინა. მაგრამ, სამწუხაროდ, **ხრუშჩოვმა** — ცბიერმა ეშმაკმა — მომლოდინეს პოზიცია აირჩია. **პეტროვსკი** ბოლო მომენტში **„დამქაშების“** მხარეს გადავიდა. **ლიუბჩენკო** და **ჩუბარიც** პირში წყალჩაგუბებულებივით ისხდნენ. **პოსტიშევის** სიტყვები კი — ვიჭერდი, ვიჭერ და კვლავაც დავიჭერ — დელეგატთა აღშფოთებულმა გუგუნმა ჩაახშო.

შეთქმულების გარდა რა შეიძლება ეწოდოს ამხანაგი **პოსტიშევის** ბინაში **„ლენინელების“** კონსპირაციულ შეხვედრას? სხვათაშორის, დაქირავებულმა მწერლუკა ისაევმა ეს შეხვედრა პოსტიშევის ახლობლების მონათხრობის საფუძველზე აღადგინა, რომლებიც **„სტალინიზმის ორი მომავალი მსხვერპლის“** საუბარს ესწრებოდნენ. თავად წიგნი **„პარტიის ჯარისკაციც“** მათი სახსრებით გამოიცა *(მოსკოვი, 1999 წელი).*

შურისგებამ არ დააყოვნა. **პოსტიშევი,** როგორც უკვე ვიცით, დააპატიმრეს, მან ყველაფერი აღიარა და დახვრეტა მიესაჯა. ასეთივე ბედი ეწია მეორე **„უკრაინელს“ — ლიუბჩენკოს. კოსიორი** პოსტიდან მოხსნეს, ტყვიამ კი კეფა მოგვიანებით — **1939 წელს** გაუხვრიტა. **ვლას ჩუბარმა** დაინახა, რომ შეთქმულთა ჯგუფის გარშემო წრე ვიწროვდებოდა და თავის მოკვლა მოასწრო.

ხოლო ის ფაქტი, რომ **პეტროვსკიმ** *(გარდაიცვალა 1958 წელს)* და **ხრუშჩოვმა** ეს პერიოდი მშვიდობიანად გადაიტანეს და პასუხისგებაში არ მიუციათ, მიუხედავად იმისა, რომ მათი გვარები დაკითხვებისას **კოსიორმაც** და **პოსტიშევმაც** არაერთხელ დაასახელეს, მთლიანად აბათილებს **სტალინის** მისამართით მრავალრიცხოვან ბრალდებებს **„აზიურ შურისმგებლობაში“. პეტროვსკი** ათწლეულების განმავლობაში ხელმძღვანელ პოსტებზე და ცკ-ის წევრად რჩებოდა. **ხრუშჩოვს** კი, როგორც ცნობილია, ბედმა პარტიისა და სახელწიფოს ლიდერის პოსტზე **სტალინის** მემკვიდრეობაც კი არგუნა.

**პეტროვსკიზე** ვერაფერს გეტყვით, ამ პოლიტიკოსს შემდგომში სახელი არაფრით შეურცხვენია, მაგრამ **ხრუშჩოვთან** დაკავშირებით, ჩემი აზრით, **სტალინმა** აშკარა შეცდომა დაუშვა.

●

მაშ, ასე, როგორც ვიცით, **30-იანი წლების** ბოლოს ქვეყანაში, განსაკუთრებით ადგილებზე, რეგიონულ ხელმძღვანელთა მეცადინეობით, სრული სვლით მიმდინარეობდა ანგარიშსწორება არასასურველ, სხვაგვარად მოაზროვნე ადამიანებთან, ყველასთან, ვისაც შეეძლო საოლქო, სამხარეო, ცენტრალურ კომიტეტებში **„ერთი საათით ხალიფებისთვის“** კონკურენცია გაეწია.

ამ სისხლიანი ბაქანალიის პირობებშიც კი **სტალინმა** და მისმა თანამოსაგრეებმა ბევრის გადარჩენა მოახერხეს. მრავალთაგან ერთ, ნაკლებად ცნობილ მაგალითს მოგიყვანთ. **1937 წელს** სმოლენსკში საჩვენებელი სასამართლო პროცესი ჩატარდა სოფლის მეურნეობის მავნებელთა წინააღმდეგ. ოლქის მაღალი თანამდებობის სპეციალისტთა ჯგუფი ინფექციური დაავადებებით საქონლის განზრახ დასნებოვნებაში დაადანაშაულეს. ინიციატივა **სმოლენსკის საოლქო კომიტეტის მდივნის შირიაევისაგან** მოდიოდა და მისი ზეწოლით ყველა განსასჯელს დახვრეტა მიესაჯა.

პროცესზე ბრალდებულებს **ადგილობრივი ადვოკატი, ვინმე მილჩაგინი** იცავდა. ის არ დაეთანხმა განაჩენს და მოსკოვში **სტალინის** სახელზე საჩივარი გააგზავნა. მალე **სსრკ პროკურატურიდან გენპროკურორ ვიშინსკის** ხელმოწერილი განკარგულება მოვიდა — განაჩენის აღსრულება გადაიდოს. იმავე განკარგულებით **ადვოკატი მილჩაგინი** მოსკოვში, **ვიშინსკისთან** გამოიძახეს. შეხვედრისას **ვიშინსკიმ** უთხრა: **„ამხანაგი სტალინი თქვენს განცხადებას გაეცნო და საქმის გადასინჯვა გვიბრძანა.“** მალე სასამართლოს ახალმა შემადგენლობამ საქმე ხელახლა განიხილა. შედეგად ყველა განსასჯელი გაამართლეს, ხოლო ოლქის პროკურორის და საოლქო მოსამართლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. მკითხველი, ალბათ, ხვდება, რომ მალე სმოლენსკის საოლქო კომიტეტის მდივანიც **„სტალინური თვითნებობის უდანაშაულო მსხვერპლთა“** რიგებში აღმოჩნდა.

ამ ყველაფერს ადვოკატი მილჩაგინი თავის **„მოგონებებში“** მოგვითხრობს. ამ ადამიანს უჩვეულო ბედი ჰქონდა. გერმანელების მიერ **სმოლენსკის** ოკუპაციის დღეებში ის მტრის სამსახურში ჩადგა და ქალაქის ბურგომისტრი გახდა, რისთვისაც წითელი არმიის მიერ ოლქის გათავისუფლების შემდეგ **25 წელი** ბანაკებში გაატარა. წიგნი, რომელიც მოსკოვში **90-იანი წლების** დასაწყისში გამოიცა, **მილჩაგინმა** სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე დაწერა. ვფიქრობ, ის სწორედ იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ საბჭოთა ხელისუფლებისაგან დაზარალებული ადამიანის დაწერილია, რომელსაც, მიუხედავად ამისა, თავი **„უმანკო მსხვერპლად“** არ გამოუცხადებია.

კიდევ ერთ სახასიათო მაგალითს მოვიყვანთ. მოგვითხრობს **თავდაცვის მრეწველობის პასუხისმგებელი მუშაკი ივანე ბენედიქტოვი.** ერთხელ, გაქანებული **ეჟოვშჩინის** დროს ის **სტალინმა** გამოიძახა და მისალმებისთანავე ჰკითხა: **„როგორ დაახასიათებდით სახკომატის თანამშრომლებს პეტროვს და გრიგორიევს?“ ბენედიქტოვმა** უპასუხა, რომ ისინი შესანიშნავი სპეციალისტები არიან. **„როგორც ადამიანები?“** — ჩაეძია ბელადი. **„პატიოსანი, თავდადებული ხალხია, ამხანაგო სტალინ“,** — მიუგო **ბენედიქტოვმა.** **„აი, წაიკითხეთ, — უთხრა სტალინმა და ფურცელი გაუწოდა. ბენედიქტოვს თვალთ დაუბნელდა. ეს იყო შინაგან საქმეთა სახკომის სახელზე მასზე — ბენედიქტოვზე, როგორც გერმანიის ჯაშუშზე პეტროვისა და გრიგორიევის მიერ დაწერილი დასმენა. „ახლა რაღას იტყვით, ბენედიქტოვ?“** — გაიღიმა **სტალინმა.** „შემიძლია გავიმეორო, ამხანაგო **სტალინ.** ისინი კარგი სპეციალისტები არიან, — თქვა **ბენედიქტოვმა,** — წარმოდგენა არ მაქვს, რამ აიძულა ამის დაწერა. მათი ბრალდებები, უბრალოდ, ამაზრზენია...“ **„ნუღარ გააგრძელებთ, ამხანაგო ბენედიქტოვ, — შეაწყვეტინა ბელადმა, — ჩემი მხრიდან თქვენზე რაღაც ცნობები შევაგროვე. წადით, მშვიდად იმუშავეთ და ეცადეთ, გვერდით მხოლოდ კარგი სპეციალისტები კი არა, კარგი ადამიანები იყოლიოთ.“**

ამ შეხვედრის ფინალი ასეთი იყო. **ბენედიქტოვი** დააწინაურეს, ხოლო **პეტროვმა** და **გრიგორიევმა კოლიმის შორეული ბანაკის ბარაკებში ხის პერსონალური საწოლები მიიღეს.**

ისინიც **„სტალინური თვითნებობის მსხვერპლად“** ჩავთვალოთ?

# ზურბში ★

***ბელადის ცხოვრებაში უმძიმესი გამოცდა კაცობრიობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი, ყველაზე გამანადგურებელი ომი იყო. ი. სტალინი გერმანიის თავდასხმას ელოდებოდა. პრაქტიკულად, იწინასწარმეტყველა კიდეც ის, როდესაც განაცხადა, რომ „ჩვენ ევროპის განვითარებულ ქვეყნებს 50-100 წლით ჩამოვრჩებით. ან ამ გზას 10 წელიწადში გავირბენთ, ან „გაგვსრესენ“. წარმოუდგენელია. ეს სიტყვები 1931 წლის გაზაფხულზე წარმოითქვა. ხოლო ზუსტად ათ წელიწადში ჰიტლერელთა რკინის ლეგიონებმა სტალინური სახელმწიფოს საზღვრები თეთრიდან შავ ზღვამდე გაარღვიეს. ამ ათი წლის განმავლობაში ბელადის ხელმძღვანელობით ტიტანური, კოლოსალური სამუშაო ჩატარდა ქვეყნის შეიარაღებისა და მობილიზაციისათვის. და მაინც, დასავლეთიდან დარტყმა მოულოდნელი აღმოჩნდა. ჯერ ერთი, სტალინი არ მოელოდა, რომ ჰიტლერი გაბედავდა იმას, რამაც თავის დროზე ნაპოლეონი დაღუპა — ორ ფრონტზე ომს. მეორეც, ჯერ მთელი უახლესი შეიარაღება ქარხნულ წარმოებაზე დაყენებული არ იყო, ყველა დივიზია დაკომპლექტებული, მობილიზებული და საზღვართან თავმოყრილი არ ჰყავდათ.***



# დასავლეთ ფრონტის ტრაგედია

მაგრამ **ჰიტლერთან** ომი აშკარა ორთაბრძოლა იყო, რომელშიც, მიუხედავად თავდასხმის ვერაგულობისა, **სტალინმა** არა მხოლოდ გაძლო, არამედ ბრწყინვალე გამარჯვებასაც მიაღწია და არა მარტო ქვეყანა, მთელი მსოფლიო იხსნა ყავისფერი ჭირისაგან.

მისთვის მოულოდნელი ზურგიდან დარტყმები, გენერლების ღალატი იყო. თანაც საგულისხმოა, რომ ომის დასაწყისშივე უმაღლეს მთავარსარდალს ორმა ყველაზე ნალოლიავებმა სარდალმა უღალატა. ერთი მათგანის გვარია **პავლოვი — არმიის გენერალი,** დასავლეთი ფრონტის სარდალი, იმ ფრონტისა, რომელზეც **სტალინი** გერმანიასთან ომში განსაკუთრებულ იმედს ამყარებდა.

მეორე კი **გენერალ-ლეიტენანტი ვლასოვია,** მე-2 დამკვრელი არმიის სარდალი, რომლის მთავარი ამოცანა ლენინგრადის ბლოკადის გარღვევა იყო.

დღეს მოღალატე **გენერალი პავლოვი** მთლიანად რეაბილიტირებულია. და ის **„სტალინური დესპოტიზმის“** მსხვერპლთა რიცხვს მიათვალეს. მეორე გამცემთან — **გენერალ ვლასოვთან** დაკავშირებით რუს ისტორიკოსთა აზრები გაიყო. ერთნი მას **მოღალატედ** რაცხავენ, მეორენი კი — **„რუს პატრიოტად“.**

გენერალთა ღალატზე ჩვენს მოთხრობას **პავლოვით,** დასავლეთი ფრონტის ტრაგედიით დავიწყებთ.

•

მაინც, ვინ იყო **დიმიტრი პავლოვი,** მხედართმთავარი, რომელიც ისე ფართოდ მიაბიჯებდა, რომ ომის წინ ყველაზე მნიშვნელოვანი უბანი — დასავლეთი ფრონტი მიანდეს, რომელსაც პირველს უნდა მიეღო მოწინააღმდეგის დარტყმა. ფრონტის სარდალი ის თანამდებობაა, რომელსაც მარშლები იკავებენ. არმიის გენერლის ჩინის მქონე **პავლოვს მარშლის** კვერთხამდე ერთი საფეხურიღა რჩებოდა. სამწუხაროდ, მან ამ საფეხურს ვერ გადააბიჯა. **1941 წლის 22 ივნისს** დაწყებული ომი მისთვის ზუსტად ერთ თვეში — **22 ივლისს** დამთავრდება. მაგრამ სიკვდილი გერმანული კი არა, საბჭოთა ტყვიით უწერია, სამხედრო ტრიბუნალის განაჩენით.

წითელ არმიაში **დიმიტრი პავლოვი** ბრწყინვალე კარიერას იკეთებდა. გლეხის შვილი, **1919 წელს** უბრალო წითელარმიელი, **20-იანი წლების** დასაწყისში ის უკვე სამეთაურო პოსტებზეა, ხოლო **30-ან წლებში** — მსხვილი შენაერთების სათავეში. რამდენად მაღალ შეფასებას აძლევდა **სტალინი** ახალგაზრდა სარდალს, მის მკერდზე ჩამწკრივებული ჯილდოები მოწმობს — **ლენინის სამი ორდენი, წითელი დროშის ორი ორდენი, წითელი ვარსკვლავის ორდენი და უმაღლესი ჯილდო, საბჭოთა კავშირის გმირის ოქროს ვარსკვლავი,** რომელიც მან **1937 წელს** ესპანეთის სამოქალაქო ომში მონაწილეობისთვის მიიღო. **1941 წლის** დასაწყისში **პავლოვი** არმიის გენერლის წოდებას იღებს და **სტალინი** მას, მანამდე წითელი არმიის ჯავშანსატანკო სამმართველოს უფროსს, დასავლეთი ფრონტის სათავეში აყენებს, როგორც თავის ერთ-ერთ ყველაზე საქმიან და საიმედო გენერალს. ახლა ვნახოთ, როგორ გაამართლა **გენერალმა პავლოვმა ბელადის** მაღალი ნდობა.

**1941 წლის 14 ივნისს** საკდესმა გამოაქვეყნა ცნობილი განცხადება, რომ დასავლური პრესის მიერ გავრცელებული ცნობები საბჭოთა კავშირი-გერმანიის საზღვარზე როგორც წითელი არმიის, ისე ვერმახტის მხრიდან ჯარების კონცენტრაციის შესახებ სრულიად უნიადაგოა და რომ საბჭოთა კავშირი-გერმანიის თავდაუსხმელობის პაქტს ორივე მხარე განუხრელად იცავს. ეს განცხადება ერთდროულად კვამლის საფარიც იყო და სასინჯი ქვაც **ჰიტლერის** რეაქციის გასარკვევად. რამეთუ საზღვართან მართლაც გაძლიერებით ხდებოდა ჯარების კონცენტრაცია და თავდასხმა დღე-დღეზე იყო მოსალოდნელი. მაგრამ გავიდა ერთი, ორი, სამი დღე და გერმანულ მხარეს საკდესის ამ განცხადებაზე რეაგირება არ მოუხდენია, არ დაუდასტურებია სსრკ-ის მშვიდობისმოყვარე ნაბიჯი. და აი, ოთხი დღის შემდეგ, **18 ივნისს** ჯარებს ეგზავნება გენერალური შტაბის საიდუმლო ბრძანება საზღვრის დაცვის პირველი ეშელონების სრულ მზადყოფნაში მოყვანის შესახებ. უპირველესად, ეს ბრძანება დასავლეთ ფრონტს ეხება. მაგრამ ფრონტის სარდალი, **გენერალი პავლოვი** ამ მკაცრ ბრძანებას რამდენადმე თავისებურად ასრულებს. მას არათუ საბრძოლო მზადყოფნაში არ მოჰყავს მისდამი დაქვემდებარებული ჯარები, არამედ საზაფხულო ბანაკებშიც კი არ გაჰყავს ისინი, რაც ომის საფრთხის გარეშეც, საზაფხულო სწავლების გეგმით უნდა გაეკეთებინა. მეტიც, ზედ საზღვარზე, ქალაქ ბრესტთან **პავლოვს** განლაგებული ჰყავს ბოლომდე დაუკომპლექტებელი, ცუდად შეიარაღებული ორი ქვეითი და ერთი სატანკო დივიზია. მათი ყაზარმები გერმანული საველე არტილერიის მისაწვდომობის ფარგლებში იმყოფებოდა და მტერი დივიზიების განლაგებას კარგად იცნობდა. სწორედ ამიტომ **22 ივნისს** განთიადზე გერმანელმა არტილერისტებმა პირდაპირი დამიზნებით ძლიერი ცეცხლი გაუხსნეს მშვიდად მძინარე წითელარმიელებს. რამდენიმე წუთში სამმა დივიზიამ არსებობა შეწყვიტა. მხოლოდ ერთეულებმა დააღწიეს თავი ქარიშხლისებურ ცეცხლს, ხოლო იარაღი, ტექნიკა, საბრძოლო მასალა მტერს დაუტოვეს.

მაგრამ წითელი არმიის სამი დივიზიის დაღუპვა მხოლოდ ტრაგედიის უვერტიურა იყო. გერმანიის საველე არტილერიის მიერ შექმნილ რღვეულში მყისვე შეიჭრნენ გუდერიანის ტანკები. მინსკზე და სმოლენსკზე გზა თავისუფალი იყო. გავა სულ ცოტა ხანი და **გუდერიანი გენერალ გოტის** სატანკო ჯგუფთან ერთად ამ რაიონებში საბჭოთა საჯარისო შენაერთებს ალყაში მოაქცევს და გაანადგურებს. მოსკოვისკენ გზა ხსნილია. ფრონტის არცერთ სხვა უბანზე, არც ჩრდილოეთით, არც სამხრეთით, ასეთი კატასტროფული მდგომარეობა არ შექმნილა. დიახ, მოწინააღმდეგის უპირატესი ძალის ზეწოლით ჯარები უკან იხევდნენ, მაგრამ თან ფრონტის ხაზს ათანაბრებდნენ და ხალხს, ტექნიკას, იარაღს და საბრძოლო მასალას ინარჩუნებდნენ. შეიძლება სრულიად გარკვეულად ითქვას, რომ ელვისებური ომის გეგმის განხორციელება **ჰიტლერმა** მხოლოდ იმ მონაკვეთზე შეძლო, რომელსაც **გენერალი პავლოვი** სარდლობდა.

თავად **პავლოვი** რაღას იქმოდა?

**სარდალი** ფრონტისა, რომელიც, ფაქტობრივად, უკვე მტერს ჩაბარდა, როგორც ირკვევა, ამ დროს პატარა ქალაქ **დოვსკში** თანამეინახეების და საყვარლების გარემოცვაში ერთობა. და, როგორც ჩანს, ვერმახტის კოლონებს ელოდება, რომლებიც აქ, მისი გათვლით, წუთი-წუთზე უნდა გამოჩნდნენ. ის თვლის, რომ ომი წაგებულია და ახლა მთავარი პატრონის შეცვლის გზით სანუკვარი სიცოცხლის შენარჩუნებაა.

შევადაროთ. **პავლოვის** ღალატის შედეგად კატასტროფამ ნაწილობრივ სამხრეთ-დასავლეთ ფრონტსაც უწია, რომელსაც **გენერალი კირპონოსი** სარდლობდა, მაგრამ, თავისი კოლეგისაგან განსხვავებით, **კირპონოსი** მტრის მოლოდინში მთვრალი კახპების კაბის კალთებს არ ამოფარებია. ის ავტომატით ხელში უბრალო ჯარისკაცივით გავიდა ცეცხლის ხაზზე და ბრძოლაში დაიღუპა.

•

**გენერალ პავლოვის** უკანასკნელი ქეიფი დიდხანს არ გაგრძელებულა. რესტორანში, სადაც ის ღრეობდა, მოულოდნელად ხანდაზმული გენერალი შევიდა ორი წითელარმიელის თანხლებით. **პავლოვმა** მათ მთვრალი ღიმილი უძღვნა და მაგიდასთან მიიპატიჟა. მაგრამ გენერალმა კიტელის ჯიბიდან ფურცელი ამოიღო და უხმოდ გაუწოდა **პავლოვს.** სარდალმა ქაღალდს თვალი გადაავლო და გააცია. წამში გამოფხიზლდა. ეს მისი, არმიის **გენერალ დიმიტრი პავლოვის** დაპატიმრების ორდერი იყო, წესისამებრ შედგენილი, ბეჭედდასმული და გენპროკურორის მოადგილის მიერ ხელმოწერილი.

სულ რაღაც ნახევარ საათში სამხედრო ვილისი ყოფილ სარდალს საველე აეროდრომისკენ მიაქანებდა. მერე კი იყო უკანასკნელი გაფრენა. მოსკოვი. გამოძიება. ტრიბუნალი და დასახვრეტთა საკანი.

და ზაფხულის ამ მშფოთვარე დღეებში დაწვრილებით ირკვევა, რომ **გენერალ პავლოვის** ღალატს ძველი ფესვები აქვს...

•

**გამომძიებელი:** გამოძიება გთავაზობთ, გულახდილად მოგვითხროთ თქვენს დანაშაულებრივ საქმიანობაზე...

**პავლოვი:** ჯერ კიდევ **1932 წელს,** როდესაც ბელორუსიაში მექანიზებული პოლკის მეთაური ვიყავი, სხვა მეთაურებს შორის განსაკუთრებით გამოარჩევდა **უბორევიჩი...**

... სდექ. ავუხსნათ მკითხველს, ვინ არის **უბორევიჩი. I** რანგის კომანდარმი, **30-ანი წლების** დასაწყისში ბელორუსიის სამხედრო ოლქის სარდალი **უბორევიჩი ტუხაჩევსკისთან** ერთად სამხედრო შეთქმულების ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. **1937 წელს** გაასამართლეს და დახვრიტეს...

**პავლოვი:** შეთქმულების ხაზით ორგანიზაციულად მაშინ უკვე ვიყავი **უბორევიჩთან** დაკავშირებული. ბრმად ვასრულებდი მის ყველა მითითებას. **უბორევიჩის** მხილების და დახვრეტის შემდეგ **მერეცკოვთან** ვიყავი დაკავშირებული, რომელიც ასევე დაახლოებული იყო შეთქმულებთან, და რომელთან ერთადაც ესპანეთში ვიბრძოდი. მერეცკოვის დაპატიმრების შემდეგ მივყუჩდი.

**გამომძიებელი:** გამოდის, დასავლეთი ფრონტი გერმანელებისთვის შემთხვევით არ ჩაგიბარებიათ?

**პავლოვი** თავის დაძვრენას ცდილობს. ის უმოქმედობას აღიარებს და ღალატში არმიის **სარდალ კორობკოვს** და სხვა თავის ხელქვეით გენერლებს ადანაშაულებს, მათ შორის, **ფრონტის შტაბის უფროსს კლიმოვსკიხს.** მაგრამ ისინი ასევე დაპატიმრებული არიან და გამოძიებას სწორ ჩვენებას აძლევენ — ყველა მოღალატური ბრძანება ფრონტის **სარდალ პავლოვისაგან** მოდიოდა.

•

**პავლოვის** და მისი ხელქვეითი რამდენიმე გენერლის საქმეზე განაჩენი სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ **ვასილი ულრიხის** თავმჯდომარეობით მოსკოვში **1941 წლის 22 ივლისს** გამოიტანა. დანაშაულებრივი უმოქმედობისთვის, ფაქტობრივად, მტრისთვის ფრონტის ჩაბარებისთვის, რამაც საბჭოთა ჯარების მსხვილი შენაერთების ალყაში მოქცევა, გერმანელების მიერ მინსკისა და სმოლენსკის აღება გამოიწვია, სასამართლომ არმიის **გენერალ დიმიტრი პავლოვს, ფრონტის შტაბის უფროსს, გენერალ-მაიორ ვლადიმერ კლიმოვსკიხს, ფრონტის კავშირის უფროსს, გენერალ-მაიორ ანდრეი გრიგორიევს, ფრონტის მე-4 არმიის სარდალს, გენერალ-მაიორ ალექსანდრე კორობკოვს** სიკვდილი მიუსაჯა.

განაჩენში სასამართლომ აღნიშნა, რომ **პავლოვი** შეგნებულად წავიდა გამცემლობაზე, როგორც წარსულში სამხედრო შეთქმულების წევრი. დანარჩენ განსასჯელებს კი სასამართლომ ლაჩრობასა და დანაშაულებრივ უმოქმედობაში დასდო ბრალი, აგრეთვე იმაში, რომ ისინი ბრმად ასრულებდნენ **პავლოვის** მოღალატურ ბრძანებებს. **„პავლოვმა, კლიმოვსკიხმა, გრიგორიევმა** და **კორობკოვმა** თავიანთი სიმხდალით, უმოქმედობითა და პანიკიორობით სერიოზული ზიანი მიაყენეს წითელ არმიას, ერთ-ერთ მთავარ მიმართულებაზე ფრონტის გარღვევის შესაძლებლობა შექმნეს და ამგვარად საფრთხე შეუქმნეს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქს — მოსკოვს.“

ამასთან, როგორც უკვე ვთქვით, **პავლოვს 58 მუხლითაც ედებოდა ბრალი.**

განაჩენის პროექტს უმაღლესი მთავარსარდალი პირადად გაეცნო.

მან თქვა:

— ჩემი აზრით, წარსულში **პავლოვის** მტრულ საქმიანობაზე საუბარი საჭირო არ არის. აი, **მერეცკოვიც,** რომელსაც ის თავის ჩვენებაში იხსენიებს, ადრე შეთქმულებთან იყო დაკავშირებული. ამისათვის ის დაისაჯა. ჩვენ მას ვაპატიეთ, დანაშაულის გამოსყიდვის შესაძლებლობა მივეცით. და ახლა ის ბევრზე უკეთესად იბრძვის. **პავლოვს** კი დღევანდელი ცოდვებიც ყელამდე ეყოფა.

***გაგრძელება იქნება***

დასაწყისი „გენერალისიმუსის“ პირველ გვერდზე

# ის ბოროტება დაისაჯა!

# ეს ბოროტებაც უნდა დაისაჯოს!

პირ გაზის კამერებისა და კრემატორიუმებისაკენ.

ქალაქ ვილნიუსის მკვიდრმა, მოწმე იაკობ გორდონმა აჩვენა: „... ოსვენციმის ბანაკში 1943 წლის 22 იანვარს მიმიყვანეს. სულ ჩვენს ეშელონში 3650 კაცი იყო, აქედან ბანაკში შევიდა 265 მამაკაცი და 80-მდე ქალი, ყველა დანარჩენი მაშინვე გაგზავნეს კრემატორიუმში, გაზით მოახრჩვეს და დაწვეს, მათ შორის დაწვეს ჩემი ცოლი მატილდა, სპეციალობით ექიმი, ოთხ-ნახევარი წლის ვაჟიშვილი, 73 წლის მამა და 64 წლის დედა“.

მოწმე ემილი დესანტიმ, ეროვნებით იტალიელმა, აჩვენა: „... 1944 წლის 12 სექტემბერს ჰიტლერელებმა იტალიიდან წამოგვიყვანეს და ოსვენციმის ბანაკში დაგვამწყვდიეს. სულ ბანაკში ჩვენ, იტალიელები, 500 კაცი მიგვიყვანეს. მათგან ცოცხალი დარჩა მხოლოდ 30 კაცი, დანარჩენი მხეცურად აწამეს და მოსპეს ბანაკში“.

პრაღის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორმა, პროფესორმა ბერტოლდ ეპშტეინმა კომისიას უამბო „... გადარჩეულ პატიმრებს გაზის კამერებში გზავნიდნენ დასახოცავად. რამდენიმე თვის განმავლობაში ვხედავდით ადამიანთა გრძელ წყებებს, რომლებიც კრემატორიუმში სასიკვდილოდ მიჰყავდათ. განსაკუთრებით დიდ ჯგუფებს სპობდნენ 1944 წლის მაის-ივნისში. ამ დროს კრემატორიუმებში დღედაღამ წვავდნენ ადამიანებს, ჩვენ ხშირად ვგრძნობდით დამწვარი ხორცის, თმის ან ფრჩხილის სუნს. ამ დროს ჩვენ კრემატორიუმთა მილების ცეცხლს გარდა ვხედავდით ორ დიდ კოცონს, რომლებსაც ღამით ვეებერთელა ალი ასდიოდა. ბანაკში მთელ ღამეს ისმოდა გოდება და გმინვა, აგრეთვე სს-ელთა სადარაჯო ძაღლების ყეფა. დაახლოებით ყოველ ორ კვირაში ბანაკის ექიმი დოქტორი მენგელე აწარმოებდა გადარჩევას, რის შემდეგაც გადარჩეულ მსხვერპლთ კრემატორიუმში გზავნიდნენ მოსასპობად. ასე მოსპეს ერთ-ერთ დღეს 500 ბავშვი.

### IV

ოსვენციმის ბანაკებში, ცდებისათვის გათვალისწინებული ადამიანების გარდა, მუდმივად ჰყავდათ 200 ათასამდე პატიმარი ყველაზე ქანცგამომლევ კატორღულ სამუშაოებზე საექსპლოატაციოდ. ამ სამუშაოებზე ადამიანებს საბოლოოდ გამოულევდნენ ხოლმე ქანცს, შემდეგ კი, როგორც უვარგისებს, ჟლეტდნენ. მათ ნაცვლად პატიმართა საერთო შემადგენლობას მუდმივად შეავსებდნენ ხოლმე მოსული ეშელონებიდან გამორჩეული ადამიანებით. ეს იყო ორგანიზებული სისტემა სიკვდილის საშინელი კონვეიერისა: ზოგს ხოცავდნენ, სხვებს კი მათ ადგილზე აყენებდნენ, ულმობელი ექსპლოატაციით გამოფიტვამდე და ავადმყოფობამდე მიიყვანდნენ და შემდეგ მათაც გაზის კამერებში გზავნიდნენ.

1941 წელს გერმანელებმა ოსვენციმის ახლოს გააჩაღეს ი.გ. ფარბენინდუსტრის დიდი სამხედრო ქიმიური ქარხნის, აგრეთვე ბომბისა და ყუმბარის ასაფეთქებლებისა და ფალიების სამხედრო ქარხნის მშენებლობა. ოსვენციმის სხვადასხვა ეროვნების ათეულათასობით პატიმარი, მხეცური ექსპლოატაციით ქანცგამოლეული, მუშაობდა ამ მშენებლობებზე, აგრეთვე ჭაობების დაშრობაზე, შახტებში, გზების მშენებლობაზე.

მუშაობის პროცესში სს-ელები, ზედამხედველები და ოსტატები მხეცურად სცემდნენ ყველას, — ზოგს — იმისათვის, რომ წელში გაიმართა, ზოგს იმისათვის, რომ ნიჩბით ცოტა მიწა აიღოო, ზოგს ნელი მუშაობისთვის, ზოგს კი ცემით აიძულებდნენ, ქანით დატვირთული საზიდარი რბენით წაეღო.

ვინც ქანცგამოლევისაგან დაეცემოდა, მას იქვე ხვრეტდნენ.

მუშაობის ადგილები, ამავე დროს, პატიმართა მასობრივი დახოცვის ადგილები იყო. ბანაკის უფროსები ყოველნაირად აქეზებდნენ პატიმართა დახოცვას. ობერ-შტურმბანფიურერმა ლიბეგენშელმა ბრძანება გამოსცა, რომლის მიხედვით სს-ელებს 60 მარკას აძლევდნენ ყოველი მოკლული პატიმრისათვის, „თუ ეს უკანასკნელი გაქცევას დააპირებდა“. ამ პრემიის მისაღებად მცველები დაუსჯელად ხოცავდნენ ადამიანებს.

ოსვენციმის სამშენებლო უბნებზე პატიმართა გაჟლეტის შესახებ მოგვითხრო ყოფილმა პატიმარმა ბელგიელმა მორის შტაზმაიმ: „... 1943 წლის აგვისტოში მე ი.გ. ფარბენინდუსტრის ქარხნის სამშენებლო მოედანზე ვმუშაობდი. ერთ დღეს სს-ელებმა ამ მოედანზე მოიყვანეს 400 პატიმარი, რომელთა შორის იყვნენ იუგოსლაველები, ბერძნები, ფრანგები და ბელგიელები, ამოთხრილ ორმოში ჩარეკეს ისინი და ცოცხლად დამარხვა დაუწყეს. განწირულნი სხვადასხვა ენაზე ითხოვდნენ შველას, იქვე გვერდით კი სს-ელები ჩვენ გვეუბნებოდნენ: „უყურეთ და კარგად იმუშავეთ, თორემ თქვენც ეს მოგივათო“. ორი კვირის შემდეგ ჩვენ აუშვიცის ბანაკის ერთ-ერთი შენობის მოედნის მოსამზადებლად გადაგვიყვანეს, სს-ელმა ლოსმანმა სხვა სს-ელთა ჯგუფის დახმარებით გამოარჩია 30 კაცი, ამოთხრილ ორმოში ჩარეკა და მხრებამდე მიწაში ჩაფლო. შემდეგ სს-ელები ცხენებზე შესხდნენ, მოედანზე ჭენება დაიწყეს და ოცდაათივე კაცი გასრისეს“.

ოსვენციმის ჭაობების ვეებერთელა ფართობი სხვადასხვა ეროვნების მრავალი ათასი ადამიანის სამარე გახდა. ვერც ერთი მომუშავე 2-3 თვეზე მეტხანს ვერ ძლებდა.

განსაკუთრებით მხეცურად ეპყრობოდნენ გერმანელი ჯალათები საბჭოთა ტყვეებს, რომლებსაც, როგორც წესი, ბანაკში მიყვანისთანავე სპობდნენ და მხოლოდ გამონაკლისის სახით ტოვებდნენ მათგან ყველაზე უფრო შრომისუნარიანებს.

### V

ასეულათასობით ბავშვი — ძუძუმწოვრებიდან 16 წლამდე ასაკისა, გაჟლიტეს ჰიტლერელმა მტარვალებმა ოსვენციმის ბანაკში. ეშელონებით მოსულ ბავშვებს გერმანელები, როგორც წესი, მაშინვე გზავნიდნენ გაზის კამერებში და იქ ჟლეტდნენ. ჯანსაღ მოზარდთა მხოლოდ მცირე ნაწილს ტოვებდნენ ბანაკში სამუშაოდ. 8-დან 16 წლამდე ასაკის ბავშვებს გერმანელები დიდებთან ერთად ულევდნენ ქანცს მძიმე ფიზიკურ სამუშაოებზე. აუტანელ შრომას, წამებასა და ცემას მალე მიჰყავდა ყოველი ბავშვი სრულ გამოფიტვამდე და მაშინ მას კლავდნენ.

ყოფილმა პატიმარმა იაკობ გორდონმა, ექიმმა ქალაქ ვილნიუსიდან, აჩვენა: „... 1943 წლის დამდეგს ბირკენაუს ბანაკში შეარჩიეს 164 ბიჭი და წაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც გულში კარბოლის მჟავის შეშხაპუნებით ყველანი დახოცეს“. ყოფილმა პატიმარმა ქალმა ვაკაშ ველდტრაუტმა, ქალაქ დიუსელდორფიდან (გერმანია) აჩვენა: „1943 წელს, როდესაც № 5 კრემატორიუმს ღობეს ვუკეთებდით, მე თვითონ ვნახე, რომ სს-ელები გაჩაღებულ კოცონებში ცოცხალ ბავშვებს ყრიდნენ“.

ბანაკში დაბადებულ ბავშვებს სს-ელები დედებს ართმევდნენ და ხოცავდნენ. თუ ბანაკში მოსული ქალი ორსული აღმოჩნდებოდა, მას დაუყოვნებლივ წაიყვანდნენ ცალკე ბარაკში, სადაც ნაადრევად მოამშობიარებდნენ. თუ ორსული ქალი წინააღმდეგობას გასწევდა, მას გაზის კამერაში გზავნიდნენ.

### VI

ოსვენციმის ბანაკში გერმანელებმა მოსპეს სხვადასხვა ქვეყნის ათეულათასობით გამოჩენილი მეცნიერი და ინტელიგენციის წარმომადგენელი.

საგანგებო სახელმწიფო კომისიაში შემოვიდა „მიმართვა საერთაშორისო საზოგადოებრიობისადმი“ სამ ენაზე — გერმანულზე, უნგრულსა და ფრანგულზე, რომელსაც ხელს აწერს ოსვენციმის ბანაკის ყოფილი 27 პატიმარი — პროფესორები, დოქტორები, ინჟინრები, ადვოკატები, სტუდენტები და სხვადასხვა ქვეყნის ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები. მიმართვა იწყება შემდეგი სიტყვებით: „ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, რომლებიც დიდმა წითელმა არმიამ გაგვათავისუფლა პირსისხლიანი ნაცისტური ბატონობისაგან, საერთაშორისო საზოგადოებრიობის წინაშე ბრალსა ვდებთ გერმანიის მთავრობას ადოლფ ჰიტლერის ხელმძღვანელობით იმაში, რომ იგი სჩადიოდა კაცობრიობის ისტორიაში უდიდეს მასობრივ მკვლელობასა და მხეცობას და გერმანიის მონობაში მიერეკებოდა ხალხს“.

ეს მიმართვა შემდეგი სიტყვებით მთავრდება: „ჩვენ მივმართავთ მეომარი და ნეიტრალური სახელმწიფოების საერთაშორისო საზოგადოებრიობას და მათს მთავრობებს ჰუმანურობის სახელით და ვთხოვთ გააკეთონ ყველაფერი, რაც კი შესაძლოა, რომ ნაცისტების მხეცობა და დანაშაულობა მომავალში აღარ განმეორდეს, რომ მილიონობით უდანაშაულო მსხვერპლთა სისხლი ამაოდ დაღვრილი არ აღმოჩნდეს“.

### VII

ოსვენციმის ბანაკში ჰიტლერელებმა მთელი მსოფლიოს წინაშე გამოიაშკარავეს თავი არა მარტო როგორც უმწეო ადამიანთა პირსისხლიანმა მკვლელებმა, არამედ როგორც თავიანთ მსხვერპლთა ხარბმა მძარცველებმაც. სხვადასხვა ქვეყნებიდან ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში მოყვანილ მილიონობით ადამიანს იქ ყოფნის პირველ საათშივე ორგანიზებულად ძარცვავდნენ. ნივთები მთლიანად მიჰქონდათ სს-ელებს და გერმანიაში გზავნიდნენ. შრომისუნარიან ადამიანთა ნაწილი, რომელიც კატორღულ სამუშაოზე რჩებოდა, თავისი ნივთების ნაცვლად პატიმრის ზოლებიან ტანსაცმელს იღებდა.

ოსვენციმის ბანაკის ტერიტორიაზე 35 სპეციალური საწყობი იყო ნივთებისა და ტანისამოსის დასახარისხებლად და შესაფუთავად. აქედან 29 საწყობი გერმანელებმა წითელი არმიის შეტევის გამო თავიანთი უკანდახევის წინ დაწვეს იქ მყოფ ნივთებიანად. დანარჩენ 6 საწყობში აღმოჩენილია 348 820 კომპლექტი მამაკაცის ზედა და ქვედა ტანსაცმელი, 836 255 კომპლექტი ქალის ზედა და ქვედა ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ხალიჩები.

ოსვენციმის ბანაკის ტყავეულის ქარხანაში 1945 წლის 7 მარტს კომისიამ აღმოაჩინა 293 შეკვრა შეფუთული ქალის თმა, რომლის საერთო წონა 7 ათას კილოგრამს უდრის. საექსპერტო კომისიამ გამოარკვია, რომ ეს თმა შეჭრილი აქვს 140 ათას ქალს.

### VIII

გერმანელები გულდასმით ფარავდნენ ოსვენციმში მათ მიერ ჩადენილ საშინელ დანაშაულთა კვალს და თავიანთი უკანდახევის წინ გულმოდგინედ მოსპეს ყველა დოკუმენტი, რომლებითაც შეიძლებოდა მთელ მსოფლიოს შეეტყო მათ მიერ ბანაკში მოსპობილ ადამიანთა ზუსტი რიცხვი, მაგრამ გერმანელების მიერ ბანაკში აგებული მძლავრი ტექნიკა კაცისმკვლელობისა, წითელი არმიის მიერ განთავისუფლებულ ოსვენციმის პატიმართა ჩვენებანი, 200 დაკითხული მოწმის ჩვენება, ცალკეული ნაპოვნი დოკუმენტები და სხვა ნივთიერი საბუთები საკმაოდ ამხელენ გერმანელ ჯალათებს იმაში, რომ ოსვენციმში მათ მილიონობით ადამიანი მოსპეს, მოწამლეს და დაწვეს. ტექნიკურმა საექსპერტო კომისიამ გამოარკვია, რომ ოსვენციმის ბანაკის არსებობის განმავლობაში გერმანელმა ჯალათებმა იქ სსრ კავშირის, პოლონეთის, საფრანგეთის, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, უნგრეთის, ბულგარეთის, ჰოლანდიის, ბელგიისა და სხვა ქვეყნების სულ მცირე 4 მილიონი მოქალაქე მოსპეს.

## გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა და მათ თანამონაწილეთა ბოროტმოქმედების დამდგენი და გამომკვლევი საგანგებო სახელმწიფო კომისიის ცნობიდან

•

**გერმანელების მიერ ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკებში ჩადენილი საშინელი დანაშაულობანი ხორციელდებოდა ჰიტლერული მთავრობის დირექტივებით და ჯალათ ჰიმლერის ხელმძღვანელობით. საგანგებო სახელმწიფო კომისიამ ბოროტმოქმედებათა უშუალო შემსრულებლებიც გამოარკვია. ისინი, როგორც ყველა ის გერმანელი, ვინც პირად მონაწილეობდა ოსვენციმის პატიმართა დახოცვასა და წამებაში, ხალხთა სამსჯავროს წინაშე უნდა წარდგნენ და დამსახურებული მკაცრი სასჯელი მიიღონ.**

*გაზეთი „კომუნისტი“ 1945 წლის 9 მაისი*




## ხანდაზმულობის ვადის გარეშე ★

გენერალისიმუსი
2025 წლის 9 ივნისი. №23 (319)
სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

# გააპენსიეს!

**_ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში რობინ დანიგანი პენსიაზე გაუშვეს, ანუ გააპენსიეს! წყალგაღმა გაგზავნეს დიპლომატიურ სამსახურში ოცდაცამეტი წლის სტაჟის მქონე ქალი, რომელიც 2023 წლის 13 თებერვალს მიხრწნილობაში გადამდგარმა ბაიდენმა საქართველოში ელჩად, უფრო სწორად, ამრევად წარადგინა, ხოლო იმავე წლის 12 ოქტომბერს სალომე ზურაბიშვილს რწმუნებათა სიგელი გადასცა._**



**რობინ დანიგანის გაპენსიებამ ჩაგვინერგა იმედი, რომ საქართველოში ბევრი შინაური თუ გარეულიც შეიძლება გააპენსიონ!**

მართალია, **დანიგანმა გაპენსიების** წინ ვრცელი უსტარი გამოაქვეყნა და განაცხადა — „მივიღე პირადი გადაწყვეტილება, **პენსიაზე** გავიდეო!" — მაგრამ ეს თავად **დანიგანსაც** არ სჯერა და ჩვენ რატომ უნდა დავიჯეროთ?

ჩვენი დასკვნა ასეთია — პრეზიდენტ **ტრამპის** მიერ პრეზიდენტ **მიხეილ ყაველაშვილისთვის** საოცდაექვსმაისოდ გამოგზავნილი მისალოცი წერილის საელჩოს ვებ-გვერდზე არგამოქვეყნებიდან მეათე დღეს, **ელჩი დანიგანი,** უბრალოდ, გააგდეს! სხვათაშორის, **დანიგანი** დემონსტრაციულად არ მივიდა 26 მაისს გამართულ ზეიმზე, რითაც საჯაროდ დაადასტურა თავისი ავი ზრახვები საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მიმართ. აღარაფერს ვამბობთ **რობინ დანიგანისა** და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის **მაკა ბოჭორიშვილის** იმ შეხვედრის ამსახველ ვიდეოკადრებზე, რომელიც 2025 წლის 14 მარტს, პრეზიდენტ ტრამპის ინაუგურაციის შემდეგ გაიმართა, როცა ქართველმა გეი-ფაშისტებმა და უცხოეთიდან დაფინანსებულმა ლგბტ ჯოგმა საქართველოში ხელისუფლების დამხობა ვერ შეძლეს და, როგორც მოსალოდნელი იყო, კიდევ ერთხელ ჩაისვარეს. ამ ყველაფრის ფონზე ამერიკის ელჩი **დანიგანი** კამერებისა და **მაკა ბოჭორიშვილის** წინ წიწილპარია ლეკვივით იმზირებოდა, რომელსაც დანაშაულზე წაასწრეს და თვალები სად წაეღო, აღარ იცოდა... არადა, მანამდე **რობინ დანიგანი** საქართველოს ხელისუფლების დასამხობად განცხადებას განცხადებაზე ავრცელებდა, მაგრამ, როგორც კი **დონალდ ტრამპი** თეთრ სახლში შევიდა, პირში წყალი ჩაიგუბა და ქართველი გეი-ფაშისტებისა და ლგბტ ჯოგის საჯაროდ მხარდაჭერას შეეშვა, თუმცა, მზაკვრობა და ქვებუდანობა არც ამჯერად მოიშალა და, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, პრეზიდენტ **ტრამპის** მიერ პრეზიდენტ **მიხეილ ყაველაშვილისადმი** გამოგზავნილი მისალოცი წერილი, ფაქტობრივად, დამალა და საელჩოს ვებ-გვერდზე არ გამოაქვეყნა!

**როცა ამას ამერიკის პრეზიდენტს უბედავენ, ცხადია, პატარა საქართველოს უფრო მეტს შეჰკადრებენ! ამიტომაც იყო, რომ დონალდ ტრამპმა დანიგანი გააპენსია...** არადა, ეს ქალი, რომელსაც შეერთებული შტატების ეროვნული თავდაცვის ინსტიტუტი წარჩინებით აქვს დამთავრებული და მშობლიური ინგლისურის გარდა ესპანურს, გერმანულს, ვიეტნამურსა და თურქულს ფლობს, აშკარად „ცერეუს" კადრია და იქცეოდა და იქცევა ისე, როგორც სპეცსამსახურის სტაჟიან თანამშრომელს შეეფერება.

**რობინ დანიგანის გაპენსიებამ** ჩაგვინერგა იმედი, რომ ევროკავშირის ელჩი საქართველოში **პაველ ჰერჩინსკიც** სულ მალე შესაძლოა, ოფიციალურადაც **გააპენსიონ!** იგივე შეიძლება ითქვას საქართველოში გერმანიის ელჩ **პეტერ ფიშერზე,** რომელიც თავის გამოშტერებულ კანცლერთან, „ბლეკროკის" ყოფილი დირექტორ **მერცთან** ერთად ისე არის როლში შესული, რომ გერმანიას, კარგი ამბავი არ დაემართება და თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა, უკრაინასავით გაიყოს!

რაც შეეხებათ იმ ქართველ ჩინოსნებს, რომლებიც შესაძლოა, **გაპენსიებას** დაექვემდებარონ! ასეთები ხელისუფლებაშიც და ოპოზიციაშიც მრავლად გვყავს. სულ მცირე, **გასაპენსიებელია** ყველა ის მოსამართლე და პროკურორი, რომლებსაც **ადეიშვილისთვის** ან **მერაბიშვილისთვის** შორიდან მაინც აქვთ „გამარჯობა" ნათქვამი.

აი, მაგალითად, ვანელების გამგებელი, მაგრამ სინამდვილეში გაუგებელი და ლოთბაზარა **ალექსანდრე ბოგორიშვილიც გასაპენსიებელია,** რადგან ჩემი მშობლიური უხუთისკენ მიმავალი გზა უკვე ცუდ დღეშია, ასფალტი რამდენიმე ადგილზე დაზიანებულია და ეს კაცი თაღლითებისა და აფერისტების ბუნაგში **ტენდერების განაწილებას** ვერ მორჩა. აღარაფერს ვამბობთ ე.წ. ოპოზიციაზე, რომლის ორი წევრიც — **ალეკო ელისაშვილი და ანა დოლიძე თვითგაპენსიებულებად** იქცნენ და ქართველი **პენსიონერების** გამტყავებელ **მამუკა ხაზარაძეს** „უბორნიიდან" გამოექცნენ, რათა რომელიმე ახალი ფანჩატურის უბორნიაში დურთონ თავი.

ასე რომ, საქართველოში ჯერ კიდევ ბევრია **გასაპენსიებელი.** კარგი იქნება, თუ მათი **გაპენსიების** შემდეგ, მათ ადგილებზე კვლავ **პენსილვანიელებს** აღარ **აპენსიებენ!**

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**რობინ დანიგანი**
*ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში*



მას შემდეგ რაც, **როგორც დიპლომატი,** შეერთებულ შტატებს ოცდაცამეტი წლის განმავლობაში წარმოვადგენდი, **მივიღე პირადი გადაწყვეტილება, გავიდე პენსიაზე.** საქართველოში აშშ-ის ელჩად ყოფნა ჩემი კარიერის **უდიდესი პატივი და პრივილეგიაა.**

მე განვაგრძობ დაუღალავ შრომას ჩვენ შორის კავშირების გასამყარებლად, **სანამ ივლისში საქართველოს დავტოვებ.**

„პრაიმტაიმი"

**თენგიზ ფარმანაშვილი**
*პარლამენტარი*



სამწუხაროდ, **რობინ დანიგანს** საქართველო-აშშ-ს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებაში დიდი ნაბიჯები არ გადაუდგამს. **ბოლოს გაუგებარი ნაბიჯი იყო პრეზიდენტ ტრამპის მისალოცი წერილის არგამოქვეყნება,** რომელიც თვითონვე პრეზიდენტის ადმინისტრაციას გადაუგზავნა. შეიძლება, ახალმა ადმინისტრაციამ მიიჩნია, რომ **უნდა დაინიშნოს ის კაცი, რომელიც ახალ ხაზს გაატარებს საქართველოსთან ურთიერთობაში.**

„ინფო-9"

**რატი იონათამიშვილი**
*პარლამენტარი*



მაქვს პოზიტიური მოლოდინი, რომ **ახალი ელჩი, რომელიც წარმოადგენს ამერიკელ ხალხს ჩვენს ქვეყანაში,** იმოქმედებს იმ საჭიროებებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, რომლებიც რეალურად არსებობს.

„ინფო-9"

**ლევან იოსელიანი**
*სახალხო დამცველი*



**გამჭვირვალობის კანონზე** არსებული მოლოდინები გადაჭარბებული იყო, **ამერიკული კანონმდებლობის არადემოკრატიულობაზე საუბარი ზედმეტია,** თუმცა, დავაკვირდებით, ხომ არ გამოიწვევს პრობლემებს.

„პირველი არხი"

# იაგო ხვიჩია:

# რასაც გვარამია აკეთებდა და აკეთებს, ხელისუფლებას აწყობდა და აწყობს!

*პარტია „გირჩის“ ლიდერი იაგო ხვიჩია ქვეყანაში არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას ეხმიანება და აცხადებს, რომ იმ სიტუაციაში, როცა მამუკა ხაზარაძის „ლელო“ არჩევნებში მონაწილეობას გეგმავს, ხოლო ნაცმოძრაობის ლიდერები ხაზარაძის პარტიას და მის აქტივისტებს პროსტიტუტებს ეძახიან, ოპოზიციას არავითარი გამარჯვების შანსი არა აქვს:*

— პროსტიტუტი მამუკა ხაზარაძის „ლელოს“ უწოდა **ლევან ხაბეიშვილმა,** მე კი მოვახდინე მისი ციტირება, რადგან ხალხი, რომელიც ერთმანეთს პროსტიტუტებს ეძახის, პარალელურად რეგიონებში დარბის და იმაზე მუშაობს, რომ ნაცების ხმები როგორმე თავისკენ გადახაროს.

**— მაინც როგორ მუშაობს მამუკა ხაზარაძის ხალხი ნაცების ხმების მისაზიდად?**

— ისინი ჩადიან რეგიონებში, უკავშირდებიან ნაცების კოორდინატორებს და მერე ცდილობენ, ადგილობრივი ნაცები „ლელოს“ აქტივობებში ჩართონ. ეს არის ფაქტი, თუმცა, მეორე მხრივ, ფაქტია ისიც, რომ მამუკა ხაზარაძის ტელევიზია ყველას წყევლასა და ანათემას უგზავნის, ვინც არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს.

**— ხაზარაძის ტელევიზიაში ტელეკომპანია „პირველს“ გულისხმობთ?**

— ცხადია, „პირველს“ ვგულისხმობ და ასევე „ფორმულასაც“. მოკლედ, საქმე გვაქვს ორმაგ სტანდარტთან და ანომალიასთან, როცა ხალხი ერთმანეთს ეძახის პროსტიტუტებს, ხოლო მათი პარტიული ქვედანაყოფები წინასაარჩევნოდ ერთმანეთთან თანამშრომლობენ.

**— თქვენ განათლებული კაცი მგონიხართ და ხაბეიშვილის ციტირება როდის აქეთ დაიწყეთ? რომელი არისტოტელე და პლატონი ეგა გვყავს?**

— **ხაბეიშვილის** ციტირება იმიტომ მოვახდინე, რომ მეჩვენებინა, როგორი საჯარო ურთიერთობა არსებობს პარტიებს შორის და ამავე დროს რა ხდება მათ შორის ზურგს უკან, როცა პარტიულ კოორდინატორებსა და ამომრჩევლებს ერთმანეთში ცვლიან.

**— მაინც ვერ მოვისმინე ბოლომდე იმის ახსნა, თუ რატომ წყევლის და აგინებს მამუკა ხაზარაძის ტელეკომპანია „პირველი“ არჩევნებში მონაწილეობის მსურველებს მაშინ, როცა თავად მამუკა ხაზარაძე ადგილობრივ არჩევნებში გამარჯვებისთვის ემზადება?**

— მგონი, ტელეკომპანია „პირველის“ ჟურნალისტები **მამუკა ხაზარაძეს** ევაჭრებიან!

**— კერძოდ!**

— როგორც ჩანს, **მამუკა ხაზარაძეს** ტელეკომპანია „პირველის“ ჟურნალისტებისთვის ჯერ პრემიები არ გადაუხდია და იმიტომაც უძალიანდებიან — თუ გინდა, რომ პოზიცია შევიცვალოთ, გადაგვიხადეთო! მოკლედ, „პირველის“ ჟურნალისტებსა და **მამუკა ხაზარაძეს** შორის სინქრონია დარღვეული. თავიდან ერთიც და მეორეც გაიძახოდნენ — ვინც არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს, ქვეყნის მტერიაო, მაგრამ ახლა აირივნენ, რადგან **მამუკა ხაზარაძემ,** გულუბრყვილობით თუ „ქართულ ოცნებასთან“ შეთანხმებით, პოზიცია შეცვალა!

**— რას იტყვით პარლამენტის საგამოძიებო კომისიის მუშაობის შესახებ, რომელსაც თეა წულუკიანი ხელმძღვანელობს?**

— ხელისუფლება ხალხს სპექტაკლს აყურებინებს!

**— თქვენ ფიქრობთ, რომ რასაც ამდენი გაუბედურებული და დაზარალებული ხალხი ამ ხნის განმავლობაში ტელევიზიის პირდაპირ ეთერში ლაპარაკობს, ტყუილი და სპექტაკლია?**

— არა, ის ხალხი ტყუილს არ ლაპარაკობს, ეს ყველაფერი სიმართლეა, მაგრამ 2013 წლიდან მოყოლებული, ხელისუფლებას პროკურატურის, სასამართლოსა და პოლიციის ძალით შეეძლო ამ საზიზღრობის ჩამდენი ხალხის განეიტრალება და მათთვის უმკაცრესი პასუხისმგებლობის დაკისრება... **ის ხალხი, ვინც დღეს კომისიას ჩვენებას აძლევს, 2013 წელს უნდა დაებარებინათ და დაეკითხათ.** გარდა ამისა, როცა ყველაფერი — სასამართლო, პროკურატურა და პოლიცია შენს ხელშია, საგამოძიებო კომისია არ უნდა შექმნა! საპარლამენტო-საგამოძიებო კომისიის შექმნასაც თავისი წესი აქვს. კონსტიტუცია პირდაპირ გეუბნება, რომ საგამოძიებო კომისიის ნახევარზე მეტი უნდა იყოს ოპოზიციის წარმომადგენელი...

**— თუ ოპოზიცია პარლამენტში არ შედის, ხელისუფლებამ რა უნდა გააკეთოს?**

— როცა პარლამენტში ოპოზიცია არ არის, ეს იმას ნიშნავს, რომ პარლამენტს რაღაცრაღაცები არ შეუძლია. საპარლამენტო-საგამოძიებო კომისია ოპოზიციის ინსტრუმენტია და არა ხელისუფლების, რომელსაც ერთადერთი დანაპირები ჰქონდა — 2025 წლის 6 ოქტომბრის ადგილობრივ არჩევნებში ნაცმოძრაობა მონაწილეობას ვერ მიიღებსო! და ესეც ვერ შეასრულა, რადგან, **თუ ნაცებს მოუნდებათ, ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ!**

კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ხალხი, რომელიც კომისიას ჩვენებას აძლევს, ნაცების მიერ ნამდვილად გახლავთ დაზარალებული, შეურაცხყოფილი, ნაწამები და უფლებააყრილი, მაგრამ ამ ცამეტი წლის განმავლობაში რომელიმე მათგანმა შელახული უფლებები აღიდგინა? რა **გაკეთდა ცამეტი წლის განმავლობაში ამ ხალხის რეაბილიტაციისა და დამნაშავეების დასჯის მიზნით? არაფერი! ამიტომაც ვაცხადებ, რომ ეს არის სპექტაკლი!**

## «ვაცხადებ, რომ ეს არის სპექტაკლი!»

**— ნიკანორ მელიას დაპატიმრებაზე რას იტყვით?**

— ფაქტია, რომ **გვარამიასა** და **მელიას** პარტია კარგავდა ამომრჩეველს, რომელიც ისევ ნაცებს და მიშას უბრუნდებოდა. ანუ ის ხალხი, ვინც წინა არჩევნებზე გვარამიასა და ფულის სანაცვლოდ მიშას უღალატა, ისევ უბრუნდებოდა სააკაშვილს... ზოგი სინანულში ჩავარდა, ზოგი მიხვდა, რომ, თუ ვინმე არასანდოა, უპირველესად, **გვარამია,** რადგან პასუხი არა აქვს, თუ საიდან იშოვა ამდენი ფული.

**— მაინც რა თანხაზეა ლაპარაკი და ვინ მისცა ნიკა გვარამიას ფული, რომელსაც თქვენ ასე ხშირად ახსენებთ?**

— ოფიციალურად **გვარამიამ** წინასაარჩევნო ხარჯებში **10 მილიონი** მიუთითა, თუმცა, არაოფიციალურად **40 მილიონი** მისცეს!

**— ვინ მისცა გვარამიას ამოდენა ფული?**

— ხელისუფლებამ! მანვე გვარამიას ელექტორატის გადასარჩენად დადგა მორიგი სპექტაკლი და ციხეში გააქანა **ნიკა მელია,** რათა მათთვის შეექმნა წამებულის იმიჯი და შეეწყვიტა პარტიიდან მიშისტების გადინების პროცესი. მელიას დაპატიმრებით გააკეთილშობილეს 40 მილიონის თემაც... რაც შეეხება არჩევნებში მონაწილეობას, **გვარამიას** ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობა ხელს არ აძლევს. პარლამენტში არ შევიდა და საკრებულოში შევა?

**— მაშინ გამოდის, რომ ნიკა მელია ციხეში შეთანხმებით ზის?**

— ამას არ ვამბობ, თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ ვიღაცამ სასარგებლო იდიოტის როლი შეასრულა და ციხეში თავი დურთა. სხვა მხრივ, დღეს არჩევნების ბოიკოტირება და შენი ამომრჩევლის არჩევნებზე არწაყვანა, ხელისუფლების წისქვილზე წყლის დასხმას ნიშნავს!

**— გახარიაზე რას იტყვით?**

— **გახარია** ყველაზე ეშმაკურად იქცევა. ხალხს ჰგონია, რომ იგი პარლამენტში არ არის, სინამდვილეში პარლამენტშიც არის და ფულსაც იღებს! შესაბამისად, იმათთან შეადარებით, ვინც საპარლამენტო სიები ჩახსნა და პარლამენტში არ შევიდა, **გახარია** მართლაცდა ტოპ-ტვინი აღმოჩნდა! თუმცა, მისი პოზიციაც არ არის სახარბიელო, რადგან, დარწმუნებული ვარ, უახლოეს მომავალში მომხრეებიც და მოწინააღმდეგენიც ერთად დაუწყებენ გინებას. ასე რომ, **გახარიამ** ბევრ შეკითხვას უნდა უპასუხოს, მათ შორის იმასაც, თუ რატომ გადადგა პრემიერობიდან და ისევ პრემიერობას რატომ ესწრაფვის? არადა, მელია კიდევ რომ დაიჭირონ და გახარია ისევ გადადგეს, მერე რაღა ვქნათ?

**— როგორ ფიქრობთ, ხელისუფლების მიერ ოპოზიციისთვის პარლამენტში ადგილების გაუქმება პროტესტანტებისთვის დიდი მოულოდნელობა იყო თუ ამას ელოდნენ?**

— ვიღაც ამას ელოდა, მაგრამ ვიღაც — არა! აი, მაგალითად, **გვარამიას,** რომელიც პარლამენტში არშესვლის შესახებ ხალხს განცხადებებს აწერინებდა, დარწმუნებული ვარ, ინფორმაცია ჰქონდა და იცოდა, რაც მოხდებოდა. **ცხადია, რასაც გვარამია აკეთებდა და აკეთებს, ხელისუფლებას აწყობდა და აწყობს!**

**— მაშინ გამოდის, რომ გვარამიამ მღვდელი გაპონის მისია შეასრულა, როცა ოპოზიციონერ დეპუტატებს პარლამენტში შესვლაზე უარი ათქმევინა?**

— გვარამიამ ის როლი ითამაშა, რომელიც შეურჩიეს!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***









## კვირგვინოსნები

**ალექსანდრე რაქვიაშვილი**
*პარტია „გირჩის“ წევრი*



ამ ეტაპზე არ გვაქვს მოლოდინი, რომ **ოპოზიციაში არსებული სიტუაცია** ხელს უწყობს „ქართული ოცნების“ დამარცხებას. **თვეები ტყუილში ამყოფეს საკუთარი ამომრჩეველი,** თვეები ყვებოდნენ, რომ პროტესტია, ცოტაც და ახლა დავამხობთ „ქართულ ოცნებასო“.

„პირველი არხი“

**გიორგი ბუჭიკაშვილი**
*კოალიცია „ცვლილებებისთვის“ წევრი*



ადგილობრივი არჩევნები არის არა **ბრძოლის ველი,** არამედ **დანაღმული ველი,** სადაც შეხვალ და აფეთქდები! რანაირად შეიძლება გჯეროდეს, რომ **„ოცნება“ არჩევნებში თბილისს ან ბათუმს გაგატანს?!**

„პალიტრანიუსი“

**გრიგოლ გეგელია**
*პარტია „ლელო — ძლიერი საქართველოს“ საერთაშორისო მდივანი*



ჩვენი კვლევის თანახმად, **გამოკითხულთა 60 პროცენტს სურს, არჩევნებზე შეეძლოს მისვლა** და სურს, მისთვის სასურველი პარტიები იქ იყვნენ.

„რუსთავი-2“

**გიორგი გახარია**
*პარტია „გახარია საქართველოსთვის“ ლიდერი*



ჩვენ ვემზადებით **ნებისმიერი შემდეგი არჩევნებისთვის.** ჩვენთვის ხელისუფლების ცვლილება შესაძლებელია **მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანად და არჩევნების გზით.**

„რეზონანსი“



*ცნობილი საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე აცხადებს, რომ თავი არ უნდა დავუხაროთ დღევანდელ სამარცხვინო ევროპას, რომელიც ტაშს უკრავს ბინძური სააკაშვილის საქმესა და მის მიმდევრებს:*



# „პრეზიდენტმა ტრამპმა ამერიკის პოლიტიკა შეცვალა და ელჩი რობინ დანიგანი აიძულა, საქართველო დატოვოს!“

## ელიზბარ ჯაველიძე:

# ნეტავ, ქალბატონ რობინ დანიგანს სხვა ელჩებიც მიბაძავდნენ და ყველანი პენსიაზე გავიდოდნენ!

— სააკაშვილის დროს რა უბედურებაც ხდებოდა, მეგონა, ყველაფერი ვიცოდი, მაგრამ პარლამენტის საგამოძიებო კომისიის სხდომებს რომ ვუყურებ, რომელსაც ქალბატონი **თეა წულუკიანი** ხელმძღვანელობს, ასე მგონია, არაფერი მცოდნია... ამ რამდენიმე დღის წინათ საგამოძიებო კომისიის წინაშე წარდგნენ ჩვენი სახელოვანი მეცნიერები და აკადემიკოსები — ბატონი **ავთანდილ არაბული,** ბატონი **გიორგი გოგოლაშვილი** და ქალბატონი **ლია მელიქიშვილი.** ამ ძვირფასმა ადამიანებმა დეტალურად აღწერეს ის უბედურება, რაც **სააკაშვილმა და მისმა ხროვამ** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და, საერთოდ, განათლების სისტემაში დაატრიალეს. დავიწყოთ იმით, რომ აკადემიკოსი **როინ მეტრეველი** იძულებული გახადეს, უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობა დაეტოვებინა. ამის შემდეგ დაიწყეს უნივერსიტეტის მიზანმიმართული ნგრევა. არაერთხელ მითქვამს და კიდევ ერთხელ ვიმეორებ: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი და უნიკალური იყო. მსოფლიო მასშტაბის კორიფეები კითხულობდნენ აქ ლექციებს. თურქული, არაბული და სპარსული ენები უმაღლეს დონეზე ისწავლებოდა... აღარ არსებობს ეს ფაკულტეტი, რადგან გაანადგურეს! **უნივერსიტეტის 22 ფაკულტეტი 7 ფაკულტეტამდე დაიყვანეს და უამრავი კაბინეტი მოსპეს!** შედეგად მივიღეთ ის, რომ დღეს იქაური პროფესორ-მასწავლებლების უმეტესობა **სააკაშვილის მიერ ჩანერგილი მიშისტია,** რომლებიც სააკაშვილთან ერთად გადაღებული სურათებით დღემდე თავს იწონებენ.

**— ბატონო ელიზბარ, თქვენ, ცხონებული გურამ შარაძე და კიდევ რამდენიმე სახელოვანი პროფესორი უნივერსიტეტის ნგრევას აპროტესტებდით, მაგრამ პროფესურისა და აკადემიური სფეროს დიდი ნაწილი მაშინ სამარცხვინოდ გაიტრუნა! იბრძოდა ხუთი-ექვსი კაცი და დანარჩენი ხმას არ იღებდა. არადა, 1200 პროფესორ-მასწავლებელი გაყარეს მხოლოდ უნივერსიტეტიდან... სხვა უმაღლეს სასწავლებლებზე აღარაფერს ვამბობ...**

— დიახ, ასე იყო და ამიტომაც შეიქმნა სამარცხვინო სიტუაცია! მაშინ სწორედ ამის გამო დავწერე ვრცელი წერილი — **„რამ დაგადუმათ, თქვე ერისშვილებო?!“** მერე ეს წერილი ცალკე ბროშურადაც გამოვეცი... **„ერისშვილებში“** სინამდვილეში სხვა რაღაცას ვგულისხმობდი, რასაც ყველა ადვილად მიხვდება. აი, იქ ვწერდი, რომ გაჩუმება და ხელების ჩამოყრა ღალატის ტოლფასი იყო. საუბედუროდ, მაშინ მართლაც ბევრი გაჩუმდა და სააკაშვილს უნივერსიტეტში ის მძლავრი სახალხო პროტესტი არ შეხვდა, რომელიც მისი რეჟიმის წინააღმდეგ მერე და მერე აგორდა. მთელი უბედურება ის არის, რომ სააკაშვილმა ეს ყველაფერი ჩაიდინა გლობალური დასავლეთის — ევროპისა და ამერიკის ხელდასხმით! აქედან გამომდინარე, არ მიკვირს, რომ საქართველოში ევროკავშირში გაწევრიანების გულშემატკივართა რიცხვმა 9 პროცენტით დაიწია!

**— როგორც ამბობენ, ეს მაჩვენებელი სინამდვილეში 18 პროცენტით არის დაწეული!**

— რაც ევროპაში ხდება, როგორც ჩვენ ისინი გვექცევიან და რისკენაც გვიბიძგებენ, ეს ყველაფერი თავზარდამცემია და რა გვინდა იქ, სადაც ეს გათახსირებულები სასაფლაოს გვიმზადებენ? ევროპას ქართველი ხალხი კი არა, გენდერი და გენდერის მიხედვით შექმნილი ადამიანი აინტერესებს! ეს ამბავი ახალი დაწყებული არ არის, დიდი ხანია, რაც ამისთვის ნიადაგს ამზადებდნენ. **ბოდიში ევროპასთან, მაგრამ ეგენი რომ ტყიდან გამოდიოდნენ, ჩვენ მაშინ რუსთაველი გვყავდა, გასაოცარი ტაძრები გვქონდა და ქრისტიანულ აზროვნებაში ჩვენი ხმა ისმოდა.** ქრისტიანობას ჩვენ იმიტომ ვეზიარეთ, რომ ქრისტიანობამ ადამიანის სიყვარული და გაღმერთება გვასწავლა მაშინ, როცა თანამედროვე ევროპაში სოდომია და კაცის კაცზე გათხოვება გააღმერთეს!

დანტეს პირამიდის სათავეში დგას სრულყოფილება, სილამაზე და მშვენიერება — ღმერთი! ადამიანიც ამ ღმერთთან მიმართებაში ხვეწდა თავის თავს. დღეს კი რა ხდება? მაპატიოს ღმერთმა და ეს **პედე...ტები (ცენზურა ჩვენია. რედ.)** რომ გამოვიდნენ, თავიდან ასეთი ლაპარაკი დაიწყეს — ჩვენც ადამიანები ვართ და ნუ დაგვჩაგრავთ! ცხადია, ჩვენ არ ვჩაგრავდით... მერე ამ **პედე...სტებმა (ცენზურა ჩვენია. რედ.)** თავი წამოსწიეს და განაცხადეს — ჩვენ ის ხალხი ვართ, ვინც შუა საუკუნეებში უდიდესი კულტურა შექმნა! დღეს **პედე...სტები (ცენზურა ჩვენია. რედ.)** სულ სხვა ლოზუნგებით გამოდიან — თქვენ უნდა მოშორდეთ და ჩვენ მოვიდეთ! აი, ეს არის დღევანდელი ევროპა...

ევროპისთვის ჩვენ კაცები კი არა, გენდერი ვართ! უფრო მეტიც, ევროპელები ჩვენ ადამიანებად საერთოდ არ გვთვლიან და მონებად უნდათ, ვყავდეთ. ქართველმა კაცმა უნდა დაკარგოს ინდივიდუალობა და გახდეს მათნაირი. დღეს ბევრი ტლიკინებს პუტინის შესახებ და ბევრს ავიწყდება, რომ პუტინი თავისი ქვეყნის პრეზიდენტი და პატრიოტია. **რატომ ვთხოვთ პუტინს, რომ კეთილი თვალით გვიყუროს? ჩვენ რომ „პრეზიდენტი“ გვყავდა — სააკაშვილი, აი, იმან დაიწყო საქართველოს მოსპობა და ნგრევა. არც მონღოლს, არც რუსს და არც არავის საქართველოში არ ჩაუდენია ის სიბინძურე, რაც სააკაშვილმა ჩაიდინა!** როცა ვიღაც „კასტილებიან“ გადაგვარებულს „ვიაგრას“ ასმევდნენ, რათა კაცები 60 ლარად გაეუპატიურებინა, თურმე აი, ეს უნდა მოვითმინოთ, ქართველების „გაქათმება“ უნდა მოვითმინოთ...

**— ამერიკის ელჩი რობინ დანიგანი პენსიაში გავიდა და, როგორც თავად განაცხადა, ელჩის პოსტი თავისი ნებით, ამერიკის მთავრობის ბრძანების გარეშე დატოვა! რას იტყვით?**

— საერთოდ, ცნობილია, რომ ქალბატონ **რობინ დანიგანს** შეერთებული შტატების ხელისუფლება იმ ქვეყნებში აგზავნიდა ელჩად, სადაც ამერიკის პოლიტიკის გატარება ძალიან უჭირდათ. ნეტავ, ქალბატონ **რობინ დანიგანს** სხვა ელჩებიც მიბაძავდნენ და ყვე-

გაგრძელება 22-ე გვერდზე




**„ეს უდღეურები რომ გამოვიდნენ ევროპარლამენტში – ლაშა ბუღაძე და ბექა ყორშია, ეგენი, საერთოდ, ქართველები არიან? ან ის გამოსვლა რა იყო, ან ის სამარცხვინო ინგლისური რას ჰგავდა?“**

## კვირგვინოსნები

**ნიკა ჩიტაძე**
*ანალიტიკოსი*



შესაძლოა, **არასამთავრობო ორგანიზაციების გარკვეული ნაწილი „ოცნებას“ გაურიგდეს** და დარეგისტრირდეს, **რათა შემდეგ გრანტი მიიღოს,** თუმცა, გრანტის მიღებასაც წინაღობა ექნება, რადგან ამისთვის **მთავრობის ნებაა საჭირო.**

„რეზონანსი“

**რამაზ საყვარელიძე**
*პოლიტოლოგი*



მე არ გამოვრიცხავ, რომ **გარე ძალებს** ნამდვილად უნდოდეთ **საქართველოში 2003 წლის რევოლუციური სცენარის გამეორება.** არ გამოვრიცხავ, სწორედ ამას ემსახურებოდეს ქუჩაში პროცესების გადატანა.

„ახალი თაობა“

**ზურაბ ბატიაშვილი**
*ანალიტიკოსი*



„ქართული ოცნების“ ლიდერები **ხელის ჩამორთმევასა და თვალის ჩაპაჭუნებას** დიდ დიპლომატიურ წარმატებად მიიჩნევენ.

„ახალი თაობა“

**პაატა ზაქარეიშვილი**
*ყოფილი სახელმწიფო მინისტრი*



„ქართული ოცნების“ მიზანია, **ოპოზიციამ არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღოს!** ოპოზიცია **სანამ ბოიკოტზე წავა,** კარგად დაფიქრდეს!

„ახალი თაობა“

## აკადემიკოსის პოლიტიკა

# ელიზბარ ჯაველიძე:

# ჩემთვის მამულის მოვლა და სიყვარული არ არის ის, როცა ორი არაბი ქართული მიწის გამო ერთმანეთს სასამართლოში ედავება!



„ვითომ ნაცებს ებრძვიან და ამ დროს ნახევარი პარლამენტი ნაცებით არის სავსე!“

*დასაწყისი 21-ე გვერდზე*

ლანი პენსიაზე გავიდოდნენ! განსაკუთრებით ეს ეხება ევროკავშირის სამარცხვინო ელჩს, ბატონ **პაველ ჰერჩინსკის,** რომელსაც ეს ტვინით ავადმყოფი **სააკაშვილი** ისევ „დემოკრატიის შუქურა“ ჰგონია. პრეზიდენტმა **ტრამპმა** ამერიკის პოლიტიკა შეცვალა და ელჩი **რობინ დანიგანი** აიძულა, საქართველო დატოვოს!

**— დანიგანმა ხაზგასმით განაცხადა, რომ მან ეს გადაწყვეტილება პირადად მიიღო!**

— აბა, იმას ხომ არ იტყოდა, მომხსნესო?! საერთოდ, ეს ელჩები ცალკე უბედურებაა. ისინი არიან საქართველოს მტრების — ნაცების წამქეზებლები — არიქა, თქვენ უნდა გაიმარჯვოთ და ჩვენ უნდა ჩავატაროთ არჩევნებიო! ან ეს უდღეურები რომ გამოვიდნენ ევროპარლამენტში — **ლაშა ბუღაძე და ბექა ყორშია,** ეგენი, საერთოდ, ქართველები არიან? ან ის გამოსვლა რა იყო, ან ის სამარცხვინო ინგლისური რას ჰგავდა? თუ ინგლისური არ იცი, ქართულად ლაპარაკი ხომ შეგიძლია? მაგრამ **ლაშა ბუღაძეც და მამამისიც სამარცხვინოები არიან!** გია ბუღაძე რომ ლენინის პორტრეტებს სიხარულით ხატავდა, მე კომპარტიაში ცოცხალი თავით არ შევდიოდი — ეგლა მაკლია, თქვენ საწევრო ფული გადაგიხადოთ-მეთქი! არადა, მაშინდელი რაიკომის მდივნები და პარტიული ჩინოსნები ბევრად უფრო პატრიოტები იყვნენ და ქართულად უძგერდათ გული, ვიდრე დღევანდელ ე.წ. დემოკრატები! ამ ხელისუფლებამაც ვერ გაიგო, რომ ადამიანები არ იცვლებიან და არ შეიძლება ხალხის თანამდებობაზე დანიშვნა მხოლოდ პარტიული ნიშნით! **ამას იმიტომ ვამბობ, რომ ვითომ ნაცებს ებრძვიან და ამ დროს ნახევარი პარლამენტი ნაცებით არის სავსე!** ნუ დამაჯერებენ და ნუ მეტყვიან, რომ ნაცები შეიცვალნენ! არავინ იცვლება... დღეს მოდაშია ილიასეული მაქსიმის — „მამული, ენა, სარწმუნოების“ ხშირად გამეორება. ბედის ირონიით, ხშირად ამ სიტყვებს ის ხალხი იმეორებს, ვისაც ილია წაკითხულიც არა აქვს... ყველას გასაგონად ვამბობ — **ჩემთვის მამულის მოვლა და სიყვარული არ არის ის, როცა ორი არაბი ქართული მიწის გამო ერთმანეთს სასამართლოში ედავება — არა, ჩემია მიწა და არა, ჩემიო!**

**— არცთუ იშვიათად გაიგონებთ ასეთ ფრაზას — რაში სჭირდება ხელისუფლებას თეა წულუკიანის საპარლამენტო საგამოძიებო კომისია, როცა სასამართლო, პროკურატურა და პოლიცია მის ხელში არისო... თქვენ რას იტყვით?**

— ქალბატონ **თეა წულუკიანს,** რომელიც ეროვნული და პატრიოტი ახალგაზრდა ქალია, დიდი პატივს ვცემ. ეს კომისია აუცილებლად უნდა შექმნილიყო, რათა მთელ საქართველოს, განსაკუთრებით, ახალგაზრდებს შეეტყოთ იმ საშინელების შესახებ, რასაც სააკაშვილის რეჟიმი სჩადიოდა. **თუ თეა წულუკიანის კომისია დამნაშავე ნაცებს განაჩენს არ გამოუტანს, ხოლო მერე კონკრეტულ დამნაშავეებს ციხეში არ გაუშვებენ და ნაცმოძრაობას არ აკრძალავენ, მაშინ საქართველო აღარ იარსებებს!** მე დიდი იმედი მაქვს, რომ, ბოლოს და ბოლოს, გაიხსნება **ზურაბ შარაძის** მკვლელობა, რომლის ქალიშვილი, ქალბატონი **რუსუდან შარაძე** საგანგებოდ ჩამოვიდა უცხოეთიდან და კომისიას გამაოგნებელი ჩვენება მისცა.

**— ამ განცხადების საფუძველს რა გაძლევთ?**

— ამის საფუძველს მაძლევს ამ ბოლო დროს პროკურატურაში მიმდინარე ცვლილებები. **პროკურატურამ ზვიად ბამსახურდიასა და ზურაბ შარაძის მკვლელობის შესახებ ყველაფერი იცის... განსაკუთრებით ეს ეხება ზვიადის მკვლელობას,** მაგრამ რადგან ზემოდან ჰქონდათ მიღებული დირექტივა, საქმეს არ ხსნიდნენ. ახლა ყოველგვარი აკრძალვა მოხსნილია და რაღას უცდით, ვის არ აწყობს, რომ სიმართლე სრულიად საქართველომ იცოდეს?!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***





## ისტორიის გაკვეთილი

# რით უნდა



*დასაწყისი იხ. „ა-დ“, 2025 წლის №1-2, 3-23*

# სვიმონ მასხარაშვილი:

# დავით აღმაშენებელმა შექმნა სისტემა, რომლის მიხედვით, გონებაშეზღუდული მეფის არსებობის შემთხვევაშიც კი, საქართველოს ვერავითარი საფრთხე ვერ დაემუქრებოდა!

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი** იმ უმტკიცესი სახელმწიფო სისტემის შესახებ საუბრობს, რომელიც დავით აღმაშენებელმა, უპირველეს ყოვლისა, რუის-ურბნისის საეკლესიო კრებით და სხვა რეფორმებით შექმნა:*

— დიდგორის ბრძოლის შემდეგ დავით აღმაშენებლის ნამოღვაწართაგან ყველაზე ცნობილი და გახმაურებული **რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაა,** რომელმაც შეიმუშავა მე-19 მუხლი და ამით მთლიანად გამართა საქართველოს ეკლესიის კანონიკაც და დოგმატიც. რაც მთავარია, კრებამ ქართული ეკლესია გაწმინდა უღირსთაგან და საქართველოს სულიერების საჭე უგანათლებულეს და მამულიშვილ ქართველ ღვთისმსახურთ გადასცა.

**— ქართულ ისტორიოგრაფიაში რუის-ურბნისის საეკლესიო კრების გამართვის თარიღი დაზუსტებული არ არის! ზოგი წერს, რომ ეს მოხდა 1103 წელს, ხოლო, ზოგის აზრით, კრება დავითმა 1104 წელს მოიწვია. თქვენ რას ფიქრობთ?**

— რუის-ურბნისის საეკლესიო კრება **1104-1118 წლებში** ჩატარდა. მანამდე ის, უბრალოდ, ვერ გაიმართებოდა, რადგან კახეთ-ჰერეთის შემოერთების პროცესი საბოლოოდ დასრულდა 1104 წელს ერწუხის ბრძოლით, როდესაც **განძის ათაბაგი** დავამარცხეთ. ამასთან, 1118 წლამდე ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ რუის-ურბნისის „ძეგლისწერაზე“ ხელმომწერნი — საქართველოს მეფეთ მეფე და ბიზანტიის კეისარი, ბასილევს ალექსი კომნენოსის თანაიმპერატორი **გიორგი მეორე;** ასევე ბიზანტიის ბასილევსა, ანუ იმპერატრიცა, დავითის მამიდა და **ალექსი კომნენოსის დედოფალი — მართა-მარიამი.** ცნობისათვის, მართა-მარიამი თავის შვილობილ იმპერატორ **ალექსი კომნენოსზე** ოთხი წლით უმცროსი იყო. მოკლედ, რუის-ურბნისის კრების გამართვის შესახებ უფრო ზუსტი თარიღის დასახელება შეუძლებელია და ეს მოვლენა 1104-1118 წლებში უნდა მომხდარიყო. რუის-ურბნისის კრების მიერ შემუშავებული საკანონმდებლო აქტის, ანუ „ძეგლისწერის“ შემდგენელია წმინდა **არსენ იყალთოელი.**

**— რა იყო ამ კრების თავისებურება?**

— უპირველესი თავისებურება იყო ის, რომ კრების მუშაობის უსაფრთხოებასა და თავისუფლებას უზრუნველყოფდა საქართველოს მეფე თავისი ჯარით. კრებას უძღვებოდნენ საქართველოს ეკლესიის წმინდა მამები — წმინდა კათალიკოსი **იოანე, არსენ იყალთოელი, სიმონ გულაბერიძე, გიორგი ჭყონდიდელი და იოანე პეტრიწი.** თითოეულ მათგანს მრავალი ღირსეული მოწაფე და მიმდევარი ჰყავდა, მაგრამ მათ მეფის დახმარების გარეშე ფრიად გაუჭირდებოდათ უღირს და მექრთამე ეპისკოპოსთა და მღვდელმსახურთა წინააღმდეგობის დაძლევა ანდა ბილწ ადამიანთა ეკლესიიდან განდევნა, ვინაიდან ყოველი უღირსი ხუცესის უკან ამა თუ იმ დიდაზნაურთა კლანი იდგა. დიდაზნაურნი თავიანთ უმცროს ვაჟებს სიყრმიდანვე „სასულიერო პირებად“ ზრდი-

## კვირგვინოსნები

**ვახტანგ ძაბირაძე**
*ექსპერტი*



**საპარლამენტო არჩევნების** ჩატარების მოთხოვნა მეორეხარისხოვანი გახდა და იმაზე დაიწყეს მსჯელობა, ვინ მიიღებს **ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში** მონაწილეობას და ვინ — არა. ლამის ერთმანეთისთვის **ბრალდებების წაყენება** დაიწყეს.

„კვირის პალიტრა“

**პეტრე ცისკარიშვილი**
*„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი*



ვინც დღეს საუბრობს, რომ **ივანიშვილის** მმართველობის პირობებში აზრი აქვს **საპარლამენტო არჩევნებზე გასვლას,** მათ მხოლოდ სადეპუტატო მანდატები უნდათ.

„პირველი არხი“

**გიორგი გუგავა**
*ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი*



„ოცნებასთან“ **ფარული თამაშით** ხელის მოთბობის დრო არ არის. ვინც ფიქრობს, რომ არჩევნებით შეიძლება რაიმეს შეცვლა, **ივანიშვილთან გარიგებულია.**

„ახალი თაობა“

**ნიკა შენგელია**
*ეკონომისტი*



**საშუალო ხელფასი თვალებში ნაცრის შეყრაა,** აიღებენ 10 კომპანიიდან 8 საუკეთესოს, სადაც მაღალია ანაზღაურება და **გამოჰყავთ საშუალო არითმეტიკული.** ბანკის სამეთვალყურეო თავმჯდომარეებს **თვეში 350 000 და 400 000 ლარი აქვთ ხელფასი.** ერთ კაცს აქვს იმდენი ანაზღაურება, რომ **მთელ რაიონში არ ექნება დასაქმებულ ადამიანებს ერთად აღებული.**

„რეზონანსი“

**პაატა მანჯგალაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრი*



ჩვენი მოთხოვნა მკაფიოა: **ახალი, სამართლიანი საპარლამენტო არჩევნები,** პოლიტპატიმრების და რეჟიმის ტყვეების გათავისუფლება.

„აიპრესი“

# ამაყობდეს ქართველი?

დნენ და მათ თავიანთი მამულების სიახლოვეს მდებარე ეკლესიების, მონასტრებისა და საეპისკოპოსოების საჭეთმპყრობელებად „ადგენდნენ“. შესაბამისად, ეკლესია-მონასტრების შემოსავლები უზნეო დიდგვაროვანთა ჯიბეში მიდიოდა... ამ გზით წვრილი ერი ხორციელად იძარცვებოდა, ხოლო სულიერად, უზნეობის გარდა, ვერაფერს სწავლობდა. სხვათაშორის, ამდაგვარი მოდელი მოქმედებდა მთელ დასავლეთ ევროპაში.

ცნობისათვის, **ვოლტერმა** საფრანგეთში მსგავსი აღვირახსნილობის წინააღმდეგ ბრძოლა მე-18 საუკუნეში დაიწყო, ხოლო თვით იტალიაში **ჯოვანი ბოკაჩომ და დანტემ** ამ ყველაფრის წინააღმდეგ მე-14 საუკუნეში აღიმაღლეს ხმა. თუმცა, ვერც **ბოკაჩომ** და ვერც **ვოლტერმა** ბოლომდე სასურველ მიზანს ვერ მიაღწიეს, რადგან ამ საქმეში სახელმწიფოს მხარდაჭერა არ ჰქონდათ. **ქართველები უნდა ვამაყობდეთ იმით, რომ დავით აღმაშენებელმა ჯერ კიდევ მე-12 საუკუნის დასაწყისში, არსენ იყალთოელთან, გიორგი ჭყონდიდელთან და იოანე პეტრიწთან ერთად, არათუ აღიმაღლა ხმა ამ ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად, არამედ ბოლომდე აღმოფხვრა ეს საშინელი ბოროტება!**

**დავით აღმაშენებლის** მხედრობის შიშით დიდაზნაურებმა ვერ შეძლეს რუის-ურბნისის კრების საქმიანობაში ჩარევა და თავიანთი პროტეჟეების დაცვა. რუის-ურბნისის კრებამ მთლიანად გაწმინდა საქართველოს ეკლესია უღირს მღვდელმსახურთაგან.

აქ აუცილებლად უნდა გავიხსენოთ **გიორგი მთაწმინდელის** ღვაწლიც, რომელიც 1060-1065 წლებში, გიორგი მეორის მოწვევით, საქართველოში იმყოფებოდა. მეფე მას მიტროპოლიტობას, მთავარეპისკოპოსობას და კათალიკოსობასაც სთავაზობდა, მაგრამ უარი მიიღო. **გიორგი მთაწმინდელმა** დაინახა, რომ მთელი ქართული ეკლესია მამონას მოყვარე უზნეო ადამიანებს ჰქონდათ ხელში ჩაგდებული, რომლებსაც ზურგს დიდებულები, მათ შორის, მეფის ნათესავები უმაგრებდნენ. **გიორგი მთაწმინდელი** მიხვდა, რომ ერთი კაცი, თუნდაც პატრიარქი, გაზაფხულს ვერ მოიყვანდა, ამიტომ მოიარა მთელი საქართველო, შეარჩია 80 უღირსეულესი ჭაბუკი და მათ აღზრდას შეუდგა, რათა განეწმინდათ და აღემაღლებინათ საქართველოს ეკლესია. სწორედ **გიორგი მთაწმინდელის** მიერ შერჩეულ 80 ჭაბუკთაგანნი იყვნენ **არსენ იყალთოელიც, იოანე პეტრიწიც, გიორგი ჭყონდიდელიც და კათალიკოსი იოანეც.**

რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ ქართული ეკლესიის კანონიკის საფუძვლად მსოფლიოს შვიდი საეკლესიო კრების აქტებთან ერთად სწორედ **გიორგი მთაწმინდელის** მიერ შემუშავებული წესები გამოაცხადა და დაამკვიდრა. მეტიც, ერთადერთ კანონიკურ ტექსტად სახარებისა და ბიბლიის **გიორგი მთაწმინდელისეული** თარგმანი გამოცხადდა. იგივე ეხება სალიტურგიკო ტექსტებსაც. დღემდე ქართული ეკლესია სწორედ **გიორგი მთაწმინდელის** მიერ თარგმნილი ლოცვებით სწირავს და მის მიერ თარგმნილ სახარებას უკითხავს ქართველ ერს!

**— რუის-ურბნისის კრებამ ცეცხლითა და მახვილით დაგმო სოდომია!**

— სოდომიას ნებისმიერი ტრადიციული და ისტორიული ეკლესია გმობდა და დაგმობს, მათ შორის, ვატიკანიც... მაგრამ თვალშისაცემია ის, რომ რუის-ურბნისის „ძეგლისწერა“ სულ 19 მუხლისგან შედგება და აქედან ორი — მე-18 და მე-19 მუხლები ეძღვნება კონკრეტულ ცოდვებს. კერძოდ, მე-18 მუხლი — სოდომიას, ხოლო მე-19 — ბილწსიტყვაობას. **სოდომია და ბილწსიტყვაობა რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ ყველა ცოდვაზე უფრო მომაკვდინებელ ცოდვებად გამოაცხადა!**

როგორც ტექსტიდან ჩანს, რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მონაწილე წმინდა მამები ფრიად შეშფოთებული არიან, რომ ამ ცოდვებს ქართველთა შორისაც აქვს ფეხი მოკიდებული და ისტორიული მაგალითები მოჰყავთ იმის სადემონსტრაციოდ, რომ ყოველი დიდი სახელმწიფო სწორედ მაშინ დაემხო და აღიგავა პირისაგან მიწისა, როდესაც მისი საზოგადოება შემწყნარებელი და მიდრეკილი გახდა სოდომიისკენ. შესაბამისად,

**რუის-ურბნისის კრების მამამთავრებს ქართველი ერის წინსვლის აუცილებელ პირობად ბილწსიტყვაობისა და სოდომიის აღმოფხვრა მიაჩნდათ.**

სხვათაშორის, მე-14 საუკუნის ქართველი ისტორიკოსი — **ჟამთააღმწერელი** საგანგებოდ წერს, რომ საქართველოს დაცემა 1225-1235 წლებში განაპირობა **ლაშა-გიორგისა** და **რუსუდანის** მეფობაში ქართველთა შორის მეტისმეტად მომძლავრებულმა სოდომურმა ცოდვამ და სხვა გარყვნილებებმა. **ჟამთააღმწერელი** აღნიშნავს, რომ საქართველო სოდომური ცოდვების გამო **ჯალალედინისა** და მონღოლების შემოსევებით უფალმა დასაჯა!

**— რუის-ურბნისის საეკლესიო კრების „ძეგლისწერაში“ საგანგებოდ საუბრობენ სომხური, გრიგორიანული სარწმუნოების შესახებაც...**

— „ძეგლისწერაში“ პირდაპირ წერია, რომ გრიგორიანული, ანუ სომხური საპატრიარქოს მრევლი განიხილება არაქრისტიანად და მოუნათლავად! **გიორგი მთაწმინდელის** მოწაფენი ეჩმიაძინის მრევლს, ანუ სომეხ მონოფიზიტებს ურჯულოებად მიიჩნევდნენ! რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ იზრუნა იმაზეც, რომ სამომავლოდ ქართული ეკლესია მაქსიმალურად დაცული ყოფილიყო მის წიაღში უმსგავსო პიროვნებების შემოღწევის საფრთხისგან. ამ მიზნით დაწესდა, რომ, როგორც მღვდლობის, ისე დიაკვნობისა და ეპისკოპოსობის ხარისხის მისაღებად აუცილებელი იყო ხუთწლიანი ნამსახურეობა, ანუ ადამიანს 20 წლის ასაკში რომ დაეწყო საეკლესიო მსახურება, 35 წლის ასაკამდე ეპისკოპოსი ვერაფრით გახდებოდა. 15 წელი საკმარისი დროა ადამიანის შესასწავლად... გარდა ამისა, **გადაწყდა, რომ საეკლესიო თანამდებობები მხოლოდ გელათისა და იყალთოს აკადემიების კურსდამთავრებულებს შეეძლოთ დაეკავებინათ,** ანუ მომავალი სასულიერო პირები ბავშვობიდან ოც წლამდე უწმინდეს და უგანათლებულეს მამათა ზედამხედველობის ქვეშ იზრდებოდნენ. შესაბამისად, ბილწთა მაღალ სასულიერო იერარქებად განწესებისა და აღზევების შესაძლებლობა ნულამდე იყო დაყვანილი. საინტერესოა ერთი რამ: მე-14 საუკუნის პირველი ნახევრის ხელნაწერის სახით შემონახული **„ხელმწიფის კარის გარიგებიდან“,** ანუ საქართველოს კონსტიტუციიდან ჩანს, რომ გელათის აკადემიის რექტორი, ანუ მოძღვართმოძღვარი, თვით მეფესა და კათალიკოს-პატრიარქზე უფრო დიდი პატივით სარგებლობდა! ანუ **დავით აღმაშენებლის დროს საქართველოს სახელმწიფო იერარქიაში ნომერ პირველი თანამდებობის პირი გელათის აკადემიის რექტორი იყო, რომელსაც მეფეც და პატრიარქიც მეტანიით ესალმებოდნენ!** სამეფო დარბაზობის დროს მოწყობილი მსვლელობისას, წინ გელათის აკადემიის მოძღვართმოძღვარი მიდიოდა და უკან — მეფე და პატრიარქი. მეფე პასუხს აგებდა ქვეყნის ხორციელ ცხოვრებაზე, პატრიარქი — სულიერ ცხოვრებაზე, ხოლო გელათის აკადემიის რექტორი — საქართველოს მომავლის როგორც სულიერ, ისე ხორციელ მდგომარეობაზე იყო პასუხისმგებელი. გელათის აკადემიაში მომავალი მღვდელმსახურების გარდა მომავალი ვაზირები, სამხედრონი, დიპლომატნი, ხელოვანნი და მეცნიერნი იზრდებოდნენ. რუის-ურბნისის კრების შემდეგ გადაწყდა, რომ საქართველოს კანცლერის, ანუ მწიგნობართუხუცესის თანამდებობას მუდმივად შეითავსებდა **სამეგრელოს მთავარეპისკოპოსი, ანუ ჭყონდიდელი,** რომელსაც სამეგრელოს ეპისკოპოსები და მიტროპოლიტები ემორჩილებოდნენ. თუმცა, საეკლესიო იერარქიაში **ჭყონდიდელზე** მაღლა იდგნენ **მაწყვერელი მთავარეპისკოპოსი და პატრიარქი.** ჭყონდიდელი ვერ გახდებოდა ვერავინ, თუ ის წარმატებით არ გაივლიდა გელათის აკადემიის სრულ კურსს და 15-20 წლის მანძილზე დიაკვნობის, მღვდლობისა და ეპისკოპოსობის პერიოდში, თავის ღირსეულობას არ დაამტკიცებდა. ამის შემდეგ მას **ჭყონდიდლად** ირჩევდა საეკლესიო კრება და სვეტიცხოვლის ტაძარში აკურთხებდა პატრიარქი. სწორედ ასეთი პიროვნება ხდებოდა ამიერიდან საქართველოს კანცლერი, ანუ მწიგნობართუხუცესი, რომელიც მეფის შეუძლოდ ყოფნის შემთხვევაში საქართველოს ჯარის უმაღლესი მთავარსარდალი ხდებოდა. ის იყო მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე, პირველი ვეზირი და, რაც მთავარია, ის იყო სააჯო კარის, ანუ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. **დავით აღმაშენებელმა** ამით შექმნა სისტემა, რომლის მიხედვით, გონებაშეზღუდული მეფის არსებობის შემთხვევაშიც კი, საქართველოს ვერავითარი საფრთხე ვერ დაემუქრებოდა! **საქართველოს საიდუმლო პოლიცია, ანუ მსტოვართა რაზმი,** მეფის გარდა, მხოლოდ **მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს** ემორჩილებოდა!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



*დავით აღმაშენებლის ფრესკა გელათის მონასტერში (ფრაგმენტი)*



**„სამეფო დარბაზობის დროს მოწყობილი მსვლელობისას, წინ გელათის აკადემიის მოძღვართმოძღვარი მიდიოდა და უკან – მეფე და პატრიარქი!“**

*გელათის მონასტერი*

„დავით აღმაშენებლის დროს საქართველოს სახელმწიფო იერარქიაში
**ნომერ პირველი თანამდებობის პირი გელათის აკადემიის რექტორი იყო,**
რომელსაც მეფეც და პატრიარქიც მეტანიით ესალმებოდნენ!“

## კვირგვინოსნები

**გიორგი მოზარონიძე**
*ანალიტიკოსი*



**ჩინეთის გავლენა კიდევ უფრო გაიზრდება, რაც მხოლოდ რუსეთის კი არა, მთელი მსოფლიოს პრობლემა გახდება...** თუ „ცივი ომის“ დროს **ორი პოლუსი იყო — მოსკოვი და ვაშინგტონი,** ამიერიდან იქნება **პეკინი** და ისევ **ვაშინგტონი.** როგორც არ უნდა დასრულდეს ახლა უკრაინის ომი, ჩვენ უკვე მაინც **ორპოლუსიანი მსოფლიო** გვექნება.

„კვირის პალიტრა“

**ლეშა ბერიძე**
*სამხედრო ექსპერტი*



**„ქართულ ოცნებას“ სულ ფეხებზე ჰკიდია ამერიკაში მათზე რას იტყვიან.** „ოცნებას“ თავისი კურსი აქვს აღებული და ამ კურსს ვერავინ შეაცვლევინებს. საჭიროა, დასავლეთის მხრიდან **მოქმედება გაძლიერდეს, შეშფოთება-აღშფოთება და ბრტყელი სიტყვები საკმარისი არ არის.**

„ახალი თაობა“

**გიორგი ბოტკოველი**
*„ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობის“ რეგიონული მდივანი*



გამოსავალი ვერ იქნება მხოლოდ **თვითმმართველობის არჩევნებთან ერთად საპარლამენტო არჩევნები,** დღეს არჩევნებში მონაწილეობა არის ღალატი თითოეული ქართველი ადამიანის.

„პირველი არხი“

ქართული „ნიურნბერგის პროცესის“ ფონზე!

# ნაცრეჟიმის სახელით!

**იმ ფონზე, როცა საქართველოს პარლამენტში თეა წულუკიანის ხელმძღვანელობით მოქმედი საგამოძიებო კომისია სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩადენილ დანაშაულებს, მათ შორის, 2008 წლის აგვისტოს ომის გარემოებებს იკვლევს, კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ:**
**პრეზიდენტმა სააკაშვილმა**
**2008 წლის 8 აგვისტოს** განაცხადა, რომ საქართველოს სამთავრობო შენაერთები აკონტროლებენ ყველა დასახლებულ პუნქტს და ყველა სოფელს ე. წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე... სინამდვილეში, **2008 წლის აგვისტოს** ორდღიან ომში **პრეზიდენტმა სააკაშვილმა** ხელი მოაწერა რუსეთთან კაპიტულაციას და საქართველოს მოსახლეობას დაატოვებინა ქვემოთ ჩამოთვლილი სოფლები, რომლებსაც შემდეგ **ქვების გროვა** უწოდა!

ძარწემი
**ალევი**
ქვემო ზიმი
**ზონკარი**
ქემერტი
**ჩიტიანი**
ზემო ომარიშარი
**ქვაბჩარი**
დადიანეთი
**ვაშლოვანი**
ქსუისი
**მარცხენა გეზნიში**
ერედა
**საკენი**

**დისევი**
ნახარი
**წირქოლი**
შაბათკვარა
**ბოლი**
მრამბა
**ომარიშარი**
ჭარები
**ხუტია**
აწრისხევი
**კლიჩი**
ჯვარისუბანი
**ბალაანი**
ელოიანი

**მანჯიკაანი**
მარტიანი
**მაჭარაანი**
მახიარეთი
**მუჯუხი**
პაპიანი
**უკანამხარე**
უკანუბანი
**ყველდაბა**
შიუკაანი
**ბაზუანი**
ახალდაბა
**ახალსოფელი**
ბეჟანთკარი

**გარუბანი**
ერედა
**მორბედაანი**
გდუ
**ბოსელთა**
გრუ
**კოდიჯვარი**
მამულაანი
**მონასტერი**
ციხისოფელი
**ჭანდარი**
გეზევრეთი
**გუდაწვერი**
ნახიდი

# აი, რას უწოდა პრეზიდენტმა სააკაშვილმა ქვების გროვა!

ქვემო აჟარა
**მამისაანთუბანი**
თამარაშენი
**ახმაჯი**
აძგარა
**ფრისი**
ქვემო ახაბეთი
**მოსაბრუნი**
იკოთი
**ბუჩუკური**
არგვიცი
**ზემო ახაბეთი**
კორინთა
**ბუძგური**

ბერულა
**ქურთა**
საძეგური
**გვანდრა**
ერედვი
**კეხვი**
ლარგვისი
**ზემო აჟარა**
ვანათი
**საცხენეთი**
სვერი
**ზემო ზიმი**
ბელოთი
**ხეითი**

დორეთკარი
**მარცხენა პტიში**
ოქონა
**არცევი**
ერგნეთი
**ავნევი**
ყანჩაეთი
**მარჯვენა გეზნიში**
ტვირბრაშერი
**დელკანი**
ნული
**ხეცკვარა**
ძეგლევი
**ჩხალთა**
პტიში

**თინიკაანი**
მიდელაანი
**ნავისხევი**
ოხირი
**პავლიანი**
კარელთკარი
**ქენქაანი**
ჩიგოიანი
**წიფთაური**
ჭორჭოხი
**ხოზუეთი**
დაბაკნეთი
**ზოდეხი**
თოხთა



მიხეილ სააკაშვილი გორში. 2008 წლის 10 აგვისტო

# ეს სააკაშვილის კისერზეა!

კვირგვინოსნები

**ლადო პაპავა**
*აკადემიკოსი*



**რუსეთს ეხმარება აშშ, ეხმარება ევროკავშირი.** მაშინ, როდესაც **სანქციების მე-17 პაკეტზეა საუბარი,** ეს ნიშნავს, რომ **ყველა წინა პაკეტი ხარვეზიანია.** ნუ დაგვავიწყდება, რომ **მე-12 პაკეტამდე დასავლეთი რუსეთისგან ალმასებს ყიდულობდა, ანუ ომს უფინანსებდა...** ამავე დროს ნუ დაგვავიწყდება ჩინეთი და, განსაკუთრებით, ინდოეთი, რომელიც საერთოდ ორმაგ თამაშს თამაშობს — **ყიდულობს რუსეთისგან ნედლ ნავთობს და ნავთობპროდუქტებს ყიდის ამერიკაზე.**

„კვირის პალიტრა“

**თინა ბოკუჩავა**
*ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე*



იმედი მაქვს, ოპოზიციის ნაწილი **ქოცური ნარატივის** კულტივირებას არ დაიწყებს, **თითქოს ევროპარლამენტი ოპოზიციას მუნიციპალურ არჩევნებში შესვლისკენ მოუწოდებს** და არავინ გახდება **ქოცური პროპაგანდის** ინსტრუმენტი.

„ახალი თაობა“

**დავით ქიქინაძე**
*ყოფილი პარლამენტარი, პარტია „ტრიბუნის“ თავმჯდომარე*



ქვეყანაში **ხელისუფლებაც და ოპოზიციაც სამარცხვინოა!** ოპოზიციის პროდასავლურობა **ორმაგ თამაშსა და ხელისუფლებასთან გარიგებას** ნიშნავს?! ერთადერთი, რასაც ვხედავთ, **ეს არის ღალატი!**

„ახალი თაობა“

**ლევან ჟორჟოლიანი**
*საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი*



**კარგი მთავრობის ინდექსით** საქართველოს მთავრობამ **ისტორიული მაქსიმუმი** დააფიქსირა და **100%-იდან 61%-იანი შეფასება მიიღო.**

„ნიუსჯაბი“






# წმინდა გაბრიელ ბერი მუდმივად შეგვახსენებს, რომ ჭეშმარიტება სულის უკვდავებაშია!



**კახა საბახტარიშვილი** — ექიმი ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ალექსანდრე ბაჩეჩილაძის** მიერ შექმნილი **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა **„გულის ელექსირი ფორტე“, „ტონზილინი“ და „იმუნო ჰერბი ფორტე“, „ტონზილინმა“** ასობით ბავშვი გლანდების ამოჭრას გადაარჩინა. **„იმუნო ჰერბი ფორტემ“** ათასობით ადამიანს გრიპი და კოვიდი თავიდან ააცილა. **„გულის ელექსირი ფორტე“** საიმედო დაცვაა ინფარქტისა და ინსულტისაგან.



**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ (პროფკავშირების სახლი). 593 31 70 34; ფეისბუქი: „კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ და „ლაზიკა-ფარმა“**

## კახა საბახტარიშვილი:

# რა უნდა ვიცოდეთ პანკრეასის

***ქართველი მეცნიერი, ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი იმ ფარულ ნიშნებზე საუბრობს, რომელიც პანკრეასის კიბოს წინ უსწრებს:***

— პანკრეასის ჯირკვალს ადამიანის ცხოვრებაში ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია აკისრია. მისი ერთი განყოფილება გამოიმუშავებს ინსულინს, რომელიც სისხლში შაქრის დონეს არეგულირებს, ხოლო მეორე ნაწილი — პანკრეასის ფერმენტებს, რომლებიც საჭმლის მონელებაში დიდ როლს ასრულებენ. კონკრეტულად, ეს ფერმენტები თორმეტგოჯა ნაწლავში ხვდებიან, სადაც ჩაედინება ნაღვლის წვენი და ახდენენ ცხიმების გადამუშავებას. თუ პანკრეასში რამე პრობლემაა, ორგანიზმის მიერ ცხიმების გადამუშავების პროცესი ირღვევა, რასაც მთელი რიგი გართულებები მოსდევს.

უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში მსოფლიოს საუკეთესო მეცნიერები, ლაბორატორიები და კლინიკები ინტენსიურად იკვლევენ კიბოს წარმოშობის, განვითარებისა და მკურნალობის პრობლემებს. ბოლო ხანებში შესაძლებელი გახდა კიბოს აღმოჩენა ნაადრევ სტადიაზე, რაც საშუალებას იძლევა, დროული ქირურგიული ჩარევით და რაციონალური მკურნალობით საშიში დაავადება დამარცხდეს. თუმცა, აქვე ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ კიბოს ნაადრევ ეტაპზე აღმოჩენა ძვირადღირებულ კვლევებთან არის დაკავშირებული, რაც მოსახლეობის ფართო ფენებისთვის ხელმიუწვდომელია, ხოლო კიბოს დაგვიანებული მკურნალობა უშედეგოა. ამ მხრივ ყველაზე ვერაგი და სახიფათო პანკრეასის კიბოა. იგი თავს მხოლოდ მაშინ გვახსენებს, როცა მეტასტაზირების პროცესია დაწყებული. არადა, მანამდე პანკრეასის კიბო შესაძლოა, მთელი ათი წლის განმავლობაშიც კი, ერთი შეხედვით, უსიმპტომოდ მიმდინარეობდეს. სწორედ ამიტომ უწოდებენ მას ჩუმ მკვლელს!

**— ნუთუ არ არსებობს სიმპტომები, რომელიც ადამიანს პანკრეასის კიბოზე დააფიქრებს?**

— **პირველი საგანგაშო ნიშანი, რომელმაც უნდა დაგვაფიქროს, წონის აუხსნელი და საგანგაშო კლება.** თუ ადამიანი ძველებურად იკვებება და ისეთივე ფიზიკურ დატვირთვას ღებულობს, როგორსაც ადრე, მაგრამ წონაში ყოველდღიურად იკლებს, ამან უნდა დაგვაფიქროს იმაზე, ხომ არ იწყება პანკრეასის კიბო? მოგეხსენებათ, პანკრეასი პასუხისმგებელია შაქრის რეგულირებასა და საჭმლის, ძირითადად, ცხიმების მონელებაზე. თუ ეს პროცესი ირღვევა, როგორი საკვებიც არ უნდა მივიღოთ, ორგანიზმი მას სათანადოდ ვერ ითვისებს. გარდა ამისა, ადამიანის სიცოცხლე წარმოუდგენელია A, B, E, K ვიტამინების გარეშე, რომლებსაც ორგანიზმიც გამოიმუშავებს და საკვების მეშვეობითაც ვღებულობთ. ყველა ეს ვიტამინი ცხიმში ხსნადია. თუ პანკრეასმა ცხიმი ვერ დაშალა, ცხადია, ვერც ამ ვიტამინებს აითვისებს, რაც სხვა არაფერია, თუ არა წონის დაკარგვა.



**— კიდევ რა არის პანკრეასის კიბოს ნაადრევი ნიშანი?**

— ეს გახლავთ აუხსნელი, მუდმივი ყრუ ტკივილი მუცლის არეში, რომელიც შესაძლოა, ვრცელდებოდეს მარცხენა მხრის მიმართულებით ან ჭიპიდან ხერხემლისკენ. ამის მიზეზი ის არის, რომ სიმსივნე აწვება სხვადასხვა ნერვულ დაბოლოებებს და ჭამის შემდეგ ადამიანი თავს ცუდად გრძნობს. **პანკრეასის სიმსივნის მესამე ადრეული ნიშანი თვალის სკლერის თანდათანობითი გაყვითლებაა. პარალელურად, იცვლება შარდის ფერი და ის მუქი ყვითელი ხდება.** სკლერისა და შარდის გაყვითლებას ნაღვლის პიგმენტი **ბილირუბინი** განაპირობებს, რომელიც პანკრეასის თავის სიმსივნის დროს სისხლში ხვდება. **ძალზე საგანგაშოა, თუ ადამიანს ხშირად ეშლება კუჭი, განავალი ზეთოვანია, მყრალი და უნიტაზს ეწებება. ეს ყველაფერი პანკრეასში არსებულ სერიოზულ პრობლემებზე მიანიშნებს.** პანკრეასის პრობლემების დროს განავალი ცხიმიანი იმიტომა, რადგან გადაუმუშავებელ ცხიმებს შეიცავს. **პანკრეასის სიმსივნეზე შესაძლოა, მიგვითითებდეს მოულოდნელად გაჩენილი და აუხსნელი ქავილი, უპირატესად, ხელისგულის ან ტერფის მიდამოში.** ასეთ დროს ადამიანები ფიქრობენ, რომ ქავილის მიზეზი კანის სიმშრალე ან ალერგიაა. სინამდვილეში შესაძლოა, საქმე გვქონდეს სწორედ პანკრეასის სიმსივნესთან.

**— ხშირია შემთხვევები, როცა ადამიანებს მცირე ულუფის მიღების შემდეგაც კი მუცლის შებერვა ეწყებათ და კუჭის გადავსების შეგრძნება აქვთ. არის თუ არა ეს საშიში სიმპტომი?**

— ბევრი ამას ყურადღებას არ აქცევს. არადა, მსგავსი სიმპტომები კუჭ-ნაწლავის სხვადასხვა დაავადებას ახასიათებს, თუმცა, პირველ რიგში, სწორედ პანკრეასის კიბო უნდა გამოვრიცხოთ! **პანკრეასის სიმსივნის ნაადრევ ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს მუდმივი დაღლილობის შეგრძნება. თუ ადამიანი ფიზიკურად არ დაიტვირთა, ღამე არ ათია, კარგად გამოიძინა, სტრესი არ განუცდია, მაგრამ მაინც დაღლილობას უჩივის და ეს კარგა ხნის განმავლობაში გრძელდება, არამარტო პანკრეასის კიბო, არამედ, საერთოდ, ორგანიზმში სიმსივნური პროცესი უნდა გამოირიცხოს.** მუდმივი დაღლილობის შეგრძნება ხშირად სიმსივნის თანმდევი პროცესია...

**„ძალზე საგანგაშოა, თუ ადამიანს ხშირად ეშლება კუჭი, განავალი ზეთოვანია, მყრალი და უნიტაზს ეწებება. ეს ყველაფერი პანკრეასში არსებულ სერიოზულ პრობლემებზე მიანიშნებს!“**

**— გამიგია, რომ პანკრეასის სიმსივნესა და შაქრიან დიაბეტს შორის კავშირი არსებობს!**

— ეს მართლაც ასეა. საერთოდ, პანკრეასის სიმსივნე 40-50 წლის შემდეგ იწყება. ბევრ ადამიანს, რომელსაც შაქარი არ აწუხებდა, 50 წლის შემდეგ უცბად აღმოაჩნდება მეორე ტიპის დიაბეტი. დადგენილია, რომ ასეთი ადამიანების 30 პროცენტს, დიაბეტის გამოვლენიდან სამი წლის შემდეგ შესაძლოა, პანკრეასის სიმსივნე დაუდგინდეს. ეს არც არის გასაკვირი, რადგან პანკრეასის სიმსივნე იმ უჯრედებსაც ანგრევს, რომლებიც ინსულინს გამოიმუშავებენ. შესაბამისად, თუ ინსულინი ცოტაა, სისხლში გლუკოზა მოიმატებს! ამიტომ, **ვისაც არც სტრესი განუცდია, არც ჭარბი წონა აქვს, მაგრამ ორმოცდაათი წლის შემდეგ მეორე ტიპის დიაბეტი მოულოდნელად განუვითარდა, პანკრეასის ჯირკვალი კარგად გამოიკვლიოს!**

**— ღვიძლის გაცხიმოვნების შესახებ ყველას გვსმენია, მაგრამ არსებობს თუ არა პანკრეასის გაცხიმოვნება და რამდენად სახიფათოა ის?**

— სტატისტიკით, პანკრეასის გაცხიმოვნება მოსახლეობის 33 პროცენტს აქვს და მას **სპეატოზი** ან **ლიპომატოზი** ეწოდება. თუ ღვიძლის გაცხიმოვნების დროს ცხიმი ღვიძლის უჯრედებში გროვდება, პანკრეასის გაცხიმოვნებისას ის უჯრედებს შორის თავსდება. შესაძლა, მოხდეს ყველაზე ცუდიც — პანკრეასის უჯრედები მოკვდეს და მათი ადგილი ცხიმმა დაიკავოს! ამის

## „პანკრეასის კიბო შესაძლოა, მთელი ათი წლის განმავლობაშიც კი უსიმპტომოდ მიმდინარეობდეს!“

### კვირგვინოსნები

**ეთერ თათარაძე**
*პოეტი, პუბლიცისტი*



იცით, **გულქანი** როგორ დაიმარხა? **ვაჟა-ფშაველას უკანასკნელი ქალიშვილის დაკრძალვაზე მხოლოდ 47 ადამიანი ვიყავით.** იმ დროს მწერალთა კავშირში **800 კაცი** იყო, როგორც ჩანს, **იქ მოსასვლელად არ ეცალათ.**

„კვირის პალიტრა“

**ეკა კვალიაშვილი**
*მომღერალი*



**25 წლის შემდეგ გავაკეთე პირველად ჩემი სოლო კონცერტი.** აბა, მანამდე სულ ხელს მიშლიდნენ, **სულ შავ სიაში შესული მომღერალი ვიყავი.** არასოდეს მპატიობდნენ არც ნიჭს და არც სამშობლოს სიყვარულს. საბედნიეროდ, **გავარღვიე ამდენი სიბოროტისგან შექმნილი ჯებირები.**

„სარკე“

**თამუნა ამონაშვილი**
*მომღერალი*



**მეგონა, სუსტი ვიყავი,** მაგრამ ჩემს ცხოვრებას რომ გადავხედე, **ძალიან ძლიერი ვყოფილვარ.** ვცდილობ, ლამაზად გამოვიყურებოდე და **ახალგაზრდულად დავბერდე.**

„თბილისელები“

**მარინა სალუქვაძე**
*ჟურნალისტი*



ჩემს მეუღლეს **ყოველთვის ვეპრანჭები** და ისიც **კომპლიმენტებით მავსებს.**

„სარკე“

ძირითადი მიზეზი ყოველდღე სპირტიანი სასმელების მიღებაა. სხვათაშორის, ამისთვის ბევრის დალევა სულაც არ არის საჭირო. საკმარისია, ადამიანმა ყოველდღიურად დაახლოებით 30 გრამი ეთანოლის სპირტი მიიღოს, რომ დროთა განმავლობაში მას პანკრეასის ჯირკვლის ერთ დიდი ცხიმის გროვად გადაქცევა გარანტირებული აქვს! **30 გრამი ეთანოლი ეს არის 300 გრამი ღვინო, 750 გრამი ლუდი და 90 გრამი არაყი, ვისკი, ან კონიაკი.** შესაძლოა, ადამიანი საერთოდ არ სვამდეს, მაგრამ პანკრეასის გაცხიმოვნება მაინც დაემართოს. ამის მიზეზი შესაძლოა, იყოს: დიაბეტი, ჭარბი წონა, მაღალი ქოლესტერინი ან მაღალი არტერიული წნევა. ძალზე სახიფათოა დიაბეტისა და პანკრეასის გაცხიმოვნების თანხვედრა. ასეთ **მედებას და არ სცადოთ ქართული ზამბახისგან ნაყენის დამზადება, რადგან მცენარე ძალიან ტოქსიკურია და შესაძლოა, მისი ნაყენის მიღებით ფატალური შედეგი დადგეს.** დიახ,

### ექიმის მეთვალყურეობის გარეშე ქართულ ზამბახს სამკურნალო მიზნით არ გაეკაროთ!

როცა ადამიანი ასაკში შედის, კუჭის, ნაღვლისა და პანკრეასის წვენის გამოყოფა მცირდება. იმ შემთხვევაში, თუ ასაკოვანი ადამიანი დიდი რაოდენობით ხორცს მიირთმევს, მთელი პანკრეასის წვენი და მისი ძირითადი მდგენელები — **ტრიპსინი და ქიმოტრიპსინი** იხარჯება ხორცის გადასამუშავებლად ისე, რომ სიმსივნური უჯრედების გასანადგურებლად ისინი აღარ რჩება. აი, სწორედ ამ დროს მოდის კიბო... ამიტომ

### ასაკში შესული ხალხი ხორცს უნდა მოერიდოს და აქცენტი ბოსტნეულზე გააკეთდეს!

მე არ ვაცხადებ პრეტენზიას კიბოს განკურნებაზე, მაგრამ შემიძლია პანკრეასის მწყობრში ჩაყენება. ცნობისათვის, **პანკრეასის წვენი კიბოს დაუძინებელი მტერია!**

**— თუ პანკრეასის წვენსა და მისგან გამომუშავებულ ფერმენტებს სიმსივნური უჯრე-**

**„ყველას ვურჩევ, პრევენციის მიზნით პერიოდულად აუცილებლად მიიღონ პანკრეასის ფერმენტების შემცველი პრეპარატები — „ფესტალი“, „პანკრეატინი“ და „მეზიმფორტე“, რათა ჯანმრთელი პანკრეასის ცხოველმოქმედებამ და მისმა ფერმენტებმა ადამიანის ორგანიზმში სიმსივნურ უჯრედებს გასაქანი არ მისცენ!“**




# კიბოს ფარული ნიშნების შესახებ

**„ვისაც პანკრეასის ჯირკვლის ქრონიკული ანთება, ანუ პანკრეატიტი აწუხებს, კარგად უნდა იცოდეს, რომ ოფიციალური მედიცინა ამ დაავადებას ვერ კურნავს! ერთადერთი გზა არის ჰომეოპათია, კერძოდ, ქართული ზამბახი („ირის იბერიკა“)!“**



IRIS IBERICA, ანუ ქართული ზამბახი

დროს პანკრეასის კიბოს განვითარების რისკი თვრამეტჯერ მატულობს! ამ კომბინაციის დროს ასევე მატულობს ინფარქტისა და ინსულტის განვითარების რისკიც. ისე კი, მეცნიერულად დადასტურებული ფაქტია —

### თუ პანკრეასის ჯირკვალი საღია, ადამიანს კიბო არ დაემართება!

**— რა მეცნიერული საფუძველი აქვს თქვენს განცხადებას?**

— პანკრეასის ჯირკვალი გამოიმუშავებს ორ ფერმენტს — **ტრიპსინსა და ქიმოტრიპსინს,** რომლებიც უძლიერესი ტუტე ნაერთებია. თუ პანკრეასის ჯირკვლის მიერ გამომუშავებული ტრიპსინისა და ქიმოტრიპსინის კონცენტრაცია ორგანიზმში ნორმალურია, ისინი ანგრევენ კიბოს უჯრედების ჯავშანს და იმუნურ სისტემას სიმსივნის გასანადგურებლად უხსნიან გზას. აქედან გამომდინარე, **ყველაფერი უნდა გავაკეთოთ პანკრეასის ჯირკვლის მწყობრში მოსაყვანად!**

**— ვისაც პანკრეასის ჯირკვალი მწყობრში არა აქვს, როგორ უნდა მოიქცეს?**

— ვისაც პანკრეასის ჯირკვლის ქრონიკული ანთება, ანუ პანკრეატიტი აწუხებს, კარგად უნდა იცოდეს, რომ ოფიციალური მედიცინა ამ დაავადებას ვერ კურნავს! ერთადერთი გზა არის ჰომეოპათია, კერძოდ, ქართული ზამბახი („ირის იბერიკა“). ჩვენს კლინიკაში ჰომეოპათიური წესით მომზადებული ქართული ზამბახი, ანუ „ირის ვერზიკოლორ“ სხვა პრეპარატებთან ერთად კომბინაციაში წარმატებით გამოიყენება პანკრეასის გაცხიმოვნების, აგრეთვე მწვავე და ქრონიკული პანკრეატიტის სამკურნალოდ. **მოსახლეობას საგანგებოდ ვაფრთხილებ: არავითარ შემთხვევაში არ მიჰყოთ ხელი თვითმკურნალობას** **...დების განადგურებაში ასეთი დიდი როლი ენიჭებათ, შეიძლება თუ არა, კიბოთი დაავადებულ პაციენტს პანკრეასის წვენით, ანუ პანკრეასის მიერ გამომუშავებული ანტისიმსივნური ფერმენტებით ვუმკურნალოთ?**

— 1902 წელს დოქტორმა **ჯონ ბერდმა** ექსპერიმენტი ჩაატარა და პანკრეასის წვენი სიმსივნურ პაციენტებს მისცა. მოგვიანებით მან გამოაქვეყნა ნაშრომი **„კიბოს ფერმენტული მკურნალობა და მისი მეცნიერული საფუძვლები“,** სადაც ამტკიცებს, რომ **კიბო სხვა არაფერია, თუ არა ორგანიზმში პანკრეასული ფერმენტების შემცირება.** დოქტორმა **ედვარდ ჰოუველმა** კი ასეთი მოსაზრება გამოთქვა — **ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგად შევინახავთ ფერმენტულ პოტენციალს!**

**— სიმსივნურ უჯრედებთან მებრძოლ ფერმენტებს მხოლოდ პანკრეასი გამოიმუშავებს?**

— ამ ფერმენტებს მცენარეებიც გამოიმუშავებენ. ისინი უხვადაა კივში, ყურძენში, ანანასში, თაფლში, ფუტკრის მტვერსა და ზეითუნის ზეთში, ამიტომ ამ პროდუქტების მიღება აუცილებელია! სანამ **კოლუმბი** ამერიკას აღმოაჩენდა, ინდიელი ექიმები კანის სიმსივნეს წარმატებით კურნავდნენ პაპაიას ნაყოფითა და ფოთლით, რომელსაც სიმსივნეზე ადებდნენ. პაპაიაც ძალიან მდიდარია იმ ფერმენტებით, რომლის შესახებაც ზემოთ ვისაუბრეთ.

**იმისათვის, რომ ორგანიზმში ფერმენტული ბალანსი შევინარჩუნოთ და კიბომ თავი არ წამოყოს, ასაკის მატებასთან ერთად სულ უფრო და უფრო ხშირად უნდა მივიღოთ ნედლი და ცოცხალი პროდუქტები!**

**— ქრონიკული პანკრეატიტი იკურნება?**

— ოფიციალური მედიცინა ქრონიკულ პანკრეატიტს ვერ კურნავს, სამაგიეროდ, როგორც გითხარით, ძალიან ეფექტურია ჰომეოპათია და ქართულ ზამბახზე დამზადებული „ირის ვერზიკოლორი“, რომელიც სხვა პრეპარატებთან ერთად კომბინაციაში ქრონიკულ პანკრეატიტს ამარცხებს. 1999 წელს ამერიკაში ექსპერიმენტი ჩაატარეს და ათ პაციენტს, რომლებიც პანკრეასის თავის სიმსივნის გამო უიმედო მდგომარეობაში იყვნენ, დიდი დოზით პანკრეასის მიერ გამომუშავებული ფერმენტები დაალევინეს. შედეგი გასაოცარი გახლდათ და ავადმყოფების სიცოცხლის ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. მეორე ექსპერიმენტი კიდევ უფრო საინტერესო აღმოჩნდა — სიმსივნეში შეიყვანეს **ტრიპსინი,** რის შედეგადაც სიმსივნური ქსოვილი დარბილდა, ხოლო სიმსივნე დაიშალა! **მე, მაგალითად, ყველას ვურჩევ, პრევენციის მიზნით პერიოდულად აუცილებლად მიიღონ პანკრეასის ფერმენტების შემცველი პრეპარატები — „ფესტალი“, „პანკრეატინი“ და „მეზიმფორტე“,** რათა ჯანმრთელი პანკრეასის ცხოველმოქმედებამ და მისმა ფერმენტებმა ადამიანის ორგანიზმში სიმსივნურ უჯრედებს გასაქანი არ მისცენ!

**— და მაინც, როგორ მივხვდეთ, რომ პანკრეასი გვაწუხებს?**

— ადამიანის ჭიპის ზემოთ, 6 სანტიმეტრში არის წერტილი, რომელიც პანკრეასის თავს შეესატყვისება. თუ ამ წერტილზე ხელს დავიჭერთ და ტკივილს ვიგრძნობთ, დიდი ალბათობით, ქრონიკული პანკრეატიტი გვაქვს. ამ დაავადებას ახასიათებს ხშირი ფაღარათიანობა, მუცლის შებერვა და ყურყური, ხოლო დროთა განმავლობაში — წონის დაკლება. რაც ყველაზე საყურადღებოა, **ქრონიკული პანკრეატიტი პანკრეასის თავის სიმსივნეში, ფაქტობრივად, შეუმჩნევლად გადადის!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

**„1902 წელს დოქტორმა ჯონ ბერდმა ექსპერიმენტი ჩაატარა და პანკრეასის წვენი სიმსივნურ პაციენტებს მისცა. მოგვიანებით მან გამოაქვეყნა ნაშრომი „კიბოს ფერმენტული მკურნალობა და მისი მეცნიერული საფუძვლები“, სადაც ამტკიცებს, რომ კიბო სხვა არაფერია, თუ არა ორგანიზმში პანკრეასული ფერმენტების შემცირება!“**



## კვირგვინოსნები

**ვახტანგ კახიძე**
*კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი, კომპოზიტორი, ჯანსუღ კახიძის შვილი*



**ყველაზე მნიშვნელოვანი** ამ ცხოვრებიდან წასვლის შემდეგ **ხალხის სიყვარულია.**

„კვირის პალიტრა“

**მარიამ გულბანი**
*მომღერალი*



**ერთი დიდი პრობლემა მაქვს,** სათანადოდ არ ვაფასებ და **არ ვიყენებ ჩემს ნიჭს.**

„თბილისელები“

**ნინო თოლორდავა**
*ტელეწამყვანი*



უცნობმა ქალმა მითხრა: **ახალ ამბებს წლებია, თქვენი ხათრით ვუყურებ,** სულ ერთია, რას ამბობთ, **მე მაინც მჯერა თქვენიო.**

„თბილისელები“

**ნუგზარ ყურაშვილი**
*მსახიობი*



ეგოისტი არ უნდა იყო, არ უნდა თქვა — **ჩემთვის საქმეა უპირველესი და ოჯახი მეორე პლანზეაო.** ჩემთვის მთავარი ოჯახი, ცოლი, შვილი და შვილიშვილია, მერე სხვა დანარჩენი.

„თბილისელები“

**ირინა გორონჯაძე**
*ქალთა უფლებების დამცველი*



**ისეთ მამაკაცს** ვერ შევეგუებოდი, რომელიც **შეჯიბრს მომიწყობდა** ან შეეცდებოდა, თავის **ჭკუაზე ვეტარებინე.**

„სარკე“

# ტყუპების ზოდიაქოს ნიშანი –

*ტყუპების ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანები საქმეში იღბლიანები არიან, თუმცა, მიზნის უცაბედი მიღწევა მათი ბედი არ არის. სანამ ბედნიერების გზას დაადგებიან, მოუწევთ მყარი გეგმის შემუშავება, რისკების შეფასება და მხოლოდ ამის შემდეგ ნაბიჯების გადადგმა. ხელსაყრელი გარემოებების ერთმანეთთან შეჯერებისა და ინტელექტის მარაგის წყალობით, ისინი შეძლებენ სირთულეების მარტივად დაძლევას და საქმის ბოლომდე მიყვანას.*

## ზოდიაქოს ნიშნები

**ვერძი:** 21 მარტი — 20 აპრილი; **კურო:** 21 აპრილი — 20 მაისი; **ტყუპები:** 21 მაისი — 22 ივნისი; **კირჩხიბი:** 23 ივნისი — 22 ივლისი; **ლომი:** 23 ივლისი — 23 აგვისტო; **ქალწული:** 24 აგვისტო — 23 სექტემბერი; **სასწორი:** 24 სექტემბერი — 22 ოქტომბერი; **ღრიანკალი:** 23 ოქტომბერი — 22 ნოემბერი; **მშვილდოსანი:** 23 ნოემბერი — 21 დეკემბერი; **თხის რქა:** 22 დეკემბერი — 19 იანვარი; **მერწყული:** 20 იანვარი — 18 თებერვალი; **თევზები:** 19 თებერვალი — 20 მარტი.



# მიმდინარე კვირა: 9 – 15 ივნისი

## ტყუპების ნიშნით დაიბადნენ ცნობილი ქართველები:



**1940 წლის 9 ივნისს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა მეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დირექტორი, თბილისის საპატიო მოქალაქე **რისმაგ გორდეზიანი.**



**1982 წლის 9 ივნისს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა საქართველოს პრემიერ-მინისტრი 2018-2019 წლებში, საქართველოს ფინანსთა ყოფილი მინისტრი, საქართველოს რკინიგზის ყოფილი გენერალური დირექტორი **მამუკა ბახტაძე.**



**1959 წლის 9 ივნისს, ღორის წელიწადში,** დაიბადა არქიტექტორი და პოლიტიკოსი **ხათუნა ოჩიაური.**



**1953 წლის 10 ივნისს, გველის წელიწადში,** დაიბადა მხატვარი და გრაფიკოსი **გია ეძგვერაძე.** მუშაობდა საფრანგეთსა და ესპანეთში, არის დიუსელდორფის სამხატვრო აკადემიის პროფესორი.



**1960 წლის 11 ივნისს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა არქეოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი 2009-2017 წლებში **ჯონი აფაქიძე.**



**1985 წლის 10 ივნისს, ხარის წელიწადში,** დაიბადა პოლიტიკოსი, იურისტი, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი **ანრი ოხანაშვილი.**



**1951 წლის 11 ივნისს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა რეჟისორი, მსახიობი, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირისა და საქართველოს ხელოვნების საერთაშორისო ფედერაციის წევრი, რეჟისორ **რეზო ჩხეიძის** შვილი, „ბეთხოვენა“ ფილმიდან „ღიმილის ბიჭები“ **ბიძინა ჩხეიძე.**



**1981 წლის 14 ივნისს, მამლის წელიწადში,** დაიბადა თეატრისა და კინოს მსახიობი, **თამარი** ცნობილი ტელესერიალიდან „შუა ქალაქში“ — **თათული ედიშერაშვილი.**

## ტყუპების ნიშნით იყვნენ დაბადებულნი:



**1938 წლის 9 ივნისს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა მხატვარი და პოლიტიკოსი, საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი სამხედრო საბჭოს წევრი, ეროვნული გვარდიის სარდალი, საქართველოს თავდაცვის მინისტრი 1992-1993 წლებში **თენგიზ კიტოვანი.** გარდაიცვალა 85 წლის ასაკში, კურდღლის წელიწადში.



**1929 წლის 10 ივნისს, გველის წელიწადში,** დაიბადა მოქანდაკე, გრაფიკოსი და ფერმწერი, სსრ კავშირის სახალხო და საქართველოს დამსახურებული მხატვარი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **მერაბ ბერძენიშვილი.** გარდაიცვალა 87 წლის, მაიმუნის წელიწადში.

**1930 წლის 11 ივნისს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა პოეტი **მორის ფოცხიშვილი.** 1979-1982 წლებში ის იყო ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი, თარგმნილი აქვს ბორის პასტერნაკის, სერგეი ესენინის, ნიკოლოზ ტიხონოვის, ანდრეი ვოზნესენსკის, ევგენი ევტუშენკოსა და სხვათა ლექსები. გარდაიცვალა 63 წლის ასაკში, მამლის წელიწადში.





**1890 წლის 12 ივნისს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა პოეტი, ქართული საბავშვო ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელი **მარიჯანი — მარიამ ტყემალაძე-ალექსიძე.** გარდაიცვალა 87 წლის ასაკში, ცხენის წელიწადში.



**1927 წლის 12 ივნისს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა საოპერო მომღერალი (ბანი), მსახიობი და პედაგოგი, საქართველოს სახალხო არტისტი **თენგიზ მუშკუდიანი.** ფართო მაყურებელმა ის გაიცნო ნიკოლოზ სანიშვილის ფილმიდან „აბეზარა“. გარდაიცვალა 96 წლის ასაკში, კურდღლის წელიწადში.



**1928 წლის 13 ივნისს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა პოეტი **შოთა ჩანტლაძე**. ბრმანაწლავის დაგვიანებული ოპერაციის გართულების გამო, გარდაიცვალა 40 წლის ასაკში, მაიმუნის წელიწადში.



**1904 წლის 14 ივნისს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა კინომსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი, საბჭოთა კინოს ვარსკვლავი **ნატო ვაჩნაძე.** ავიაკატასტროფაში დაიღუპა 49 წლის ასაკში, გველის წელიწადში.



**1712 წლის 14 ივნისს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა საქართველოში მოღვაწე სომეხი პოეტი, აშუღი და მომღერალი **საიათნოვა — არუთიუნ საიათიანი.** გარდაიცვალა 83 წლის ასაკში, კურდღლის წელიწადში.



**1929 წლის 14 ივნისს, გველის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი **ირაკლი უჩანეიშვილი.** გარდაიცვალა 63 წლის ასაკში, მაიმუნის წელიწადში.



**1900 წლის 15 ივნისს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, 1937 წელს დახვრეტილი მსახიობის **ივანე აბაშიძის** მეუღლე და **მსახიობ დოდო აბაშიძის** დედა **ნინო ანდრონიკაშვილი.** გარდაიცვალა 83 წლის ასაკში, ღორის წელიწადში.



**1933 წლის 15 ივნისს, მამლის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი, თბილისის ცირკის ყოფილი დირექტორი **ბორის წიფურია.** გარდაიცვალა 72 წლის ასაკში, მამლის წელიწადში.

## ტყუპების ნიშნით დაიბადნენ:

**1963 წლის 9 ივნისს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მსახიობი, პროდიუსერი და მუსიკოსი, ოქროს გლობუსისა და კინომსახიობთა გილდიის ჯილდოების მფლობელი **ჯონი დეპი.** 2012 წელს ის შეიყვანეს გინესის რეკორდების წიგნში, როგორც მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებადი მსახიობი.





**1951 წლის 9 ივნისს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი კომპოზიტორი **ნიუტონ ჰოვარდი,** რომელსაც შექმნილი აქვს მუსიკა ასზე მეტი ფილმისთვის — მათ შორისაა გერი მარშალის „ლამაზმანი“ — „Pretty Woman“.

## ასტროლოგიური კვირა მიხეილ ცაგარელის მიხედვით

### 9 ივნისი , ორშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპების ზოდიაქოში. ამოდის 04.26 საათზე, ჩადის 19.34 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს მშვილდოსნის ზოდიაქოში 19.05 საათზე. ამოდის 18.13 საათზე, ჩადის 02.39 საათზე (მთვარის მე-14 დღე იწყება 21.10 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 16.07 საათიდან 18.57 საათამდე. **ტენდენციები: დღეიდან 26 ივნისამდე გონების, ინტელექტის, კომუნიკაციის მმართველი პლანეტა მერკური გადაინაცვლებს კირჩხიბის ზოდიაქოში** და ამ ზეგავლენის შედეგად მეტად განავითარებს ადამიანებში ინტუიციას, ტრადიციულობას, ოჯახის ფასეულობების გაღვივებას, საიდუმლოს დაცვას, მგრძნობიარობას, რომანტიკულობას, ფოტოგრაფიულ მეხსიერებას, დახვეწილ იუმორს, ორგანიზებულობას, ამავდროულად განავითარებს ტყუილს, კომპლექსებს, ცუდ აზრებს. დღეს მეტად გაუფრთხილდით ფულს და ძვირფასეულობას. დროს და ენერგიას ფუჭად ნუ დახარჯავთ წვრილმანებზე, პარტნიორულ ურთიერთობებში — დაცინვას, სარკაზმს, ეჭვიანობას. თავი შეიკავეთ ინტიმური კონტაქტებისაგან. შედეგიანია კბილების, ყელ-ყურ-ცხვირის, ბრონქების, ენდოკრინული სისტემის მკურნალობა. მოერიდეთ ხორცეულს, რენტგენს, სხივურ თერაპიას, გინეკოლოგთან ვიზიტს, ახალ საქმეს, მგზავრობას, ადგილსამყოფლის შეცვლას, სესხის აღებას, სოციუზრუნველყოფისა და დაზღვევის ორგანიზაციებთან ურთიერთობას, აბორტის გაკეთებას. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** ოპალი, ფირუზი, თოფაზი, ობსიდიანი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, მერწყულისთვის.

### 10 ივნისი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპების ზოდიაქოში. ამოდის 04.26 საათზე, ჩადის 19.35 საათზე. **მთვარე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 19.16 საათზე, ჩადის 03.11 საათზე (მთვარის მე-15 დღე იწყება 22.29 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები: დღეიდან ერთი წლით გამარჯვების მმართველი პლანეტა იუპიტერი გადაინაცვლებს კირჩხიბის ზოდიაქოში** და ამ ზეგავლენის შედეგად წარმატებისთვის ითხოვს ოჯახის და სანათესაოს სტაბილურობას, ეროვნული ფასეულობების და ტრადიციების დაცვას, სამშობლოს სამსახურში ჩადგომას, ხელს შეუწყობს ნაციონალური იდეების განვითარებას, პოეზიის, ხელოვნების, ლიტერატურის, ისტორიის, ეთნოგრაფიის, გეოლოგიის პედაგოგიკის, საბანკო-საფინანსო, ეზოთერიკის, ფსიქოლოგიის სფეროების განვითარებას. დღეს მოერიდეთ მოგზაურობას, მშენებლობას, სისხლის გადასხმას, ყურების გახვრეტას, გაჩნდება პასუხისმგებლობისაგან დაღწევის სურვილი, მაღალია შეცდომების, მოტყუების, პროვოკაციების ალბათობა. კარგი დღეა კულინარიისთვის. პარტნიორულ ურთიერთობებში მოიმატებს თავისუფლებისადმი მიდრეკილება. კარგია სუნთქვითი ვარჯიშები, მასაჟი, წყლის პროცედურები, საკვებ რაციონში შეიტანეთ ავოკადო, ვაშლი, ბროკოლი, ფაფა, რძის ნაწარმი, თევზი. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ფირუზი, იაგუნდი, ქარვა, აქვამარინი, საფირონი. **პოზიტიური დღეა** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, მერწყულისთვის.

### 11 ივნისი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპების ზოდიაქოში. ამოდის 04.26 საათზე, ჩადის 19.36 საათზე. **მთვარე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 20.15 საათზე, ჩადის 03.52 საათზე (მთვარის მე-16 დღე იწყება 23.36 საათზე. სავსემთვარეობაა. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 23.59 საათიდან 01.00 საათამდე. **ტენდენციები: სავსემთვარეობის დროს მზის და მთვარის ენერგიათა დაპირისპირება ტყუპები-მშვილდოსნის ზოდიაქურ ღერძზე** მეტად განაპირობებს ტრავმების, ავარიების, კონფლიქტების, დეპრესიის, აგრესიის, ცდუნებების, შეცდომების, ჯანმრთელობის გაუარესების და სხვა ნეგატიურ გამოვლინებებს, იყავით ყურადღებით. ახალ და მნიშვნელოვან საქმეებს ნუ განახორციელებთ. ახალ ურთიერთობებს აარიდეთ თავი. ილოცეთ და დალოცეთ ყველა. არ ვარგა ყიდვა-გაყიდვა, ფულის სესხება-გასესხება. რთული დღეა მშენებლობისთვის. მოერიდეთ სისხლის გადასხმას, ყურების გახვრეტას. პარტნიორებთან კონსტრუქციული თანამშრომლობით შეძლებთ ნებისმიერი პრობლემების გადაწყვეტას. პოზიტიური დღეა სულიერი და ინტელექტუალური განვითარებისთვის, სწავლისთვის, სპორტული ღონისძიებებისთვის, ექსკურსიებისა და უცხოელებთან კონტაქტებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, საიუბილეო საღამოებისა და დაჯილდოებისთვის. მეტი ყურადღება გმართებთ საჭესთან, ნუ იჩქარებთ. მოიმატებს ინტუიცია და თავგადასავლებისადმი მიდრეკილება. ყურადღება მიაქციეთ ბავშვებს ქუჩაში. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ფირუზი, გიშერი, ამეთვისტო, საფირონი, ლაზურიტი. **პოზიტიური დღეა** ტყუპებისთვის, ლომისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

### 12 ივნისი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპების ზოდიაქოში. ამოდის 04.26 საათზე, ჩადის 19.36 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს თხის რქის ზოდიაქოში 05.57 საათზე. ამოდის 21.08 საათზე, ჩადის 04.42 საათზე (მთვარის მე-17 დღე იწყება 23.23 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.00 საათიდან 05.56 საათამდე. **ტენდენციები:** ადვილად ნუ ენდობით სხვათა დაპირებებს, ყველაფერი გადაამოწმეთ. აქტიურად იმოქმედეთ, ამავდროულად, ეცადეთ, შეინარჩუნოთ სულიერი სიმშვიდე. კარგი დღეა საყოფაცხოვრებო საკითხების გადასაწყვეტად, ახლობლებთან ურთიერთობისთვის. მეტი დრო დაუთმეთ დღეს და ხვალ კანის, თმის, ფრჩხილების მოვლას. მატულობს კრეატიულობა, ინტუიცია, სექსუალურობა. პატნიორულ ურთიერთობებში ნუ იქნებით ეჭვიანი, მეტად გამოიყენეთ იუმორი, ეფექტურია კუჭ-ნაწლავის, მკერდის მკურნალობა. მოერიდეთ მკვეთრ მოძრაობებს, სიმძიმეების აწევას, თხილის, თაფლის და სხვა ალერგიის გამომწვევი პროდუქტების გამოყენებას, ტატუს, მანუალურ მასაჟს, ფინანსურ ოპერაციებს, ხელმძღვანელებთან ურთიერთობას, ვაჭრობას, გაცვლით ოპერაციებს, სტომატოლოგიურ პროცედურებს, ქორწინებას, ახალ კავშირებს, პიგმენტური ლაქების მოშორებას. სასიკეთო დღეა მავნე ჩვევებისაგან გათავისუფლებისთვის, სარესტავრაციო სამუშაოებისთვის, მშენებლობისა და აგრობიზნესისთვის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, ნადირობასა და თევზაობისთვის, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, ექიმებთან კონსულტაციისთვის, ექსპერტიზისთვის, ეპილაციისთვის, ხეხილის მყნობისთვის, ხეხილისა და ბაღჩეულის განაყოფიერებისთვის, თიბვისთვის, კალმების დაფესვიანებისთვის, მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლები, ხერხემალი, სახსრები, მუხლები, კბილები, კანი. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, მალაქიტი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის.

# 21 მაისი – 22 ივნისი





**1981 წლის 9 ივნისს, მამლის წელიწადში,** დაიბადა ებრაული წარმოშობის ამერიკელი მსახიობი, „ოსკარისა“ და „ოქროს გლობუსის“ მფლობელი, 2008 წლის კანის კინოფესტივალის ჟიურის ყველაზე ახალგაზრდა წევრი **ნატალი პორტმანი.**



**1931 წლის 10 ივნისს, თხის წელიწადში,** დაიბადა ბრაზილიელი მომღერალი, გიტარისტი, გასული საუკუნის 50-იან წლებში შექმნილი ბრაზილიური მუსიკის — „ბოსსა-ნოვას“ ერთ-ერთი დამფუძნებელი **ჟუან ოლივეირა.**



**1959 წლის 10 ივნისს, ღორის წელიწადში,** დაიბადა იტალიელი ფეხბურთელი და ფეხბურთის მწვრთნელი **კარლო ანჩელოტი,** რომელიც აღიარებულია ყველა დროის ერთ-ერთ უდიდეს მწვრთნელად.



**1965 წლის 10 ივნისს, გველის წელიწადში,** დაიბადა ინგლისელი მოდელი და მსახიობი **ელიზაბეთ ჰერლი.**



**1992 წლის 10 ივნისს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მოდელი და მსახიობი **ქეიტ აპტონი.**



**1981 წლის 12 ივნისს,** მამლის წელიწადში, დაიბადა ბრაზილიელი სუპერმოდელი და მსახიობი, 1999-2018 წლებში „Victoria's Secret“-ის ერთ-ერთი ანგელოზი **ადრიანა ლიმა.** „Forbes“-ის რეიტინგის მიხედვით, 2014 წლიდან ის იყო მსოფლიოს მეორე ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოდელი.





**1986 წლის 13 ივნისს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადნენ ამერიკელი მსახიობები, ტყუპი დები **ეშლი და მერი-ქეიტ ოლსენები.** სამსახიობო კარიერა დაიწყეს ერთი წლის ასაკიდან, როცა ისინი ერთად გადაიღეს ამერიკულ სატელევიზიო სერიალში, „Full House“.



**1983 წლის 14 ივნისს, ღორის წელიწადში,** დაიბადა ფრანგი მსახიობი და კინორეჟისორი **ლუი გარელი.** პოპულარული გახდა ბერნარდო ბერტოლუჩის ფილმში „მეოცნებენი“ გადაღების შემდეგ.



**1969 წლის 14 ივნისს, მამლის წელიწადში,** დაიბადა გერმანელი ყოფილი პროფესიონალი ჩოგბურთელი, მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **შტეფანი (შტეფი) გრაფი.** ისტორიაში აღიარებულია ერთ-ერთ საუკეთესო ქალ ჩოგბურთელად.



**1946 წლის 14 ივნისს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი ბიზნესმენი და პოლიტიკოსი, ამერიკის შეერთებული შტატების 45-ე და 47-ე პრეზიდენტი 2025 წლის 20 იანვრიდან **დონალდ ჯ. ტრამპი.**



**1953 წლის 15 ივნისს, გველის წელიწადში,** დაიბადა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი, ჩინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, ჩინეთის ცენტრალური სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე **სი ძინპინი.**



**1954 წლის 15 ივნისს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა ალბანური წარმოშობის ამერიკელი მსახიობი, მსახიობ **რობერტ ბელუშის მამა ჯეიმზ ბელუში.**

## ასტროლოგიური კვირა მიხეილ ცაგარელის მიხედვით

### 13 ივნისი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ტყუპების ზოდიაქოში. ამოდის 04.26 საათზე, ჩადის 19.37 საათზე. **მთვარე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 21.52 საათზე, ჩადის 05.41 საათზე (მთვარის მე-18 დღე იწყება 23.52 საათზე. მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** კარგი დღეა დალაგება-დასუფთავებისთვის, უსარგებლო საგნებისაგან გათავისუფლებისთვის. პარტნიორულ ურთიერთობებში ნუ იქნებით ზედმეტად ხისტი, ჯიუტი და პირდაპირი, კონფლიქტის ალბათობა მაღალია. ეფექტურია კუჭ-ნაწლავის, მკერდის მკურნალობა, ფრჩხილების მოვლა. მოერიდეთ სიმძიმეების აწევას, მკვეთრ მოძრაობებს, მანუალურ მასაჟს, ფინანსურ ოპერაციებს, ხელმძღვანელ და გავლენიან პირებთან ურთიერთობას, ვაჭრობას, ქორწინებას, გაცვლით ოპერაციებს, ახალ კავშირს, სტომატოლოგიურ პროცედურებს, თხილის, თაფლის და სხვა ალერგიის გამომწვევი პროდუქტების მიღებას. კარგი დღეა მავნე ჩვევებისაგან გათავისუფლებისთვის, კოლექციის შესაგროვებლად, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, ექსპერტიზისთვის, ეპილაციისთვის, ნადირობასა და თევზაობისთვის, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები, კბილები. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, მალაქიტი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ტყუპებისთვის, ლომისთვის, მერწყულისთვის.

### 14 ივნისი, შაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპების ზოდიაქოში. ამოდის 04.26 საათზე, ჩადის 19.37 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს მერწყულის ზოდიაქოში 14.56 საათზე. ამოდის 22.28 საათზე, ჩადის 06.48 საათზე (მთვარის მე-18 დღე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 12.53 საათიდან 15.01 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს და ხვალ კარგია სუნთქვითი ვარჯიშები. საკვებ რაციონში ნუ შეიტანთ ცივ რძეს და გაზიან სასმელს. მოერიდეთ ზედმეტ ლაპარაკს, ნერვიულობას, დღის პირველ ნახევარში (15 საათამდე) ფინანსურ ოპერაციებს, ხელმძღვანელებთან ურთიერთობას, ვაჭრობას, ქორწინებას, ახალ კავშირებს, ალერგიის გამომწვევ პროდუქტებს, სტომატოლოგიურ პროცედურებს. კარგი დღეა 15 საათამდე მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის, მავნე ჩვევებისგან გათავისუფლებისთვის, ექიმთან კონსულტაციისთვის, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, ექსპერტიზისთვის, ეპილაციისთვის, რესტავრაციისთვის, დღის მეორე ნახევარში ადგილსამყოფლის შესაცვლელად, სარემონტო-სამღებრო საქმიანობისთვის, ელექტრო-გაზ-კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად, რეფორმებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლები, სახსრები, მუხლები, თვალები, ვენები, ნერვული სისტემა. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი. საღამოს აქვამარინი, საფირონი, ცირკონი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის.

### 15 ივნისი, კვირა

**მზე** იმყოფება ტყუპების ზოდიაქოში. ამოდის 04.26 საათზე, ჩადის 19.37 საათზე. **მთვარე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 22.57 საათზე, ჩადის 07.57 საათზე (მთვარის მე-19 დღე იწყება 01.10 საათზე. მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** სიფრთხილე გმართებთ ასაფეთქებელ ნაერთებთან. თავისუფალი გრაფიკით იცხოვრეთ. პარტნიორულ ურთიერთობებში მოიმატებს იმპულსურობა. შედეგიანია გულსისხლძარღვოვანი სისტემის მკურნალობა, სუნთქვითი ვარჯიშების ჩატარება, ცურვა. ზედმეტს ნუ ილაპარაკებთ და ნუ ინერვიულებთ. ნუ აჰყვებით ფანტაზიებს, რეალურ ფაქტებს დაეყრდენით, დაუგდეთ ყური უფროსი თაობის ქალბატონთა რჩევებს. მოერიდეთ მცენარეების დარგვა-გადარგვას, ფეხზე დიდხანს დგომას. სანამ რაიმეს იტყვით, კარგად იფიქრეთ. კარგი დღეა მეგობრული კონტაქტებისთვის. სასიკეთო დღეა საზოგადოებრივი და რეფორმატიული საქმეებისთვის, სწავლისთვის, ტექნიკასთან ურთიერთობისთვის, ელექტრო-გაზ-კომპიუტერული აპარატურის შესაძენად, ხეების დასარგავად, ლითონებით, მინერალებით ვაჭრობისთვის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, სახლის მშენებლობისთვის, ადგილსამყოფლის შესაცვლელად, სარემონტო-სამღებრო საქმიანობისთვის, დიეტის დასაწყებად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თვალები, ნერვული სისტემა, ვენები, ფეხის კუნთები. **ქვები:** საფირონი, აქვამარინი, ცირკონი, ძოწი, თოფაზი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვს, სასწორისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, ღრიანკალისთვის.




## ტყუპების ნიშნით იყვნენ დაბადებულნი:



**1672 წლის 9 ივნისს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა რუსეთის ცარი — მეფე 1682-1721 წლებში და იმპერატორი 1721-1725 წლებში **პეტრე I დიდი.** მან დაიწყო რუსეთის გადაყვანა დასავლურ რელსებზე, გაატარა ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული რეფორმები, ქვეყანაში შეიტანა განმანათლებლობა და ის ანგარიშგასაწევ სახელმწიფოდ აქცია. გარდაიცვალა 52 წლის ასაკში, დრაკონის წელიწადში.



**1843 წლის 9 ივნისს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა ავსტრიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი პირველი ქალი მშვიდობის განმტკიცების საქმეში **ბერტა ფონ ზუტნერი.** გარდაიცვალა 71 წლის ასაკში, ვეფხვის წელიწადში.



**1891 წლის 9 ივნისს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი კომპოზიტორი და სიმღერების ავტორი **კოულ პორტერი.** გასული საუკუნის 30-იან წლებში, ის იყო ამერიკის მუსიკალური ინდუსტრიის სახე, ბროდვეის მუსიკალური სცენის ერთ-ერთი ცნობილი ავტორი. გარდაიცვალა 73 წლის ასაკში, დრაკონის წელიწადში.



**1921 წლის 9 ივნისს, მამლის წელიწადში,** დაიბადა უნგრელი ტანმოვარჯიშე, გასული საუკუნის 50-წლების წლების ერთ-ერთი უძლიერესი სპორტსმენი, ოლიმპიური თამაშების 5-გზის ჩემპიონი **აგნეშ კელეტი (კლაინი).** გარდაიცვალა 103 წლის ასაკში, დრაკონის წელიწადში.



**1819 წლის 10 ივნისს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა ფრანგი პეიზაჟისტი, პორტრეტისტი, ფერწერაში რეალიზმის დამფუძნებელი **გუსტავ კურბე.** მისი აზრით, ხელოვნების მიზანია, ყოველგვარი შელამაზების გარეშე, ასახოს სინამდვილე. გარდაიცვალა 58 წლის ასაკში, თხის წელიწადში.



**1929 წლის 10 ივნისს, გველის წელიწადში,** დაიბადა რუსი მომღერალი, რუსული ხალხური სიმღერების შემსრულებელი, ანსამბლ „როსიას“ დამფუძნებელი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი **ლიუდმილა ზიკინა.** გარდაიცვალა 80 წლის ასაკში, ხარის წელიწადში.



**1864 წლის 11 ივნისს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა გერმანელი კომპოზიტორი, პიანისტი, დირიჟორი და მევიოლინე **რიხარდ შტრაუსი.** ის იყო გვიანი რომანტიზმისა და ადრეული მოდერნიზმის წარმომადგენელი, რიხარდ ვაგნერისა და ფრანც ლისტის მუსიკალური მემკვიდრე. გარდაიცვალა 85 წლის ასაკში, ხარის წელიწადში.



**1929 წლის 12 ივნისს, გველის წელიწადში,** დაიბადა ებრაელი გოგონა, „ანა ფრანკის დღიურის“ ავტორი **ანა ფრანკი,** რომელიც ჰიტლერის ოკუპაციის დროს, ნაცისტური ტერორისგან თავის დასაღწევად, ამსტერდამის სამალავში იმალებოდა. გარდაიცვალა 15 წლის ასაკში, მამლის წელიწადში.



**1918 წლის 13 ივნისს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მსახიობი, გასული საუკუნის 50-იან წლებში მსოფლიო ჩემპიონი როდეოში **ბენ ჯონსონი.** მიღებული ჰქონდა „ოქროს გლობუსისა“ და BAFTA-ს ჯილდოები მეორეხარისხოვანი მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის. გარდაიცვალა 78 წლის ასაკში, ვირთხის წელიწადში.



**1726 წლის 3 ივნისს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა შოტლანდიელი გეოლოგი, „დედამიწის თეორიის“ ავტორი **ჯეიმზ ჰატონი.** მისი მოძღვრების — პლუტონიზმის მიხედვით, დედამიწის გეოლოგიის ისტორიაში, წამყვანი როლი ენიჭება მის წიაღში მიმდინარე ძვრებს, კონტინენტების ნგრევას და ახლის წარმოქმნის ციკლურ პროცესს. გარდაიცვალა 71 წლის ასაკში, გველის წელიწადში.



**1736 წლის 14 ივნისს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა ფრანგი ფიზიკოსი, პარიზის მეცნიერებათა აკადემიის წევრი **შარლ კულონი.** ის არის „კულონის კანონის“ ავტორი, რომელმაც აღწერა ორ, ელექტრულად დამუხტულ სხეულს შორის ურთიერთქმედება. გარდაიცვალა 70 წლის ასაკში, ვეფხვის წელიწადში.



**1928 წლის 14 ივნისს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა, არგენტინელი ექიმი, პოლიტიკოსი და რევოლუციონერი, კუბის პარტიზანული ლიდერი **ერნესტო ჩე გევარა.** მისი სტილიზებული სახე იქცა საყოველთაო წინააღმდეგობის სიმბოლოდ. გარდაიცვალა 39 წლის ასაკში, თხის წელიწადში.



**1397 წლის 15 ივნისს, ხარის წელიწადში,** დაიბადა რენესანსის ეპოქის იტალიელი მხატვარი **პაოლო უჩელო.** ლონდონის ეროვნულ გალერეაში დაცულია მისი ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარი — „სან რომანოს ბრძოლა“. მისი შექმნილია ფლორენციის უმთავრესი ტაძრის, სანტა-მარია-დელ-ფიორეს ლიტურგიკული საათიც. გარდაიცვალა 78 წლის ასაკში, თხის წელიწადში.



**1594 წლის 15 ივნისს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა ფრანგი მხატვარი **ნიკოლა პუსენი.** იყო საფრანგეთის სამეფო კარის პირველი მხატვარი და მხატვრების ჟაკ-ლუი დავიდისა და პოლ სეზანისთვის შთაგონების წყარო. გარდაიცვალა 71 წლის ასაკში, გველის წელიწადში.



**1867 წლის 15 ივნისს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა რუსი პოეტი, მთარგმნელი, ერთ-ერთი პირველი რუსი სიმბოლისტი **კონსტანტინე ბალმონტი.** გარდაიცვალა 75 წლის ასაკში, ცხენის წელიწადში.

*— ჯერ კიდევ წინა ინტერვიუში აღვნიშნე, რომ ივნისი ურთულესი იქნებოდა. ამ თვეში ცის კაბადონზე ბევრი ისეთი რამ ხდება, რაც ადამიანთა ცნობიერებაზე, ცხოვრებასა და სამყაროს შემდგომ განვითარებაზე მნიშვნელოვნად იმოქმედებს, — აცხადებს ასტროლოგი* ***მიხეილ ცაგარელი*** *და არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების ანალიზსა და პროგნოზს აკეთებს:*



# მიხეილ ცაგარელი:

# ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რას ითხოვს სამყარო მათგან!

— დავიწყოთ იმით, რომ დედამიწა უარყოფით ენერგოველშია — მინუს 30 ქულა ნულოვანი ზონიდან. ეს არის ძალიან მაღალი უარყოფითი ველი და დაახლოებით 26 ივნისამდე გასტანს. ივნისში დიდი იქნება მზეზე აფეთქებების რაოდენობაც, რაც ასევე იმოქმედებს ადამიანთა ჯანმრთელობასა და გუნება-განწყობაზე. ამ პერიოდში მეტისმეტად დაიძაბება ურთიერთობები, მოიმატებს აგრესია, კონფლიქტები. მაღალი იქნება ტრავმების, ავარიების, სიკვდილიანობის ტენდენციაც. გაიზრდება ეკოლოგიური და ტექნოგენური კატასტროფები.

დედამიწა იწყებს ენერგოველის შეცვლას, თვითგაწმენდას, ანუ გადატვირთვას. თუ, მაგალითად, 2020 წელს დედამიწის ვიბრაციული მუხტი იყო 150 ჰერცი, დღეს 200 ჰერცს უახლოვდება.

**— ეს რას ნიშნავს?**

— დედამიწისა და ადამიანის ენერგოველი არის ის სასიცოცხლო ენერგია, რომლითაც დედამიწაც სულდგმულობს და ადამიანიც. მათ შორის ყოველთვის იყო ბალანსი. რადგან ადამიანმა დედამიწა თავისი უარყოფითი ემოციებით — ომებითა თუ სხვა უბედურებებით დააბინძურა, დედამიწა თვითგადარჩენის რეჟიმში გადავიდა, ანუ უარყოფითი ენერგიებისგან თვითგაწმენდა დაიწყო. ამის შედეგად მისმა ვიბრაციულმა მუხტმაც მოიმატა. ადამიანს თუ სურს, დედამიწაზე სიცოცხლე გააგრძელოს, მანაც უნდა მოუმატოს თავის ვიბრაციულ ენერგომუხტს, ანუ მისი ენერგოველიც უნდა გასუფთავდეს. თუ დედამიწისა და ადამიანის ენერგოველს შორის ბალანსი დაირღვევა, სიცოცხლე გაჭირდება.

**— რა უნდა გააკეთოს ადამიანმა იმისთვის, რომ თავისი ენერგოველი გაასუფთაოს?**

— ადამიანში ვიბრაციული მუხტის მატება რომ მოხდეს, ამისთვის საჭიროა, მეტი სიკეთისა და სიყვარულის გამოვლენა. წინააღმდეგ შემთხვევაში მოიმატებს სიკვდილიანობა, ადამიანები დაიღუპებიან ომების, ეკოლოგიურ-ტექნოგენური კატასტროფების, ჯანმრთელობის გაუარესებისა და სხვა მიზეზთა გამო.

**ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, ე.წ. ჯანმო უკვე გვიმზადებს ახალ ხელშეკრულებას და გენმოდიფიცირებულ ვირუსს, რისი მიზანიც სწორედ დედამიწაზე ადამიანთა რაოდენობის შემცირებაა.**

ის, რაც 2020 წელს ვნახეთ, რეპეტიცია იყო. მთავარი აწი დაიწყება! ერთი სიტყვით, სხვადასხვა გზებით სიკვდილიანობა მოიმატებს, რაც გლობალისტების დიდი ხნის ოცნებაა. მაგრამ, ერთია — რა სურთ გლობალისტებს და, მეორე — რა პროცესები ხდება ნათელი ძალების მხრიდან.

**— რა ხდება ნათელი ძალების მხრიდან?**

— კოსმოსმა გაიღვიძა, ნათელი ძალები აქტიურდება. ცის კაბადონზე დიდი ბრძოლაა გამართული ბნელსა და ნათელ ენერგიებს შორის, რაც იწვევს არამხოლოდ ეკოლოგიურ კატაკლიზმებს, არამედ ამინდის დიდ ცვალებადობასაც.

შეიძლება, ბევრ რამეს თვალით ვერ ვხედავთ, მაგრამ მე, როგორც ასტროლოგი, გეუბნებით — ეს პროცესი ჩაირთო და თუ გადარჩენა გვსურს, **ადამიანებმა სიკეთის კეთება უნდა ვიჩქაროთ!**

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ივნისი საკმაოდ რთული იქნება, მაგრამ მთავარი მოვლენები მაინც 30 აგვისტოდან დაიწყება და 2026 წლის ნოემბრის ბოლომდე გასტანს, როცა დემონურ და ნათელ ძალებს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართება.

სამყარო სერიოზული გამოცდის წინაშე გვაყენებს და ამავდროულად გვაძლევს შანსს, უარყოფითი თვისებებისგან განვთავისუფლდეთ. კიდევ ერთხელ ვამბობ — **ვინც საკუთარ თავში ვერ დაამარცხებს შურს, ბოღმასა და ბოროტებას, ძალიან დიდი პრობლემები შეექმნება, შეიძლება სიცოცხლის ფასადაც დაუჯდეს.**

ეს არის ეპოქალური პერიოდი სამყაროს განვითარებაში, რომელიც აპოკალიფსის სახელით არის ცნობილი. აპოკალიფსი არის გარდაქმნა, ტრანსფორმაცია და არა ნგრევა და სამყაროს დასასრული. შესაბამისად, ადამიანის სულის ბოროტ ძალასთან ბრძოლისა და გამარჯვების დრო ჩაირთო!

აქვე გეტყვით, რომ 2030 წლის ჩათვლით, კიდევ სხვა ასტროლოგიური მოვლენებიც გველოდება.

**— კერძოდ?**

— ასტროლოგიაში არის სამი განსაკუთრებული პლანეტა — ურანი, ნეპტუნი და პლუტონი. ისინი შორეული პლანეტებია, მაგრამ ძალიან დიდ ზეგავლენას ახდენენ ადამიანებზე. ურანი ეს არის მოულოდნელობათა პლანეტა, ნეპტუნი — ფანტაზიების, შიშების, ილუზიების, მოტყუების, პლუტონი კი — საყოველთაო ნგრევის, მიწისქვეშა დემონური ენერგიების მმართველი. მათ შორის, როგორც წესი, წინააღმდეგობრივი ბრძოლაა. იშვიათია, როცა ეს სამი პლანეტა ერთმანეთთან კარგ ურთიერთობაშია. ახლა მათ შორის 60-60 გრადუსი იკვრება. ურანი ტყუპების ნიშანშია, ნეპტუნი — ვერძში და პლუტონი — მერწყულში. რადგანაც ტყუპები, ვერძი და მერწყული მეგობრობენ ერთმანეთთან, მათ შორის ჰარმონიული ურთიერთობაა. ეს უიშვიათესი მოვლენაა ასტროლოგიაში. ასეთი რამ შეიძლება მხოლოდ 500 წელიწადში ერთხელ მოხდეს.

**— და რაზე მეტყველებს ეს უიშვიათესი მოვლენა?**

— ურანი არის გარდაქმნების, მოულოდნელობების, რეფორმების ნიშანი, ანუ სამყაროში მოდის რეფორმების დრო!

**ყველაფერი ძველი, რაც გიშლით ხელს, მათ შორის, ხასიათის შტრიხები თუ დრომოჭმული ნივთები, მოისროლეთ!** სხვანაირად **ურანი** დასჯის პროგრამას ჩაგირთავთ. ის ერთ-ერთი ბოროტი პლანეტაა და ნუ გააბრაზებთ. **ნეპტუნი** მიგვითითებს, რომ განვთავისუფლდეთ შიშებისგან, მანიაკურად შეპყრობილი ცუდი აზრებისგან, ნარკომანიისგან, ლოთობისგან, ყველა სახის ტყუილისგან, საეჭვო მეგობრებისგან და ა.შ. მაქსიმალურად უნდა აღივსოთ ნათელი რწმენით — უფლის სიყვარულით. სხვანაირად ნეპტუნიც პრობლემებს შეგიქმნით.

რაც შეეხება პლუტონს, ეს არის რეალურად აღდგომის ერთ-ერთი პლანეტა. ადამიანი ჯერ უნდა მოკვდეს, ყველა თავისი ცუდი თვისება, მავნე ჩვევა, დანაშაული დაამარცხოს, რათა მერე მისი სული თავიდან აღმოცენდეს და აღდგეს. მოკლედ რომ ვთქვათ, აღდგომის პერიოდია და ვინც ამ გზაზე დადგება, გადარჩება. პლანეტებს შორის არსებული სამკუთხედი ამაზე მიუთითებს. სწორედ ეს პროგრამა ირთვება ახლა სამყაროში და, მაქსიმუმ, 2032 წლამდე იმუშავებს. ამ ყველაფერს კი განსაკუთრებით აგვისტოდან ვიგრძნობთ.

**— მაინც, როგორ?**

— ცვლილებებით! ადამიანები ნახავენ უცნაურ სიზმრებს. შეიძლება ყურებში უჩვეულო ხმებიც მოესმათ, ჰქონდეთ თავბრუხვევებიც, სისუსტეები... ანუ ადამიანი იგრძნობს, რომ სხვანაირია, თითქოს, სამყარო მას სხვანაირად ელაპარაკება...

როგორც უკვე გითხარით, აპოკალიფსის ზონაში შევდივართ. აქამდე ამაზე ზედმეტად არ ვლაპარაკობდი, ხალხი ისედაც დაძაბულია და არ მინდოდა დაპანიკება. არც ახლა მსურს, ვინმეს შეშინება, მაგრამ გაფრთხილება აუცილებელია! ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რას ითხოვს სამყარო მათგან!

ივნისში ასევე გვაქვს ორი ძალიან რთული ასპექტი. დაახლოებით 6-7 ივნისიდან 26 ივნისამდე გამარჯვების პლანეტა იუპიტერსა და დამსჯელ პლანეტა სატურნს შორის იკვრება 90-გრადუსიანი წრე, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ორი დიდი პლანეტის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართება. ამავე დროს ომის პლანეტა მარსი მოულოდნელობების პლანეტა ურანს დაუპირისპირდება, რაც გაზრდის საომარი სიტუაციების გამწვავების შანსს. მაღალი იქნება **ფინანსური შეცდომების** დაშვების ალბათობაც. ასე რომ, გაუფრთხილდით ფულს. არ გასწიოთ არავითარი ზედმეტი ფინანსური ხარჯი. თუ რამე ამ კუთხით მოსაგვარებელი გაქვთ, მაქსიმუმ, 9 რიცხვამდე მოაგვარეთ. ფრთხილად იყავით წყალთანაც, მითუმეტეს, ზღვაზე. მეტისმეტად არასტაბილური პერიოდია. რადგანაც სატურნის გვერდით ნეპტუნის პლანეტა იმყოფება, მოტყუების ალბათობაც გაიზრდება. ამიტომ ყველაფერი ზედმიწევნით გადაამოწმეთ. ადვილად არავის ენდოთ და **ნაჩქარევად არაფერზე მოაწეროთ ხელი!**

კიდევ ერთხელ, ხაზგასმით ვამბობ — კაცობრიობა შედის ყველაზე დიდი კოსმიური გამოცდის პერიოდში და იმ ყველაფრის გათვალისწინებით, რაც ზემოთ ჩამოვთვალე, ძალიან დიდია ალბათობა, სიტუაცია მესამე მსოფლიო ომამდეც მივიდეს, საომარი რიტორიკა ბირთვულ დაპირისპირებაში გადაიზარდოს, თუ, რა თქმა უნდა, პოლიტიკოსები ჭკუას არ მოუხმობენ. **ჯერჯერობით პუტინი თავს იკავებს. მის ადგილზე პრეზიდენტი მედვედევი რომ იყოს, ჩათვალეთ, სამყარო თავის არსებობას დაასრულებდა.** ისეთი იმპულსური და აგრესიულია თავისი ბუნებით, თითს წითელ ღილაკს დააჭერდა. პუტინს სასწორის და თხის რქის ზეგავლენა აქვს და შედარებით მომთმენია.

**— რას იტყვით ტრამპის პოზიციაზე?**

— **ტრამპის არაფერი უნდა დაიჯეროთ. კიდევ ერთხელ გეუბნებით, ეს არის მატყუარა კაცი ისევე, როგორც მთლიანად შეერთებული შტატები და ევრობიუროკრატია.** საქართველო მათთვის იყო, არის და იქნება კოლონია. მართალია, ვცდილობთ, დავინახოთ ტრამპში და ევროპაში კეთილმოსურნე პარტნიორი, მაგ-




*რუსეთის ყოფილი და მოქმედი პრეზიდენტები – დიმიტრი მედვედევი და ვლადიმერ პუტინი*

## „თუ გადარჩენა გვსურს, ადამიანებმა სიკეთის კეთება უნდა ვიჩქაროთ!“




რამ **ეს არის მხოლოდ ჩვენი სურვილი.** მოვუწოდებ საზოგადოებას, გამოდით ამ ილუზიებიდან. მოიხსენით ვარდისფერი სათვალე და თვალი გაუსწორეთ რეალობას. კაცობრიობის ისტორიაში დღეს არის ყველაზე დიდი ბრძოლა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. ტრამპის დიფ სთეითთან ბრძოლაც ზღაპარია. ადრეც გითხარით და ახლაც გავიმეორებ, **დონალდ ტრამპი** არის დაბადებული ტყუპების ზოდიაქოში, რომელიც მატყუარა ნიშნების სამეულში შედის. მას გადასარევი სამსახიობო ნიჭი აქვს.

მშვიდობის მომხრე ვარო, რომ გაიძახის, თუ მას მართლა სურს, შეწყდეს ხალხის ხოცვა-ჟლეტა, რატომ იქცევა საპირისპიროდ? გამოიყვანოს მთელი თავისი მრჩევლები, სპეციალისტები უკრაინის ტერიტორიიდან და აღარ გაუგზავნოს იარაღი. განა ბოლო ხანებში რუსეთზე განხორციელებული თავდასხმა მათი სპეციალისტების მიერ არ იყო ორგანიზებული?!

**— ასეთ ვითარებაში რამდენად სწორად იქცევა საქართველოს ხელისუფლება?**

— საქართველოს მთავრობა ცდილობს, არც მწვადი დაწვას და არც — შამფური. საომარ სიტუაციაში ფრთხილად და ტექნიკურად მოქმედებს, კარგად ლავირებს, რაც ნამდვილად აღფრთოვანებას იმსახურებს. მესმის, რატომ არიან გაჩუმებულები, როცა გერმანიის ელჩი თავზე ლაფს გვასხამს. არ უნდათ, ზედმეტად გააღიზიანონ და გადაიმტერონ ამერიკა-ევროპა. შეიძლება, აღებული კურსი მე არ მომწონდეს, მაგრამ ასეთ ვითარებაში ეს მოზომილი პოლიტიკა სწორია. სუვერენული სახელმწიფოს შექმნა თუ სურდათ, თავის დროზე უნდა ეფიქრათ ისევე, როგორც ეს აზერბაიჯანმა გააკეთა. **ილჰამ ალიევმა სუვერენული პოლიტიკა დიქტატურის გზით განახორციელა, რის შედეგადაც გამრავლების კუთხითაც დაწინაურდა, ეკონომიკურადაც და შეიარაღებითაც.** დღეს მისი, როგორც პრეზიდენტის სიტყვები იმდენად ავტორიტეტულია, რომ ევროკავშირის ლიდერები, რომლებიც ჩვენს ლანძღვა-გინებაზე არიან გადასულნი და თავისუფლების ხარისხს გვიწუნებენ, ბაქოში ჩადიან და ალიევს დემოკრატიის შუქურას უწოდებენ.

საგარეო პოლიტიკისგან განსხვავებით, ვერ დავეთანხმები მთავრობას საშინაო პოლიტიკაში. არცერთ სფეროში არ გადადგმულა კონკრეტული ნაბიჯები იმისათვის, რომ სიტუაცია გამოსწორდეს — არც განათლებაში, არც ეკონომიკაში და არც — ჯანდაცვაში. **ილიაუნი, რომელიც სახელმწიფო სტრუქტურაა და ჩემი და თქვენი ფულით ფინანსდება, დღემდე ნაცების ბუდეა.** ნუთუ არ იყო საკმარისი რუსთაველის გამზირზე გამოსული გონებაარეული ახალგაზრდობის ხილვა იმისთვის, რომ სახელმწიფოს ზომები მიეღო?!

## როგორც აქამდე მუშაობდა ეს ვაიპროფესურა და ხრწნიდა ახალგაზრდა თაობას, ასევე ხრწნის დღესაც. არც ბოლონიის სისტემიდან გამოვედით, რომელმაც მოსპო მთელი ქართული განათლება.

რაიმე მნიშვნელოვანი გაკეთდა სოფლის მეურნეობაში, მრეწველობაში? არა! მაჩვენეთ ერთი აშენებული ფაბრიკა ან ქარხანა. ისევ თურქეთიდან და რუსეთიდან შემოდის ყველაფერი....

**— სამაგიეროდ, ცვლილებები მოხდა საკადრო უწყებებში?!**

— ესეც არ მესმის ბოლომდე. რატომ გაუშვეს ის კადრები, რომლებიც კარგად მუშაობდნენ და თავიდან აცილებდნენ ქვეყანას პროვოკაციებს? რატომღაც ჩნდება ეჭვი, რომ კლანებს შორის შიდა ბრძოლა მიდის. თუ ეს ასე არ არის, გვითხრან და ჩვენც გავიგებთ. წინა ინტერვიუში ხაზგასმით აღვნიშნე და ახლაც გავიმეორებ — **გამოვიდეს ბიძინა ივანიშვილი ან ირაკლი კობახიძე და აუხსნას საზოგადოებას, რა ხდება.** ხალხი გაოგნებული და შეურაცხყოფილია იმ პოლიტიკით, რასაც ხელისუფლება ქვეყნის შიგნით ატარებს. **წარმოიდგინეთ, ვიღაც უკულტურო, აღვირახსნილი ადამიანების ჯგუფი გამოდის, გვაგინებს, გვაფურთხებს, თავზე გვაშარდავს და ხელისუფლებას რეაქცია არა აქვს. ამას ნამდვილად არ იმსახურებენ ისინი, ვინც „ქართულ ოცნებას“ მხარი დაუჭირა.**

აქვე კითხვას ვუსვამ ჩვენს პრემიერ-მინისტრს — რომ ამბობთ, ეკონომიკა იზრდებაო, რაში გამოიხატება?! ჩემი სამომხმარებლო კალათა სულ სხვა სურათს მიჩვენებს და ეკონომიკურად უფრო მეტად მიჭირს, ვიდრე 3-4 წლის წინათ.

აქვე, კიდევ ერთხელ მინდა, **ბიძინა ივანიშვილს** მივმართო — ასტროლოგიურად ძალიან სერიოზული პერიოდი იწყება და შიდა პოლიტიკის ცვლილებების დრო მოვიდა!

## ამომრჩეველთა გულაცრუებასაც სერიოზული მიხედვა სჭირდება, მით უფრო, თვითმმართველობის არჩევნების წინ.

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***



**„ნეპტუნი მიგვითითებს, რომ განვთავისუფლდეთ შიშებისგან, მანიაკურად შეპყრობილი ცუდი აზრებისგან, ნარკომანიისგან, ლოთობისგან, ყველა სახის ტყუილისგან, საეჭვო მეგობრებისგან და ა.შ. მაქსიმალურად უნდა აღივსოთ ნათელი რწმენით — უფლის სიყვარულით!“**

# საეკლესიო კალენდარი

✝ 9 ივნისი. ორშაბათი. **სულთმოფენობის შემდგომი დღესასწაული. სულიწმიდის ორშაბათი. ღირსისა ბასილისა, მეფე ბაგრატ III-ის ძისა;** ღირსისა მიქაელ პარეხელისა; მღვდელმოწამისა თერაპონტისა, სარდიელი ეპისკოპოსისა; მოწამეთა თეოდორა ქალწულისა და დიდიმო მხედრისა; მართლისა იოანე რუსისა, აღმსარებელისა.

✝ 10 ივნისი. სამშაბათი. ნიკიტა აღმსარებელისა, ქალკედონელი ეპისკოპოსისა; მღვდელმოწამისა ევტიქისა, მელიტინელი ეპისკოპოსისა; მოწამისა ელიკონიდასი; მღვდელმოწამისა ელადი ეპისკოპოსისა.

✝ 11 ივნისი. ოთხშაბათი. **მცხეთის ჯვრის დღესასწაული. ლომისობა;** მოწამისა თეოდოსია ქალწულისა, ტვირელისა; პირველი მსოფლიო კრების მამათა; ალექსანდრე ალექსანდრიელი მთავარეპისკოპოსისა; ღირსმოწამისა თეოდოსია ქალწულისა, კონსტანტინოპოლელისა. წმინდა ლუკასი, მკურნალისა, სიმფეროპოლის არქიეპისკოპოსისა.


**10 ივნისი — ხსენება ნიკიტა აღმსარებელისა, ქალკედონელი ეპისკოპოსისა**

✝ 12 ივნისი. ხუთშაბათი. ღირსისა ისააკ აღმსარებელისა, დალმატის მონასტრის იღუმენისა; ღირსთა მამათა ტატიანესი და ნესთერეონისა.

✝ 13 ივნისი. პარასკევი. მოციქულისა ერმისა, სამოცდაათთაგანისა; მოწამისა ჰერმესისა; მოწამისა ფილოსოფოსისა.

✝ 14 ივნისი. შაბათი. **სულთმოფენობის დღესასწაულის წარგზავნა.** ღირსთა მოწამეთა: მღვდელმონაზონისა შიო ახლისა, დავით მწირისა, გაბრიელისა, პავლესი და გაბრიელისა, გარეჯელთა, ლუკთაგან მოწყვეტილთა; მოწამეთა: იუსტინე ფილოსოფოსისა და სხვა იუსტინესი და მათთანა: ხარიტონისა, ხარიტასი, ეველპისტესი, იერაქსისა, პეონისა და ვალერიანესი.

✝ 15 ივნისი. კვირა. **ყოველთა წმიდათა კვირიაკე; პეტრეპავლობის მარხვის აღება.** ნიკიფორე აღმსარებელისა, კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა.

„ასავალ-დასავალის“ რედაქცია უსამძიმრებს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარ რედაქტორს **სპარტაკ ქობულიას** ძმის

## ანზორ მიხეილის ძე ქობულიას

გარდაცვალების გამო.




მაღაზია «ბუკვისტა»
ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს1945 წლამდე
574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90
მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.

100-პროცენტიანი გარანტიით კურნავს!
თოდუების საგვარეულო მალამოებითა და წამლებით ქალბატონმა ლამარამ ათასობით ადამიანი გამოაჯანმრთელა. ის კურნავს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, დარჩენილ ნაწიბურებს, ნაწოლებს, გამაგრებულ ნანემსრებს, თმის ბუდობრივ ცვენას, ბუასილს, დისბაქტერიოზს (შეკრულობას, აშლილობას). მისი მალამოები სწრაფად შეგიხორცებთ დაჩირქებულ ჭრილობებს (დიაბეტიანებს), მოგირჩენთ ჰაიმორიტს (ქრონიკულს), მოგაშორებთ ქერტლს, ტილებს (ერთი პროცედურით). სწრაფად და წარმატებით კურნავს სოკოვან დაავადებებს, ფრჩხილების გასქელებას, დახეთქილ ქუსლებს, ჩირქოვან გამონაყარს კანზე, მწერების ნაკბენს, „ტატუებს“ აცილებს უმტკივნეულოდ (პირველივე წასმაზე ქრება ქავილიც და სიწითლეც).
ტელეფონები: 599-16-10-82, 593-99-62-52

იმედის კლინიკა
თბილისი, დიდი დიღომი, მირიან მეფის 10ა
imediclinic.com
* ორსულ ქალთა კონსულტაცია
* სამშობიარო სახლი
* პედიატრიული კლინიკა
* გინეკოლოგიური დეპარტამენტი
პროფესიონალიზმი, უახლესი აპარატურა, ოჯახური გარემო
სამშობიარო: 032 229-56-50
პედიატრიული კლინიკა: 032 223-85-80


საქართველო- ისრაელის ერთობლივი კლინიკა
GIDMEDI GEORGIA - ISRAEL JOINT CLINIC
გიდმედი
გქონდეთ ჩვენი იმედი!
ნებისმიერი ქირურგიული და უროლოგიური პათოლოგია
თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6, მეხუთე სართული. 591 35 33 55


### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. დესპანი; 7. მესიე; 12. დროზერა; 13. ბლუზი; 14. გამბიტი; 15. სპილო; 16. შნიცელი; 17. ნამყო; 18. არაგონი; 22. ვიალი; 23. ფინიში; 26. ნეი; 27. აპელანტი; 28. ლიზისი; 31. უანდერი; 33. ბი; 34. ურარტუ; 35. არმადა; 36. სპექტაკლი; 37. ფირალი; 40. ნამიბია; 44. ბილიონი; 47. ფანტომი; 48. აკროპოლი; 49. ტოსკა; 51. ანონიმი; 55. ანაბაზისი; 59. პარადი; 62. ტრადიცია; 63. კამერონი; 64. სიმენსი; 65. კარამელი; 66. არახამია.

შვეულად: 1. დოგმა; 2. სამბა; 3. აყირო; 4. იდიში; 5. პოლიპი; 6. ბერეტი; 7. მასივი; 8. საიგაკი; 9. ებონიტი; 10. გურმანი; 11. ნიკოტინი; 19. რაპორტი; 20. გალერეა; 21. ნონიუსი; 23. ფიუნესი; 24. ნანატრი; 25. შრე; 29. ზურნა; 30. სტარი; 32. რელსი; 33. ბანი; 37. ფიფია; 38. რონდო; 39. ლაოსი; 40. ნიკეა; 41. მიომა; 42. ბროში; 43. აპისი; 44. ბიტი; 45. ლესია; 46. ოტავა; 50. ტაი; 52. ნორმა; 53. ნოდია; 54. მაცნე; 56. ბამბა; 57. ზურნა; 58. სანდი; 59. პასი; 60. რემი; 61. დონა; 63. კია.

ტაქტიკაბუკიოტიტიტანინიაზიაბელინიკანიონისე
ფარდაგიდელიბილიკინაბადიშირაქიტიარაგონიერი

| ბრძოლის წარმოების წესები | პატარა ბუ | ქიმიური ელემენტი, ლითონი | ტაჯიკი მწერალი | კაენის ძმა | აქ? ან აქ არის? - ნაჰუატულ ენაზე | ხევისბერი გოჩას ვაჟი |
|---|---|---|---|---|---|---|

| ზომიერების გრძნობა | იაპონური თეატრი | ყურის ანთება | მთრილავი ნივთიერება | ქვეყნის ნაწილი | იტალიელი კომპოზიტორი | ღრმა ვიწრო ხეობა | სამი ნარდში |
|---|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 1. ელჩზე მცირე რანგის დიპლომატიური წარმომადგენელი; 7. ბატონო! (ფრანგ.); 12. მწერიჭამია მცენარე; 13. მიმდინარეობა მუსიკაში; 14. ჭადრაკის პარტიის ერთ-ერთი დასაწყისი; 15. ხორთუმიანი ცხოველი; 16. დაბეგვილი ხორცის მრგვალი კატლეტი; 17. წარსული დრო; 18. ფრანგი მწერალი ლუი ...; 22. იტალიელი ფეხბურთელი; 23. შეჯიბრის ბოლო ნაწილი; 26. ნაპოლეონის მარშალი; 27. აპელაციის შემტანი პირი; 28. სხეულის ტემპერატურის თანდათანობით დაწევა მალარიის დროს; 31. ამერიკელი მომღერალი სტივ ...; 33. გაორმაგების ნაწილაკი; 34. უძველესი სახელმწიფო სომხეთის მთიანეთში; 35. სამხედრო გემების, თვითმფრინავების შენაერთი; 36. თეატრალური წარმოდგენა; 37. ყაჩაღი გურიაში (ძვ.); 40. აფრიკის სახელმწიფო; 44. ათასი მილიონი ფრანგულ-ამერიკულ საანგარიშო სისტემაში; 47. უცნაური, ფანტასტიკური მოვლენა, მოჩვენება; 48. ძველი საბერძნეთის ქალაქების ცენტრალური გამაგრებული ნაწილი; 49. ჯ. პუჩინის ოპერა; 51. უცნობი ავტორი; 55. ძველი ბერძენი მწერლის ქსენოფონტის თხზულება; 59. აღლუმი; 62. ისტორიულად ჩამოყალიბებული წესჩვეულებები; 63. ამერიკელი რეჟისორი; 64. გერმანული ელექტრონაწარმის ფირმა; 65. ერთგვარი გულიანი კანფეტი; 66. ქართველი მოჭადრაკე ქალი.

შვეულად: 1. დაუსაბუთებლად, ბრმად მიღებული დებულება; 2. ბრაზილიელი ზანგების ცეკვა; 3. მწარე გოგრა; 4. ევროპელ ებრაელთა ენა; 5. ცხვირის ღრუს ლორწოვანი გარსის კეთილთვისებიანი სიმსივნე; 6. მრგვალი რბილი ქუდი; 7. გეოგრაფიულად ერთგვაროვანი დიდი სივრცე; 8. სტეპების წყვილჩლიქიანი გარეული ცხოველი; 9. საიზოლაციო მასალა; 10. კარგი საჭმელების მცოდნე და მოყვარული; 11. ნივთიერება, რომელსაც თამბაქო შეიცავს; 19. პატაკი; 20. ზედა იარუსი თეატრში, ცირკში (მოძვ.); 21. იგივეა, რაც ვერნიერი; 23. ფრანგი მსახიობი მამაკაცი; 24. რაც, ვინც ინატრეს; 25. ფენა; 29. ჩასაბერი საკრავი; 30. ჯგუფ „ბითლზის" წევრი; 32. მატარებლის სამოძრაო ძელი; 33. კაცის სასიმღერო ხმა; 37. ქართველი დასტაქარი; 38. განსაკუთრებულად მომრგვალებული ხელნაწერი ასოები; 39. აზიის სახელმწიფო; 40. ისტორიული ქალაქი მცირე აზიაში; 41. კეთილთვისებიანი სიმსივნე; 42. გულის ქინძისთავი; 43. ღვთაებრივი ხარი; 44. ინფორმაციის რაოდენობის ორობითი საზომი ერთეული; 45. უკრაინელი პოეტესა ... უკრაინკა; 46. კანადის დედაქალაქი; 50. ტაილანდის ენა; 52. რისამე დაწესებული რაოდენობა; 53. ქართველი ექსფეხბურთელი; 54. ამბის მომტანი, შიკრიკი; 56. ბოჭკოვანი მცენარე; 57. აღმოსავლური ჩასაბერი საკრავი; 58. ფრანგი მწერალი ქალი; 59. ბურთის გადაცემა თანაგუნდელისთვის; 60. რომულუსის ძმა (რომის დამაარსებლები); 61. მიმართვა ქალისადმი იტალიაში; 63. კორეული ავტომობილი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| უხაო ქსოვილი იატაკზე საფენად | ფრანგი კომპოზიტორი | თონეში გამომცხვარი მჭადი | შვილიშვილი | ბავშვთა სნეულება | მწერალი ლუი ... | ნაცია |
|---|---|---|---|---|---|---|

| ფანჯარაზე ჩამოსაფარებელი ქსოვილი | მოგრძო, წვრილი გოდორი | საცალფეხო გზა | მწყემსების წამოსასხამი | ველი კახეთში | რომის პაპის თავსარქმელი | ჭკვიანი |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს
დამოუკიდებელი და ზეპარტიული
ასავალ დასავალი
2025 წლის 9 – 15 ივნისი №24 (1595)
გამოდის ორშაბათობით

მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"
მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**
**mail@asavali.com**
„ასავალ-დასავალის" ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**
გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის" სტამბაში.**

